პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 მაისი ოთხშაბათი 2013

№112 (14 028) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავამთავრე



## მესის სეზონი ნაადრევად დახურა

8

# ვინ უფრო მეფეა




## პასუხს დღეს ბენფიკა–ჩელსის მატჩი გასცემს

ევროპალიგის ფინალის წინათქმა

8



## სიენა მილანს ენევა

12

## სანიკიძემ ქომაგი დაამშვიდა



6

# არც კაკა, არც რონალდინიო

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიზ ფელიპე სკოლარიმ კონფედერაციათა თასისთვის შემადგენლობა დაასახელა

# რეპეტიცია ელიტრაუნდამდე

## დაეხმარება ჰუფნაგელი 19-წლამდელებს?



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" ივარჯიშა, შემდეგ გუნდი ტაძარში იმყოფებოდა და სერბეთში გაემგზავრა.

**გია ცეცაძის** განვრთნილები ელიტრაუნდამდე ბოლო მოსამზადებელ შეკრებას სწორედ ამ ბალკანურ ქვეყანაში გაივლიან. ჩვენი ნაკრები უკვე სერბეთშია, ამ ქვეყნის ნაკრების ბაზაზე რამდენიმედღიან შეკრებას გაივლის და 16 მაისს სერბ თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გუნდი 21 მაისს ბელგიაში გაემგზავრება და მზადებას ანტვერპენში განაგრძობს, 24 მაისს კი, ელიტრაუნდის მატჩები იწყება. როგორც იცით, ჩვენი მეტოქეები ინგლისის (24 მაისი), შოტლანდიისა (26 მაისი) და ბელგიის (29 მაისი) გუნდები იქნებიან და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელსაც ლიტვა უმასპინძლებს, მხოლოდ გამარჯვებული გავა.

ელიტრაუნდზე ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გია ცეცაძემ** შემდეგი შემადგენლობა წაიყვანა:

მეკარეები: **გაბრიელ თებიძე ("ჩიხურა", საჩხერე), ბაჩო მიქავა ("ლოკომოტივი", თბილისი)**

მცველები: დავით მთივლიშვილი, ნიკა ჭანტურია (ორივე – "ლოკომოტივი"), ლევან გეგეჭკორი ("მერანი", მარტვილი), ნიკა სანდოხაძე ("ტორპედო", ქუთაისი), დავით უბილავა ("ვიტ ჯორჯია"), ლაშა დვალი ("სკონტო", ლატვია)

ნახევარმცველები: გურამ სამუშია, ავთო ენდელაძე (ორივე – "ზესტაფონი"), თემურ მარკოზაშვილი ("ტორპედო", ქუთაისი), დაჩი ცნობილაძე ("მეტალურგი", რუსთავი)

თავდამსხმელები: ბაჩანა არაბული ("დილა", გორი), ბუდუ ზივზივაძე ("დინამო 2" თბილისი), გიორგი ფანცულაია ("ტორპედო", ქუთაისი), ნიკა კაჭარავა ("რუბინი", რუსეთი), ლუკა ზარანდია ("ლოკომოტივი", თბილისი)

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებისა და "ინგოლშტატის" ნახევარმცველი **ლუკა ჰუფნაგელი** ტრავმირებულია და ჯერ უცნობია, შეძლებს თუ არა გუნდთან ერთად მომზადებას. ჰუფნაგელის არყოფნის შემთხვევაში, ცეცაძე მას თბილისის "დინამო 2"-ის მცველით, **სანდრო გურეშიძით** ჩაანაცვლებს.

ელიტრაუნდის მატჩების ტექსტური ონლაინრეპორტაჟის ხილვა შესაძლებელი იქნება უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი

# საქმეს კარგი პირი უჩანს

## კერძო და საბიუჯეტო ერთ პროექტზე მსჯელობს



კლუბების ხელმძღვანელები მომავალზე მსჯელობენ

[illegible]

ბულად ექნებათ სამონაწილეო თანხა, პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდებს მეტი მოტივაცია გაუჩნდებათ უმაღლესში გადასასვლელად და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიც უფრო აქტიურად დაეხმარებიან გუნდებს. დაახლოებით ასეთი პოზიცია გამოიკვეთა.

**- გია ისიანის პროექტს ალბათ უკვე ყველა იცნობს - ამ შეხვედრაზე თუ იყო საუბარი ამ პროექტზე?**

- ეს პროექტი სამწლიანია და ვფიქრობ, ყველასათვის საყურადღებოა, რადგან ის მოიცავს როგორც საბიუჯეტო, ასევე კერძო კლუბების ინტერესებსაც. ამ პროექტში პირველ ლიგის კლუბების ინტერესებიცაა გათვალისწინებული და რეგიონებში ფეხბურთის განვითარებაც. ხაზი უნდა გავუსვა იმასაც, რომ არასდროს არ გამომირჩევია ერთმანეთისგან კერძო და საბიუჯეტო კლუბები და ყოველთვის მათი კონსოლიდაციის მომხრე ვიყავი.

■ ■ ■

გუშინვე, 14 საათზე „დინამო თბილისის" ბაზაზე კერძო კლუბები შეიკრიბნენ. შეხვედრა უცბად ვერ დასრულდა, შეიძლება ითქვას, რომ ღონისძიება ორ რაუნდად გაიწელა. პირველ რაუნდს შესვენება მოჰყვა, მეორე კი 19 საათზე დაიწყო. ფეხბურთის ფედერაციიდან ამ შეხვედრას არავინ დასწრებია.

როგორც სანდო წყარომ გვაცნობა, კერძო კლუბებმაც ფედერაციის იმ პროექტზე იმსჯელეს, რაზეც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები საბიუჯეტო კლუბების მესვეურებს ესაუბრნენ.

კერძო კლუბებმა ფედერაციის ეს პროექტი განიხილეს. ამ პროექტის მიხედვით, უმაღლესი ლიგის კლუბი ვალდებული იქნება გაზარდოს ასაკობრივი გუნდების ბიუჯეტი და ქალთა ფეხბურთის გუნდის შექმნაზეც იზრუნონ, რაც უეფას დირექტივაა.

რა თანხას გადასცემს ფედერაცია თანაბრად კლუბებს და ამ თანხას ფედერაციას სახელმწიფო მისცემს თუ არა, ჯერ უცნობია. თუმცა ვარაუდობენ, რომ დაფინანსება სოლიდური იქნება - უმაღლესი ლიგის კლუბებზე 15-20 მილიონი ლარი გადანაწილდებაო.

ერთი სიტყვით, საქმეს კარგი პირი უჩანს...

**დავით თავართქილაძე**

● მაისის პრემიერამდე

# რა შეემთხვა ლორიას კიევში?

## დინამოსა და ნაკრების მეკარე მსახიობობა დაიწყო

თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარე **გიორგი ლორია** 2012 წლის შემოდგომამდეც პოპულარული იყო, მაგრამ ესპანეთის ნაკრებთან ბრწყინვალედ ჩატარებულმა მატჩმა მას საქართველოში ისეთი აღიარება და სახელი მოუპოვა, რასაც ნებისმიერი ქართველი სპორტსმენი ინატრებდა: გიორგის მამის, ნუგზარ ლორიას თქმით, საფრანგეთში გიორგის ფანკლუბი აღმოაჩინა, "დინამოს" კაპიტანი უკვე ქართულ სარეკლამო რგოლებში გამოჩნდა, მცირე ხნის წინათ კი ფილმში ერთ-ერთი მთავარი გმირის როლი შეასრულა.

საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა, ირაკლი ჩხიკვაძემ გადაიღო ფილმი "რა მოხდა კიევში", რომლის პრემიერაც 28 მაისს თბილისის კინოთეატრებში გაიმართება. ლორია მისი ერთ-ერთი გმირია. ფილმის ანონსში წერია: *"თამაში იწყება... ლორია კი არსად ჩანს. დაგვერხა... დაგვერხა... დაგვერხა... ნეტავ, კიევში რა მოხდა?"*

რა მოხდა უკრაინის დედაქალაქში, ამას ფილმის ნახვის შემდეგ შეიტყობთ, ჩვენ კი რეჟისორს დავუკავშირდით და ამ, ერთი შეხედვით, მოულოდნელი გადაწყვეტილების მიზეზი ვკითხეთ.

*"გიორგის მიწვევა რამდენიმე ფაქტორის გამო გადავწყვიტე. ჯერ ერთი, წარმატებული სპორტსმენია, ხალხმა შეიყვარა, ნიჭიერია, ნამდვილი ქართული იერი აქვს, სიმპათიურია და საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ვარსკვლავად არის დაბადებული. გარდა ამისა, მაყურებლისთვის საინტერესო იქნება ფილმში ცნობილი ქართველი სპორტსმენის მონაწილეობა, რაც კომერციულადაც მომგებიანია. აქედან გამომდინარე, ჩავთვალე, რომ მაყურებელი გიორგის კარგად მიიღებდა. სხვათა შორის, მოულოდნელად, ლორიამ როლი სწრაფად*



გიორგი ლორია

*მოირგო და თავი ძალიან კარგად გაართვა. ეტყობა, რომ მის ოჯახს კინოსთან შეხება აქვს (გიორგის მამა, ნუგზარ ლორია რეჟისორია ფილმებისა „მაცივარში ვილაც იჯდა", „ეს პელეა" და ა.შ.)"* – გვითხრა ჩხიკვაძემ.

ინტერვიუ გიორგი ლორიასაც ჩამოვართვით.

**- რეჟისორის თქმით, წარმატებული სამსახიობო დებიუტი გქონდა.**

- ვერაფერს ვიტყვი. ეს რეჟისორის, მაყურებლისა და კინომცოდნეების შესაფასებელია.

**- ეს წინადადება უცნაურად არ მოგჩვენებია?**

- რა თქმა უნდა, მე ფეხბურთელი ვარ, კინო კი სულ სხვა სფეროა. თუმცა, ირაკლიმ საინტერესო წინადადებით მომმართა. რატომაც არა-მეთქი და დავთანხმდი. მოულოდნელობასთან ერთად, ფილმშიც და კლიპებშიც მონაწილეობა სასიამოვნო იყო. ბევრი ცნობილი მსახიობი იყო ჩართული და საკმაოდ თბილი და მეგობრული გარემო ჩამოყალიბდა.

**- გასაგებია, რომ პრემიერამდე ფილმის შინაარსს არ გაამხელ, მაგრამ ის მაინც გვითხარი, რა როლს ასრულებ?**

- სიუჟეტს ნაწილობრივ გაგიმხელთ: ფილმში ჩემს თავს ვასახიერებ. ესპანეთთან მატჩის წინადღეს ვიკარგები. ოჯახის წევრები და ძმაკაცები მეძებენ, მაგრამ ვერ მპოულობენ. არადა, წინასწარ იციან, რომ ძირითადში უნდა მეთამაშა. თემურ ქეცბაია გადარეულია, კითხულობს, სად ვარ, რა მჭირს. სიუჟეტი ამაზეა აგებული, დანარჩენი კი თავად იხილეთ.

**- დღეს ასეთი შემოთავაზებები შემოსავლებსაც გულისხმობს.**

- თავისთავად ცხადია, გარკვეული ანაზღაურებაც შემომთავაზეს. მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ამ სფეროსთან შეხება გახლდათ.

**- ბოლო დროს, საკმაოდ ბევრ რეკლამაშიც გამოჩნდი.**

- "ცივი ჩაის" და "კოკა-კოლას" დაკვეთილ კლიპებში ვმონაწილეობდი.

**- ახლა შემოთავაზებებიც გაქვს?**

- არის და კიდევ რალაცებს ვარკვევ. ფილმი თუ წარმატებას მოიპოვებს, შესაძლოა, მეორე სერიაც გადაიღონ. იმედია, ასეც მოხდება, რადგან ნიჭიერი ადამიანების გუნდი მუშაობდა.

**- გადაღებებში მონაწილეობა ვარჯიშში ხელს არ გიშლის?**

- არანაირად. ჩემი მდგომარეობა კლიპებისა და ფილმის რეჟისორებმაც გაითვალისწინეს და გადასაღები დრო აქედან გამომდინარე შეარჩიეს.

**- რეჟისორი მამა კინოში შენს პირველ ნაბიჯებს როგორ აფასებს?**

- ფილმი უკვე ნახა და ძალიან მოეწონა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ალზევება

# გურია დაგვიბრუნდა!

**ობიექტურმიზეზთა გამოოდნავ დაგვიანებით გვიწევს მართლაც ღირსშესანიშნავი ფაქტის აღნიშვნა: პირველი ლიგის გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ლანჩხუთის „გურია" A ჯგუფის გამარჯვებული გახდა! ასე და ამრიგად, ცხინვალის „სპარტაკის" მსგავსად, ლანჩხუთის „გურიაც" მომავალ სეზონში უმაღლესში იასპარეზებს; თანაც, თუ „სპარტაკმა" ეს ალზევება პირველსავე ცდაზე მოახერხა, აი, ლანჩხუთელი ქომაგები 11 წელიწადი ელოდნენ საყვარელი გუნდის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას...**



თასის ნახევარფინალში გურიამ თბილისის დინამოს დიდი ბრძოლა გაუმართა

## ალზევება და დაცემა

ამჯერად აღარ შევუდგებით იმის „შეხსენებას", თუ რამხელა ტრადიციების მქონე გუნდი დაბრუნდა უმაღლეს ლიგაში; მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ლანჩხუთის „გურია" იყო ერთადერთი რაიონული ცენტრის გუნდი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშია! არც ის უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა წვლილი შეიტანეს „გურიას" იმდროინდელმა ფეხბურთელებმა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის „დაკანონებაში"; თანაც, სწორედ „გურია" იყო ის ერთადერთი გუნდი, პირველ და მეორე ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" (მაშინდელ - „იბერიას") ღირსეულ კონკურენციას რომ უწევდა. ის ორივე ჩემპიონატი „გურიამ" მეორე ადგილზე დაამთავრა; თუმცა **გიგლა იმნაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ბევრად უფრო საამაყო და დღემდე ტკბილად მოსაგონარ შედეგს მიაღწია: საქართველოს თასის პირველ გათამაშებაში სწორედ „გურიამ" გაიმარჯვა!

სამწუხაროდ, ამის მერე გუნდს სერიოზული კი არა, ლოკალური წარმატებებისათვისაც არ მიულწევია: მეტ-ნაკლებად ნორმალურად ჩატარებული მესამე ჩემპიონატის შემდეგ „გურია" ვერაფრით ახერხებდა ათეულში მოხვედრასაც. ასეთ უკუსვლას უამრავი მიზეზი ჰქონდა: არასაკმარისი ფინანსები, მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ხშირი ცვლა და ასე შემდეგ. ასეა თუ ისე, გუნდმა 10 სეზონი ზედიზედ ჩაატარა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, მაგრამ 1999 წელს „გურია" უმაღლესი ლიგიდან გავარდა და მომდევნო ორი სეზონი ქვედა ლიგაში გაატარა. და აი, 2001 წელს ლანჩხუთელები კვლავაც დაბრუნდნენ უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი და იმავე სეზონის (2001-02) ბოლოს „გურია" პირველ ლიგაში დაქვეითდა. იმ პერიოდში ბევრ ქართულ გუნდს არ ულხინდა ფინანსურად, თუმცა ყველას ეგონა, რომ ლანჩხუთში ფეხბურთზე შეყვარებული ხალხი გამოჩნდებოდა (როგორც ადრე იყო ხოლმე) და „გურიაც" ერთ-ორ წელიწადში ისევ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდებოდა. სამწუხაროდ, ლანჩხუთელ ქომაგთა მოლოდინი მეტად და მეტად ხანგრძლივი გამოდგა და მხოლოდ ახლა, 11-წლიანი პაუზის მერე ახდა „გურიას" გულშემატკივართა ოცნება!

## ახალი მწვრთნელი და ერთგული ქომაგები

...ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ლანჩხუთელ გულშემატკივრებს საყვარელი გუნდის უმაღლეს ლიგაში დაბრუნება წლეულს კი არა, შარშან ეზეიმათ. შეგახსენებთ ჩვენთან წინა სეზონი როგორი უცნაური სისტემით ჩატარდა: „საჭირო" თუ „არასაჭირო" თამაშების, „რეალური" თუ „ვირტუალური" სატურნირო ცხრილების გარდა „სიახლე" იყო პლეი-აუტის გათამაშებაც. ამ ტურნირში კი მონაწილეობდნენ პირველი ეტაპის შემდეგ უმაღლეს ლიგაში VIII-XII ადგილზე გასული გუნდები პლუს პირველი ლიგის ოთხი საუკეთესო გუნდი. და აი, პლეი-აუტის დასკვნითი ტურის წინ „გურიას" ფრეც ჰყოფნიდა უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად, მაგრამ უშუალო კონკურენტ „ვიტ ჯორჯიასთან" სტუმრად დიდი ანგარიშით (0:3) წააგო. ამ მტკივნეული მარცხის მერე გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა: შემადგენლობაც გადახალისდა და, რაც მთავარია, ახალი მთავარი მწვრთნელი, **თეიმურაზ ლორია** მოვიდა. იგი 1990-2001 წლებში „გურიაში" თამაშობდა და მშობლიური კლუბის გაწვრთნა დიდი გამოწვევაც იყო; 41 წლის სპეციალისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მართლაც მშვენიერი სეზონი გამოუვიდა: „გურიამ" მთელი ჩემპიონატი „ერთი ამოსუნთქვით" ჩაატარა და A ჯგუფის უპირველესი ფავორიტის სტატუსიც გაამართლა. თავად განსაჯეთ: დღემდე გუნდმა 30 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 25 მოიგო, 2 ფრედ დაამთავრა და მხოლოდ 2 წააგო! თანაც, პირველი მარცხის (მეორე ტურში, სტუმრად „გაგრასთან")



გურიას მთავარი მწვრთნელი თემურ ლორია

შემდეგ ლანჩხუთელებმა მართლაც მშვენიერი, 18-მატჩიანი წაუგებელი სერია „გამოაცხვეს"! თუმცა, ერთი პერიოდი, „გურიას" ალზევება, ცოტა არ იყოს, სათუო გახდა; ოლონდ, ეს არ იყო დაკავშირებული წმინდა საფეხბურთო ნიუანსებთან: გუნდს თავიდანვე სოლიდური ჰანდიკაპი ჰქონდა კონკურენტებთან, მაგრამ წინა პლანზე კვლავაც ფინანსურმა პრობლემებმა წამოიწია. არადა, როგორი საქმეა: გუნდი „ცალი ფეხით" უმაღლეს ლიგაშია, მაგრამ არც ხელფასია და არც - პრემია. საბედნიეროდ, ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ მოგვარდა და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ლანჩხუთის რაიონის ახალ ხელმძღვანელებსაც და, რაღა თქმა უნდა, ლანჩხუთის მაჟორიტარ დეპუტატს საქართველოს პარლამენტში, XX საუკუნის გურიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულ **თემურ ჩხაიძეს**. ისე, „გურიას" მწვრთნელ-ფეხბურთელები ვერც წინა გამგებელს დაემდურებოდნენ და საერთოდაც, ისე როგორც გასული საუკუნის 80-იან წლებში, გუნდის წარმატებაში ადგილობრივმა ქომაგებმა ახლაც უდიდესი წვლილი შეიტანეს.

## ტესტი დინამოსთან

ლანჩხუთში ფეხბურთი როგორ უყვართ, ამის ნათელი დადასტურება იყო საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩი, როდესაც „გურიამ" თავის ძველ მეტოქეს, თბილისის „დინამოს" უმასპინძლა. რეკონსტრუქციის პირობებში მყოფ ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონზე ანშლაგი იყოო, მართლაც რბილად ნათქვამი იქნება! რაც მთავარია, „გურიამ" ღირსეული წინააღმდეგობა კი არ გაუწია „დინამოს", არამედ მეტოქეზე მეტად აგრესიულად გამოიყურებოდა და **გიორგი ლორიას** კართან ერთი-ორი უმწვავესი მომენტიც შექმნა; შეგახსენებთ, რომ ის მატჩი 0:0 დამთავრდა, აი, საპასუხო შეხვედრაში კი ყველა დავრწმუნდით, რომ „გურია" მართლაც იმსახურებდა უმაღლეს ლიგაში თამაშს! ჰო, ამ სეზონში „დინამოს" მსგავსი „მძიმე" საშინაო მატჩი, ალბათ, ერთი-ორი თუ ექნებოდა (პირველ ტურში — „ტორპედოსთან" და მესამე წრის შეხვედრა „დილასთან", ოლონდ პირველი ტაიმი); ეგ კი არა, გასაოცარზე მეტი იყო, საწყის წუთებში 2 გაშვებული ბურთის მერე „გურია" რომ არ გატყდა და სწრაფი და გაავებული კონტრშეტევებით „დინამოს" ქომაგები გვარიანად ანერვიულა; „გურიამ" ჯერ ერთი ბურთი გაქვითა, შემდეგ ანგარიშიც გაათანაბრა და მართლაც სასწაულამდე (ნახევარფინალში გასვლამდე), ფაქტობრივად, აღარაფერი რჩებოდა, როცა **დარკო გლიშიჩის** „პარაშუტის" მერე „გურიას" მეკარემ **გიორგი ძაძამიამ** ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და... საკუთარ კარში შეაგდო! ამაზე დიდი ტრაგედია რა უნდა ყოფილიყო, თუმცა თემურ ლორიას გუნდში არაერთი გამოცდილი ფეხბურთელია და „გურიამ" მალე დასძლია ეს ფსიქოლოგიური სტრესი. ანუ, მთელი ყურადღება პირველი ლიგის გათამაშებაზე გადავიდა და ახალი, ზედიზედ მოგებული მატჩების სერიამაც, „გვამცნო" ლანჩხუთელთა ალზევება!

## ფეხბურთელები

ზამთრის პაუზის მერე „გურიაში" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მოვიდა და ამ გამოცდილი ახალწვეულების დამსახურებაც არის „გურიას" ალზევება. გამოცდილება შემთხვევით არ გვიხსენებია: 37 წლის **სევასტი თოდუას**, 31 წლის **ვიტალი დარჩიძეს**, 30 წლის **მიხეილ კაკალაძეს**, 29 წლის **ლაშა ჯანგიძეს**, 28 წლის **კობა შალამბერიძესა** და 25 წლის **ლაშა ჩალაძეს** ხომ არაერთი სეზონი გაუტარებიათ უმაღლეს ლიგაში (ზოგიერთს გარკვეული პერიოდი უცხოეთში უთამაშია); მათზე ახალგაზრდები იყვნენ სხვა ახალწვეულები — 23 წლის **ერეკლე კილაძე** და 22 წლის **გიორგი სალარიძე**. ახლა კი ის ფეხბურთელები უნდა ვახსენოთ, სეზონის დასაწყისიდან დღემდე „გურიას" წარმატებისათვის რომ ღვრიდნენ ოფლს და უპირველესად, ლიდერებით დავიწყოთ. გუნდის კაპიტანი და უმთავრესი ფორვარდი **გიგა კვერენჩხილაძე** გახლავთ, ვისაც ასევე არაერთი მატჩი ჩაუტარებია უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ეს სეზონი 27 წლის თავდამსხმელისათვის, უდავოდ, ერთ-ერთი გამორჩეულია! 23 გოლით კვერენჩხილაძე A ჯგუფის საუკეთესო ბომბარდირია და საერთოდ, I ლიგის გათამაშების ბომბარდირობაზეც ექნება პრეტენზია. 36 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილს** ფეხბურთის ქართველი ქომაგისათვის წარდგენა არ სჭირდება, თანაც ეს გამოცდილი ნახევარმცველი ისე თამაშობს, ასაკი საერთოდ არ ეტყობა; გამორჩეულ სეზონს ატარებს 23 წლის ფლანგის ნახევარმცველი **ალექსანდრე შენგელია**, რომელმაც „ზესტაფონთან" და „დინამოსთან" სათასო დაპირისპირებებში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. ნურც სხვა ფეხბურთელებს ავუვლით გვერდს: 30 წლის **ტარიელ კუკულაძე** „გურიას" ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი წევრია, გამოცდილება არ დაეწუნება 31 წლის **ლევან ვართაგავასაც**, ხოლო 24 წლის **დავით მაისაშვილი** ადრე „ვიტ ჯორჯიაში" შემტევ ნახევარმცველად რომ ასპარეზობდა, „გურიაში"... ცენტრალურ მცველად თამაშობს; ძირითადი მეკარე 24 წლის **გიორგი ძაძამია** გახლდათ (ასევე ყოფილი „ვეტერინარი"), თუმცა „დინამოსთან" ავბედითი მატჩის მერე ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა 23 წლის **მიხეილ გოგუაძემ** ჩაატარა. „გურიას" ასევე „სტაჟიანი" წევრია 25 წლის **ჯემალ გოგიბერიძე**, თუმცა ამ სეზონში მარჯვენა მცველად ძირითადად **არნო ჩუენსუ** თამაშობდა - ეს 21 წლის კამერუნელი ურიგო ფეხბურთელი არ გახლავთ („სიონის" ყოფილი ცენტრფორვარდის, **ერიკ-რომეო ჩასემის** ძმაა). ჩუენსუს გარდა „გურიაში" სხვებიც არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები: **გოდერძი მაჩაიძე, ზვიად კვარაცხელია, ბექა წერეთელი, გიგა ქეიშვილი** და სხვები. რაც მთავარია, გუნდი სწორი გზით მიდის და გვჯერა, რომ „გურია" უმაღლეს ლიგას ამჯერად უკვე „მუდმივი წევრის" სტატუსით დაუბრუნდა!..

**გია ტუხაშვილი**



გუნდის კაპიტანი და ბომბარდირი გიგა კვერენჩხილაძე

● ასაკობრივი ნაკრები

# მე-5 ადგილი ასტანაში

ასტანაში დასრულდა ყაზახეთის "პრეზიდენტის თასის" გათამაშება. 1997 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ტურნირზე **გოჩა ტყებუჩავას** გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები ერთი წლით უმცროსი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული.

ჯგუფური ეტაპი ჩვენმა გუნდმა თითო-თითო მოგებით, ყაიმითა და წაგებით დაასრულა, მესამე ადგილი დაიკავა და საბოლოოდ, მე-5 ადგილისთვის ყირგიზეთის ნაკრებს შეხვდა.

ტყებუჩავას გაზრდილები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ და მეტოქე 6:0 გაანადგურეს. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ახალგაზრდა ქართველები კოლოსალურ უპირატესობას ფლობდნენ და კიდევ არაერთი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეს. **ნიკა კვანტალიანმა** ჰეთ-თრიქი შეასრულა, დანარჩენი გოლები კი **ვატო არველაძის, გიორგი არაბიძისა და ირაკლი ბუღრიძის** ანგარიშზეა.

ყაზახეთის "პრეზიდენტის თასს" კი ყაზახეთის 16-წლამდელთა ნაკრები დაეუფლა, რომელმაც ფინალში ირანი 1:0 დაამარცხა. მე-3 ადგილზე ლიტვა გავიდა, რომელმაც ჩვენს მძლეველ აზერბაიჯანს 2:1 სძლია. "ბოტაფოგომ" კი ჩინეთი 4:2 დაამარცხა და ტურნირი მე-7-ე ადგილზე დაასრულა.

საბოლოოდ, ადგილები ასე განაწილდა: **I – ყაზახეთი, II – ირანი, III – ლიტვა, IV – აზერბაიჯანი, V–საქართველო, VI – ყირგიზეთი, VII – "ბოტაფოგო" (ყაზახეთი), VIII - ჩინეთი**

**მერაბ მამულაშვილი**



● სავარაუდო ტრანსფერი

# ნინამძლვრიშვილმა ზესტაფონი დატოვა



**რატი ნინამძლვრიშვილი** "ზესტაფონიდან" წავიდა. მისი თქმით, კონტრაქტი ვადამდე ორმხრივი შეთანხმებით გაწყვიტა. მიმდინარე ჩემპიონატის დაწყებამდე, რატი "მიოლდეში" იყო გასინჯვაზე და "ზესტაფონს" სეზონის დაწყების შემდეგ შეუერთდა. **ზაზა ზამთარაძის** და **დავით მუჯირის** ხელმძღვანელობით, 25 წლის თავდამსხმელმა პირველ წრეში 17 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. ფორმაში რომ შედიოდა, ეს ფაქტიც გამოდგება - პირველ წრეში "ზესტაფონს" "მცხეთა პარკზე" „ვიტ ჯორჯიასთან" დუბლით მოაგებინა.

მაგრამ **კახა კაჭარავას** დანიშვნის შემდეგ რატის საქმეები აერია და საერთოდ არ უთამაშია. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა და საბოლოოდ, გუნდის დატოვება მოუხდა.

*"კაჭარავას პერიოდში საერთოდ არ მითამაშია. შესაძლოა, მიზეზი იყო ტრავმა, რის გამოც ზამთარში დრო გამიცდა. მაგრამ როდესაც მოვმჯობინდი, მაინც არაფერი შეცვლილა. იმედს მაინც ვინარჩუნებდი, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ დრო გადიოდა, ექვს შეხვედრაში „ზესტაფონმა" მხოლოდ 1 გოლი გაიტანა, ანუ თავდასხმაში გვიჭირდა და ამის მიუხედავად, შემადგენლობაში ჩემი ადგილი არ მოიძებნა. მივხვდი, რომ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა. გუნდის ხელმძღვანელობას წასვლა ვთხოვე და ილია კოკაიაც ადამიანურად მომექცა, კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმებით გავწყვიტეთ და 19 აპრილიდან თავისუფალი ვარ. ეგაა, ჯერ ვერც ერთ გუნდთან ვერ ვვარჯიშობ და ეს მადარდებს. ფორმიდან რომ არ ამოვვარდე, ახლა ინდივიდუალურად ვემზადები"* – გვითხრა ნინამძლვრიშვილმა.

რატი გულშემატკივარმა „ამერიდან" გაიცნო, სადაც გაიოზ დარსაძე ავარჯიშებდა. მაშინ გუნდში 1988 წელს დაბადებული ნიჭიერი თაობა შეკრიბეს - **რევაზ თევდორაძე, დავით ჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე, გიორგი განუგრავა, მირზა ბუალავა, ბექა გოცირიძე, ზესიკ ჩიმაკაძე...**

თითოეული მათგანი ასაკობრივ ნაკრებებში სისტემატურად თამაშობდა. 2006 წელს „ამერმა" საქართველოს თასის ფინალში „ზესტაფონი" რატის გოლითა და საგოლე პასით დაამარცხა. მაშინ მისი ათენის „პანათინაიკოსში" გადასვლა გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ მუხლის ჯვარედინა იოგები გაუწყდა.

ნამკურნალებმა მალე ისევ იგივე ტრავმა მიიღო. ამასობაში „ამერიც" დაიშალა და რატი და რამდენიმე ამერელი „ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ წაიყვანა, 18 წლისამ კი ეროვნულ ნაკრებში სამი ოფიციალური მატჩიც ჩაატარა.

წინამძლვრიშვილი მძიმე ტრავმებმა გააწამა. „ზესტაფონმა" მის ფეხზე დასაყენებლად ბევრი გააკეთა, ევროპაში ოპერაცია, სარეაბილიტაციო პროცესი... მაგრამ მოედანს დაუბრუნდა და 2010-11 სეზონში „ლელომ" საუკეთესო შემცვლელად დაასახელა. მოედანზე მისი შესვლა მოწინააღმდეგისთვის ცუდის ნიშანი იყო - ძირითადში თამაშს მოწყურებულმა თავდამსხმელმა 13 გოლი გაიტანა, ცამეტჯერვე შეცვლაზე და სეზონში ყველაზე მეტი - 4 „დუბლი" შეასრულა!

მაგრამ შარშან ამ დროს „ზესტაფონის" სამატჩო განაცხადშიც ვერ ხვდებოდა და ბოლოს ტრანსფერზე დააყენეს. აგენტის მეშვეობით, ნორვეგიულ „მიოლდეში" მივიდა. ამხანაგურ შეხვედრებში გოლებიც გაიტანა და ტრანსფერი გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ ფეხბურთელების ყიდვა გადაიფიქრეს. მუჯირმა და ზამთარაძემ მისი რეანიმაცია მოახერხეს და წინამძლვრიშვილმა გოლების გემო გაიხსენა, მაგრამ ახლა ისევ გუნდის ძიება მოუწევს.

ასეც ხდება, ყველა ტალანტი იმედებს არ ამართლებს, მაგრამ საქართველოში თავდამსხმელების კატასტროფული დეფიციტია და იმედი მაინც შევინარჩუნოთ, რომ 25 წლის რატი წინამძლვრიშვილს თავისი სათქმელი ბოლომდე არ უთქვამს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ

# რევაზ გეწაძე: რადგან უმოტივაციოდ დავრჩით, აღარ უნდა ვითამაშოთ?!

**ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში ბოლნისის „სიონმა" შინ ვერ მოახერხა რუსთავის „მეტალურგის" დამარცხება და ისევ სახიფათო ზონაშია - ბოლო ტურში გაირკვევა, ფოთის „კოლხეთთან" ერთად უმაღლეს ლიგას „სიონი" დატოვებს თუ ბათუმის „დინამო".**

„სიონი" - „მეტალურგი" 2:2 დასრულდა და მატჩის შემდეგ გუნდებს შორის არცთუ სასიამოვნო ამბავი მოხდა...

რუსთავის „მეტალურგში" არაერთი საინტერესო ფეხბურთელი თამაშობს. შემტევი შუახაზელი, 28 წლის რევაზ გეწაძე ისეთია, მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლია. გეწაძემ ფეხბურთელის კარიერა „თბილისში" დაიწყო, იყო საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრების წევრი, რუსთავულ გუნდში 2006 წელს მივიდა, შემდეგ აზერბაიჯანში წავიდა და „მეტალურგს" სამი წლის წინ დაუბრუნდა.

გეწაძესთან საუბარი „სიონი" - „მეტალურგის" მატჩით დავიწყეთ...

**- ბოლნისელთა უკმაყოფილება ალბათ იმან გამოიწვია, რომ „მეტალურგს" ამ ეტაპზე ქულები არ სჭირდება, „სიონისთვის" კი ახლა ყველა ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს და მასპინძლებს მსაჯის მიერ დამატებულ დროში დააკარგვინეთ გამარჯვება...**

- ბოლო ტურში „ბათუმს" ვხვდებით და ისეთივე შემართებით ვითამაშებთ, როგორც „სიონთან". ქვედა ექვსეულში ყველა თამაში რომ წაგვეგო, მაინც არ გავვარდებოდით და ამის გამო არ უნდა გვეთამაშა?! ჩემპიონატის მეორე ეტაპზე უმოტივაციოდ დავრჩით და ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვის ჭირდება ქულები და ვის არა - ასე რომ, ბოლო ტურშიც საბრძოლველად გავალთ მოედანზე.

**- კონკრეტულად იმ ინციდენტზე რას გვეტყოდი, რომელიც „სიონი" - „მეტალურგის" მატჩს მოჰყვა?**

- რაც მოხდა, გასაკვირი არ არის, სატურნირო მდგომარეობის მხრივ „სიონს" ხომ ვერ აქვს საქმე კარგად.

**- „სიონთან" შეხვედრაში, როცა ანგარიში 1:1 იყო, კაცნაკლული დარჩით, შემდეგ „სიონი" დაწინაურდა, მაგრამ მიწურულში ათი კაცით მაინც მოახერხეთ ანგარიშის გათანაბრება - ბოლნისელები ამან ალბათ კიდევ უფრო გაახელა...**

- მობილიზებული ვიყავით, ბოლომდე ვიბრძოლეთ და ყველაფერი ასე დაგვიფასდა.

**- არცთუ ცოტა ქართულ გუნდში გაურკვევლობაა, ბევრმა არ იცის, რა ბედი ელის დამდეგ სეზონში - ამ მხრივ როგორი ვითარებაა „მეტალურგში"?**

- როგორც ვიცი, ყველაფერი ნორმალურადაა და მომდევნო სეზონში უფრო მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ბოლო პერიოდში „მეტალურგი" სულ მოწინავეთა შორის იყო და 2013-14 წლების სეზონშიც ევროსარბიელზე მოხვედრა იქნება ჩვენი მიზანი.



რევაზ გეწაძე

**- მიმდინარე სეზონი დაწყებული იყო, „მეტალურგში" მწვრთნელი რომ შეიცვალა - გიორგი ყიფიანმა რა შემოიტანა გუნდში?**

- სწორი ფეხბურთის თამაში - ასეთია მიმართულება, ოლონდაც რასაც მწვრთნელი გვავალებს, ამის სრულფასოვნად განხორციელებას დრო სჭირდება, გუნდის თამაშის ჩამოყალიბება და შედეგის მიღწევა ხომ უცბად არ ხდება.

**- აზერბაიჯანში ორი სეზონი გითამაშია - ისევ იქითკენ ხომ არ მიგიწევს გული?**

- „მეტალურგთან" კონტრაქტი იანვრამდე მაკავშირებს, მერე კი ვნახოთ...

**- ბაქოს „ოლიმპიკი" და „გაბალა" - რა შეგძინა აზერბაიჯანულ გუნდებში თამაშმა?**

- რომ ვთქვა, დიდი გამოცდილება შევიძინე-მეთქი, მართალი არ ვიქნები, რალაც გამოცდილება კი მართლა დავაგროვე. აზერბაიჯანში ჩვენზე ბევრად მაღალი დონე არ არის, მაგრამ ფინანსები მაინც თავისას შვება. ახლა კიდევ უფრო მეტი ფული იხარჯება აზერბაიჯანულ ფეხბურთში...

**დავით თავართქილაძე**

● ლეგიონერები

# დერბი ჩიხრაძემ მოიგო

გუშინ აზერბაიჯანის პრემიერლიგაში ბოლოსწინა, 31-ე ტურის მატჩები გაიმართა. ბაქოს "ინტერი", რომელსაც სათავეში **კახა ცხადაძე** უდგას, სტუმრად **გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილ "სიმურგთან" 0:1 დამარცხდა და საბოლოოდ დაკარგა მეორე ადგილის შანსი. "ინტერი" ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა და მომავალ სეზონში ევროპის ლიგაზე იასპარეზებს, აზერბაიჯანის ჩემპიონი კი კვლავ "ნეფთჩი" გახდა.

**გიორგი ლომაიამ** და **ილია კანდელაკმა** "ინტერის" შემადგენლობაში სრულად ითამაშეს, სასტარტო შემადგენლობაში გამწესებული **ბაჩანა ცხადაძე** შესვენებისას შეცვალეს, ხოლო მათი თანაგუნდელი **რევაზ თევდორაძე** სათადარიგო იყო. "სიმურგმა" ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა.

"ბაქი", რომლის ღირსებასაც **გიორგი ფოფხაძე** იცავს, გასვლით შეხვედრაში "ყარაბახთან" 1:3 დამარცხდა. ბაქოელთა შემადგენლობაში ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა.

"თურანი" შინ 3:5 დამარცხდა "ქიაფაზთან". მასპინძელთა შემადგენლობაში ნიკოლოზ მაისურაძემ შეუცვლელად ითამაშა, მისი თანაგუნდელი **დავით ჯანელიძე** კი თამაშში 54-ე წუთზე ჩაერთო. "თურანი" პრემიერლიგიდან გავარდა.

რუსეთის პირველ დივიზიონში ხაბაროვსკის "სკა-ენერგია", რომელსაც **გიორგი დარასელია** წვრთნის, სტუმრად კალინინგრადის "ბალტიკას" დაუზავდა – 1:1. "სკა-ენერგია" აგებდა და ანგარიში 73-ე წუთზე გაათანაბრა. მარცხის შემთხვევაში, დარასელიას გუნდი სატურნირო მდგომარეობას გაირთულებდა და პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში მოხვედრას სათუოდ გაიხდიდა.

**გიორგი ნავალოვსკიმ** და **ლაშა სალუქვაძემ** "სკა-ენერგიას" შემადგენლობაში სრულად ითამაშეს. სასტარტო თერთმეტეულში გამწესებული კიდევ ორი ქართველი, **შოთა გრიგალაშვილი** და **გოჩა ხოჯავა** შესაბამისად, 79-ე და 84-ე წუთზე შეცვალეს.

ნალჩიკის "სპარტაკი", რომელიც ასევე ახლოა პლეი ოფთან, გასვლით მატჩში 1:2 დამარცხდა "ხიმკისთან". სპარტაკელი **დავით სირაძე** მოედანზე 66-ე წუთზე შევიდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროთასები



# ევროსეზონი ახლოვდება: ვის რას უმზადებს წილისყრა

მიმდინარე სეზონი დასასრულს უახლოვდება, ჩვენს უმაღლეს ლიგაში კი უკვე ბევრი რამ გაირკვა. ცნობილია ევროტურნირების ოთხივე მონაწილე – ჩემპიონთა ლიგაში თბილისის "დინამო" იასპარეზებს, ხოლო ევროპის ლიგაში გორის "დილა", ქუთაისის "ტორპედო" და საჩხერის "ჩიხურა" მოსინჯავენ ძალებს.

მართალია, ჯერ წინაა საქართველოს თასის ფინალი, მაგრამ რადგან ფინალში ერთმანეთს მოწინავე ოთხეულის წარმომადგენლები, "დინამო" და "ჩიხურა" დაუპირისპირდებიან, ძალთა ბალანსი არ შეიცვლება და ევროარენაზე გამსვლელი ოთხეული უცვლელი დარჩება.

საინტერესოა, რა ბედი ელის ზემოთ ნახსენებ ოთხ კლუბს ევროთასების წილისყრისას. რალა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, იქნება თუ არა ქართული კლუბი ამა თუ იმ ეტაპზე განთესილი. ეს დამოკიდებულია როგორც კლუბის, ასევე ქვეყნის ევროპულ რეიტინგზე.

დავიწყოთ "დინამოთი", რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობას მეორე საკვალიფიკაციო რაუნდიდან დაიწყებს. საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ბოლო წლებში საკმაოდ ნორმალური რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ შარშანდელი ევრობატალიები საერთოდ გამოტოვა, მდგომარეობა მკვეთრად გაიუარესა. სწორედ ამის გამო, ჯერ კიდევ გასარკვევია, იქნება თუ არა დედაქალაქური კლუბი განთესილი ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე.

ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ გახდება ჩემპიონი ზოგიერთ ქვეყანაში – რეიტინგული თუ ნაკლებად რეიტინგული კლუბები. "დინამო" განთესვა-არგანთესვის მიჯნაზეა და პრივილეგირებულთა შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ ბულგარეთის ჩემპიონი "ლუდოგორეცი" გახდება. სხვათა შორის, აღნიშნულ კლუბს ტიტულის მოპოვების მშვენიერი შანსი აქვს – გათამაშებას ლიდერობს და ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ტურით ადრე სოფიის "ლევსკის" 2 ქულით უსწრებს, თუმცა მასთან სტუმრად ელის გადამწყვეტი მატჩი.

განთესვის შემთხვევაში, "დინამოს" სავარაუდო მეტოქეები იქნებიან:

ჟელეზნიჩარი (ბოსნია)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
დიორი (უნგრეთი)
ტნს (უელსი)
ლუდოგორეცი (ბულგარეთი)
სლიგო როვერსი (ირლანდია)
შახტიორი (ყაზახეთი)
შკენდერბეუ (ალბანეთი)
ბირკირკარა (მალტა)
სტრეიმური (ფარერები)
კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია)
დაუგავა (ლატვია)
ტრე პენიე (სან მარინო)
სუტიესკა (ჩერნოგორია)
ნიმე კალიუ (ესტონეთი)
ტურნოვო (მაკედონია)
ფოლა (ლუქსემბურგი)

ხოლო თუ განთესილთა შორის ვერ მოხვდა, დუშან უჰრინის გუნდს მძიმე გამოცდა ელის ჩამოთვლილთა შორის ერთ-ერთთან დაპირისპირებაში.

ბატე (ბელარუსი)
სელტიკი (შოტლანდია)
სტიაუა (რუმინეთი)
პლზენი (ჩეხეთი)
დინამო (ხორვატია)
პარტიზანი (სერბეთი)
ლეგია (პოლონეთი)
შერიფი (მოლდოვა)
მარიბორი (სლოვენია)
სლოვან ბრატისლავა (სლოვაკეთი)
ელფსბორგი (შვედეთი)
მაქაბი თელ-ავივი (ისრაელი)
მიოლდე (ნორვეგია)
ჰელსინკი (ფინეთი)
ეკრანასი (ლიტვა)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი)
ლევსკი (ბულგარეთი)

როგორც ხედავთ, ამ ორ სიას შორის ძალიან მკვეთრი სხვაობაა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს ჩამონათვალი მიახლოებითია, რადგან ზოგ ქვეყანაში ჩემპიონი ჯერ არ გამოვლენილა.

მესამე ეტაპზე გასვლის შემთხვევაში, "დინამოს" სავარაუდო მეტოქეები იქნებიან:

ბაზელი (შვეიცარია)
ბატე (ბელარუსი)
სელტიკი (შოტლანდია)
სტიაუა (რუმინეთი)
პლზენი (ჩეხეთი)
დინამო (ხორვატია)
პარტიზანი (სერბეთი)
ლეგია (პოლონეთი)
აუსტრია (ავსტრია)
აპოელ (კვიპროსი)

გადავინაცვლოთ ევროპის ლიგაზე, სადაც ქართული კლუბები პირველი რაუნდიდან დაიწყებენ ასპარეზობას. მათგან განთესილი მხოლოდ "დილა" იქნება, რომლის სავარაუდო მეტოქეები არიან:

ბოტევი (ბულგარეთი)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)
მეტალურგ სკოპიე (მაკედონია)
მილსამი (მოლდოვა)
ვარდარი (მაკედონია)
ირტიში (ყაზახეთი)
ჟენეს ეში (ლუქსემბურგი)
პრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია)
სანტა კოლომა (ანდორა)
ჟალგირისი (ლიტვა)
მარიეჰამნი (ფინეთი)
მიკა (სომხეთი)
იბვ (ისლანდია)
სლიმა (მალტა)
ჰიბერნიანსი (მალტა)
ტირასპოლი (მოლდოვა)
დროჰედა (ირლანდია)
ტრანს ნარვა (ესტონეთი)
განძასარი (სომხეთი)
ასტანა (ყაზახეთი)
ტეუტა (ალბანეთი)
იფ (ფარერები)
ლა ფიორიტა (სან მარინო)

სეზონის დასრულების შემდეგ ამ სიას კიდევ რამდენიმე კლუბი შეემატება.

განუთესავმა ქართულმა კლუბებმა კი საქმე შემდეგ მეტოქეებთან შეიძლება დაიჭირონ:

რუსენბორგი (ნორვეგია)
ჟილინა (სლოვაკეთი)
დებრეცენი (უნგრეთი)
ცსკა სოფია (ბულგარეთი)
ვენტსპილსი (ლატვია)
ტრომსიო (ნორვეგია)
აკტობე (ყაზახეთი)
გომელი (ბელარუსი)
ყარაბაღი (აზერბაიჯანი)
ვოივოდინა (სერბეთი)
მალმიო (შვედეთი)
პანდური (რუმინეთი)
რეიკიავიკი (ისლანდია)
ინტერ ტურკუ (ფინეთი)
დაჩია (მოლდოვა)
ლევადია (ესტონეთი)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)
ვალეტა (მალტა)
მეტალურგსი (ლატვია)
გეფლე (შვედეთი)
პიუნიკი (სომხეთი)
ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
ინტერი (აზერბაიჯანი)
სკონტო (ლატვია)
შიროკი ბრიეგი (ბოსნია)
სუდუვა (ლიტვა)
ვადუცი (ლიხტენშტაინი)
ფლორა (ესტონეთი)
ხაზარი (აზერბაიჯანი)
ტორსჰავნი (ფარერები)
ტპს (ფინეთი)
მტკ (უნგრეთი)

მეორე ეტაპის სავარაუდო მოწინააღმდეგეებზე მოგვიანებით ვისაუბროთ.

ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა 24 ივნისს გაიმართება, ევროსეზონი კი 2 ივლისს დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მერანი

## ფრიდონ ინჯია:

# გაგვეცით კითხვებზე პასუხი!

ქართულ ფეხბურთში მდგომარეობა რომ დღითი დღე უარესდება, არახალი ფაქტია. გარიგებული მატჩების სიმრავლეს ბოლო არ უჩანს, ამას ემატება კერძო გუნდების მეპატრონეების ინტერესების სახელმწიფოს მხრიდან უგულებელყოფა, რაც, რასაკვირველია, უარყოფით დაღს ასვამს ჩვენს ფეხბურთს და ფაქტობრივად ჩიხში აქცევს მას. სწორედ ამგვარი დამოკიდებულებითაა გამოწვეული გუნდების პრეზიდენტების გულისწყრომა და აჯანყება. წარმოიდგინეთ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფეხბურთიდან გურამ რუხაძის („ვიტ ჯორჯია"), ლევან ფხაკაძის („ტორპედო"), ილია კოკაიას („ზესტაფონი"), ბესიკ ჩიხრაძისა („გაგრა") და ფრიდონ ინჯიას („მერანი") წასვლას. ალბათ, მოვიდა დრო, რომ ახლმა ხელისუფლებამ, წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროს და მოუსმინოს იმ ადამიანებს, რომლებიც ქართული ფეხბურთის გადასარჩენად საკუთარ ფულს ხარჯავენ.

საბიუჯეტო გუნდების არსებობა რომ მანკიერებაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ზოგადად, ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი მთავრობის პოზიცია ცნობილია. სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი მიიჩნევს, რომ სპორტის განვითარებისთვის სასურველი არ არის კლუბების დოტაცია, რადგან სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციებში ეს არ შედის, თუმცა...

არაერთხელ თქმულა, რომ ამგვარი გადაწყვეტილებებით ბაზარზე არათანაბარი კონკურენცია იქმნებოდა და თავისთავად უსამართლობის ელემენტებს შეიცავდა. კერძო კლუბები, საბიუჯეტო კლუბებისაგან განსხვავებით, ყოველთვის დაჩაგრულები გამოდიოდნენ. ვთქვათ ისიც, რომ ჩვენ არ ვართ იტალიისა და ინგლისის, ან თუნდაც რუსეთის დონეზე, რომ გუნდებმა დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეძლონ. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პრობლემა მოგვარდეს და როგორ ესახება ქართული ფეხბურთის განვითარება, მარტვილის „მერანის" პრეზიდენტი ფრიდონ ინჯია გვესაუბრება:

- უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო ქართული ფეხბურთის სავალალო მდგომარეობა, რომელიც ობიექტურ თუ არაობიექტურ მიზეზთა გამო, ბოლო დროს ძალიან დამძიმდა. ფაქტობრივად, ფეხბურთი უპატრონოდ დარჩა. 7 წელიწადია, ფეხბურთის სიყვარულის გამო, აქტიურად ჩავები ამ საქმეში. ყველაფერი ნულიდან დავიწყე. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარტვილის „მერანმა „ უდიდესი ნახტომი გააკეთა და უკვე წლებია, ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი უმაღლეს ლიგაში.

როგორც ცნობილია, ფეხბურთის განვითარებას კოლოსალური თანხა სჭირდება. არც ისე ადვილია გუნდის გაწვრთნა, ორგანიზაციული და სხვა პრობლემატური საკითხების მოგვარება. საფეხბურთო ცხოვრებაში ჩემი ჩართულობის პერიოდში უამრავი კითხვა გამიჩნდა, პასუხი კი ჯერაც არ მიმიღია. ეს კითხვები, ვფიქრობ, ჩემთან ერთად ბევრ ჩემს კოლეგას, ფეხბურთის სპეციალისტს, მოყვარულებს, ვეტერანებს დააინტერესებს, რომელთაც ხელისუფლების ცვლილებამ იმედები გაუჩინა. ყველას გვახსოვს წლების განმავლობაში, რა განუკითხაობა სუფევდა ფედერაციაში, ფაქტობრივად, ის სახელმწიფო პოლიტიკის სპორტულ მექანიზმს წარმოადგენდა. სხვათა შორის, ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. დღეს სახელმწიფოს დამოკიდებულება ნათელი და გასაგებია: მას სურს ფეხბურთმა ძველი დიდება დაიბრუნოს.

**- კონკრეტულად რა კითხვები გაქვთ და რატომ არ არის ბიზნესმენისთვის ფეხბურთში ფულის ჩადება მიმზიდველი?**

- საკითხები, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ, სახელმწიფო საიდუმლოებას არ უნდა წარმოადგენდეს, ამიტომაც ვითხოვ ადეკვატურ პასუხებს.

რა რაოდენობის დაფინანსება მიიღო ფეხბურთის ფედერაციამ უეფადან, ფიფადან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან?

2. რაში იხარჯებოდა გადმორიცხული თანხები წლების განმავლობაში? (ეს ინფორმაცია საფინანსო აუდიტს უკვე მრავალჯერ დადასტურებული უნდა ჰქონდეს და უპრიანი იქნება, რომ გასაჯაროვდეს).

რაც შეეხება საფეხბურთო გუნდების დაფინანსების საკითხს, დღესდღეობით საქართველოს უმაღლეს ლიგაში 6 კერძო გუნდია, რომელსაც კერძო კომპანიები, ან ფიზიკური პირები აფინანსებენ, დანარჩენი 6 გუნდი კი მუნიციპალურია, ანუ მათ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები აფინანსებენ. ეს ის თანხებია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდებიდან გროვდება, მათ შორის, იმ კერძო კომპანიებისა და ფიზიკური პირების შენატანებისაგან, რომლებიც ინახავენ ზემოხსენებულ 6 კერძო გუნდს. გამოდის, რომ ერთი და იგივე კერძო კომპანიები და ფიზიკური პირები ინახავენ როგორც თავიანთ კერძო, ისე მეტოქე სახელმწიფო კლუბებს. აშკარაა სრული, ქართული აბსურდი, რომ აღარაფერი ვთქვათ ინტერესთა კონფლიქტზე. ჩნდება კითხვა: რა დაინტერესება უნდა ჰქონდეს მეწარმეს, დააფინანსოს, როგორც საკუთარი, ისე თავისი მეტოქის გუნდი? ბუნებრივია, არანაირი. რეალურად, ამ საკითხს ფეხბურთის ფედერაცია სპორტის სამინისტროსა და პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან ერთად უნდა წყვეტდეს.

**- მაინც რამდენი შეგაქვთ ბიუჯეტში?**

-საწარმოთა ჯგუფმა, რომელსაც მეც წარმოვადგენ, მხოლოდ 2012 წელს, სხვადასხვა გადასახადის სახით, შეიძლება ითქვას, ზემოხსენებული სახელმწიფო გუნდების დასაფინანსებლად ბიუჯეტში 4 424 059 ლარი (მოგების, საშემოსავლო და სხვა კანონით გათვალისწინებული



ფრიდონ ინჯია

გადასახადები) გადავიხადეთ ამის გარდა, 2006 წლიდან მილიონებს ვიხდით მარტვილის „მერანის" დასაფინანსებლად.

ახლა აღმოჩნდა, რომ გორის „დილას" თურმე ფინანსური პრობლემები შეჰქმნია (თითქოს ეს ადრე ვერავინ შეამჩნია) და ამ პრობლემების მოსაგვარებლად, დღის წესრიგში კომისიის შექმნა დადგა. გამოდის, რომ დამატებით კიდევ მილიონებით უნდა დააფინანსონ და ამით ეს გუნდი გამოიყვანონ ფინანსური კრიზისიდან.

სანაცვლოდ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიეცა საშუალება, წარმდგარიყო სპორტის მინისტრთან ერთად (ფეხბურთშიც გაჰოჩნდა კოაბიტაციის ნიშნები), როგორც ქართული ფეხბურთისთვის თავდადებული პირი და ეჩვენებინა, რომ ის გლობალურად, უკვე თბილისს გარეთაც ეფექტურად აგვარებს პრობლემებს - გორს ადვილად გასცდა და ზესტაფონშიც ყველაფერი მიალაგა. აქვე უნდა ითქვას, რომ 1 წლის წინათ ზუსტად იგივე განვაცხადე ინტერვიუში, რაც ბატონმა კოკაიამ ბრძანა და ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას გუნდის სიმბოლურ ფასად გადაცემა შევთავაზე, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონი ზვიად მარტვილში, რატომღაც, არ გამოჩენილა.

**- გულდაწყვეტილი ჩანხართ... თქვენი აზრით, გამოსავალი რაში მდგომარეობს?**

-ბატონო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტო, მე, როგორც მეწარმე, გეკითხებით: რა კრიტერიუმებით ანაწილებდით თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ თანხებს, ასევე იმ თანხებს, რომელიც მოდიოდა უეფადან და ფიფადან? თქვენი აზრით, იყო თუ არა გარკვეული უსამართლობა დაშვებული ამ თანხების განაწილებისას და პირადად თქვენ რა გააკეთეთ ამ უსამართლობის თავიდან ასაცილებლად?

სწორად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ერთი და იგივე მეწარმე აფინანსებს, როგორც საკუთარ, ასევე სხვადასხვა წონის მუნიციპალიტეტების გუნდებს?

მიგაჩნიათ თუ არა სწორად და სამართლიანად, რომ უმაღლესი ლიგის კრძო გუნდები თამაშობენ საკუთარი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე (ამით ისინი, გარკვეულწილად, ბევრ რამეში იზღუდებიან) და ამავდროულად, იმავე კერძო გუნდების მეპატრონეთა შენატანებით მილიონობით დოტირებული მეტოქე სახელმწიფო გუნდები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან? არის თუ არა ეს დისკრიმინაცია და სახელმწიფო გუნდების ლობირება?

თუ გაქვთ ინფორმაცია, ან საერთოდ, დაინტერესებულხართ თუ არა, რა თანხას ხარჯავენ უმაღლესი ლიგის საფეხბურთო სახელმწიფო გუნდები ერთ სეზონში? გაქვთ თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებული რაიმე სახის ფინანსური ანალიზი? როგორ ფიქრობთ, რატომ არის საქართველოს რაგბის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა გაცილებით უკეთესი, ვიდრე ფეხბურთის, რამაც საერთაშორისო ასპარეზზე ქართული რაგბის წარმატება განაპირობა? რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ ბიზნესმენთა ფეხბურთით უფრო მეტად დაინტერესება და რას აკეთებთ თქვენ ამისთვის?

თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში რამდენჯერ მოგიმზადებიათ სპორტის სამინისტროსთვის ან პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წინაშე წარსადგენად წინადადებები გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების მისაღებად ფეხბურთის, როგორც საქართველოს პირველი სპორტის უფრო მეტად პოპულარიზაციისა და მხარდაჭერისთვის?

განა უპრინციპულობის ნათელი მაგალითი არაა, რაც თქვენ გააკეთეთ? ამას ჩვენს ენაზე „კეკლუცობა" ჰქვია. კლუბების ხელმძღვანელობის მიერ ახლად დაარსებული პრემიერლიგის ნაცვლად, გსურთ აღადგინოთ პროფესიული ფეხბურთის ლიგა, რასაც თავის დროზე ხელი თქვენვე შეუშალეთ. მაინტერესებს, რატომ გსურთ PFL-თან სახელშეკრულებო ურთიერთობების აღდგენა დღეს, როდესაც უკვე არსებობს ჩვენ მიერ ჯერ კიდევ გასული წლის 20 ნოემბერს თქვენთან შეთანხმებით (გაიხსენეთ თქვენ მიერ გაკეთებული განცხადება 12-თა საბჭოზე...) დაფუძნებული პრემიერლიგა და რომლის შემადგენლობაშიც არიან: „დინამო" თბილისი, „ვიტ ჯორჯია", „მერანი", „ზუგდიდი", „ჩიხურა", „მეტალურგი"?

დაბოლოს, რა გამოსავალს ხედავთ თქვენი მდგომარეობის შესაცვლელად (გარდა თქვენი გადადგომისა), კერძო გუნდების დაშლის თავიდან ასაცილებლად? ბატონმა კოკაიამ ამის შესახებ უკვე გააკეთა განაცხადება. დავუშვათ, ჩვენც ასეთივე განცხადება გავაკეთეთ. მერე? მოდი, გადავდგეთ. სიტყვა თქვენზეა... ნებისმიერ შემთხვევაში, კითხვებზე პასუხი უნდა გაგვცეთ!

**ბესიკ გვაზავა**

სავარაუდო დანიშვნა

# სჭირდება თუ არა ჩელსის მოურინიო?

**„ტაიმსის“ ჟურნალისტმა ტონი ევანსმა „ჩელსიში“ ჟოზე მოურინიოს დაბრუნების პერსპექტივაზე იმსჯელა და დაასკვნა, რომ ლონდონური კლუბისთვის პორტუგალიელი უკან გადადგმული ნაბიჯია. რატომ? არგუმენტებისთვის ქვემოთ მოცემულ სტატიას გაეცანით.**

წარმოდგენაც კი ძნელია, რომ ვინმემ „სტემფორდ ბრიჯზე“ **ჟოზე მოურინიოს** დაბრუნება შეიძლება კარგ იდეად მიიჩნიოს. თუკი პორტუგალიელი შეძლებდა და „ჩელსის“ სტაბილურობას მოუტანდა, ამას აზრი კიდევ ექნებოდა, მაგრამ მეჩვენება, რომ „განსაკუთრებული“ ლონდონში მხოლოდ არეულობას მოიტანს.

იმ ექვსი წლის განმავლობაში, რაც ის წავიდა, გუნდის სათამაშო სტილი რადიკალურად შეიცვალა. 2000-იანის დასაწყისში „ჩელსის“ წარმატების საფუძვლის ჩამყრელი ფეხბურთელები წავიდნენ ან განზე გადგნენ მოვლენათა ეპიცენტრიდან. ახალი ლიდერები მოურინიოს სტილს ნაკლებად მოერგებიან.



ჟოზე მოურინიო

**ტერი-ლამპარდი-დროგბას** ტრიო წარსულში დარჩა, ისევე როგორც მოურინიოსთვის დამახასიათებელი სტილი. ტერი-ლამპარდის კავშირის დაშლას დრო და დიდი მოთმინება დასჭირდა. **კარლო ანჩელოტიმ** პირველად მიგვანიშნა ამაზე, მაგრამ მაშინ მან თანხები ვერ მიიღო მათი შემცვლელებისთვის. იტალიელი ისევ მათვე დაეყრდნო, რამაც მას დუბლი მოუტანა, მაგრამ ვერ შეუნარჩუნა თანამდებობა.

მეორედ **ანდრე ვილაშ ბოაშმა** სცადა „სტემფორდ ბრიჯზე“ ახალი სუნთქვა მოეტანა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება დროგბასა და ლამპარდის ხარჯზე მოხდა. რომ არა დისკვალიფიკაცია, ითამაშებდა ტერიც. ანუ 5 წლის შემდეგაც კი გუნდის ხერხემალი უცვლელი იყო. სამაგიეროდ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა მიმდინარე სეზონში. გუნდის თამაშზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენდა **ხუან მატა; ოსკარისა** და **ედენ აზარის** შეძენამ კი ცხადყო, რომ გამწევმა ძალამ, როგორც მოედანზე, ისე გასახდელში, ვექტორი შეიცვალა. „სამა მეგობარმა“ გუნდში ახალი სტილი დაამკვიდრა და რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი მოურინიოს გუნდისთვის მეტისმეტად მომართულნი არიან შეტევაზე. რკინის ბირთვი, რომლის გარშემოც პორტუგალიელი საკუთარ გუნდებს აშენებს ხოლმე, „ჩელსის“ არ ჰყავს. სამეულის შეტევების ყურება ძალიანაც სასიამოვნოა, მაგრამ დაცვაში თამაშის ნაკლებმა უნარმა მწვრთნელი შეიძლება ჭკუიდან გადაიყვანოს.

ძნელია წარმოიდგინო, რომ მოურინიო ამ სამ ფეხბურთელს დაუმეგობრდება. თუკი **რომან აბრამოვიჩს** სურს, რომ გუნდმა ანალოგიურ შემტევ სტილში ითამაშოს, რატომ არის საჭირო მწვრთნელის დაბრუნება, რომლის ტაქტიკა უკვე დანერგილის სრული ანტიპოდია? **რაფა ბენიტესის** „სტემფორდ ბრიჯზე“ ყოფნის გამო ტრიბუნების უკმაყოფილებამ ერთგვარი ქაოსის შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ დროებითმა მწვრთნელმა მაინც ძალიან ბევრს მიაღწია. ლამპარდმა და ტერიმ განსაკუთრებული ხმაურის გარეშე გადაინაცვლეს უკანა პლანზე, გუნდი მომდევნო სეზონშიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ევროპალიგის ფინალში კი „ჩელსის“ ზედიზედ მეორე ევროპული ტიტულის მოგების შანსი მიეცემა. ბენიტესის გზაზე იყო შეცდომებიც, მაგრამ „ჩელსიმ“, გუნდმა, რომელიც ხანდახან ისევე მერყევი იყო, როგორც ჟელე თეფშზე, სერიოზულ პროგრესს მიაღწია.

**დავიდ ლუისმა** დაამტკიცა, რომ შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში, თანაც ორ პოზიციაზე - მცველად და ნახევარმცველად. ბრაზილიელი ადრე საკუთარ ფიზიკურ ძალას სათანადოდ ვერ იყენებდა, ახლა კი მისი პერსპექტივა უკვე თვალში საცემია. ლუისს დიდი მოთმინება დასჭირდება. მისცემს კი მოურინიო 26 წლის ფეხბურთელს დროს უფრო მეტად განვითარებისთვის? ამ დროისთვის „ჩელსის“ აქვს კონკრეტული გეგმა და რატომ უნდა დაიწყოს ყველაფრის კეთება თავიდან?

ბევრად გონივრული იქნებოდა ბენიტესის შენარჩუნება, მაგრამ ძნელია წარმოიდგინო, რომ რომელიმე კლუბი თანამშრომლობას გააგრძელებს მწვრთნელთან, ვისთან ურთიერთობაც, გულშემატკივრების უარყოფითი დამოკიდებულების გამო, თავიდანვე შეზღუდული იყო დროში.

ბენიტესისთვის ვარიანტები შეზღუდულია. მას ინგლისში დარჩენა ურჩევნია. „სიტიში“ **რობერტო მანჩინის** სამკვიდროს ჩაბარების უმთავრესი პრეტენდენტი **მანუელ პელეგრინია.** თუკი ჩილელთან გარიგება არ შედგება, ბენიტესს შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ კანდიდატების გაფართოებულ სიაში მაინც მოხვდება, რადგან მან რეპუტაცია სათანადოდ უკვე აღიდგინა. თუკი 53 წლის სპეციალისტისა და **ფლორენტინო პერესის** ურთიერთობას გავითვალისწინებთ, მისთვის შეიძლება „რეალიც“ ერთ-ერთი ვარიანტი იყოს. თუმცა არ არის გამორიცხული ევროპალიგის შესაძლო გამარჯვებული მწვრთნელი სულაც უმუშევარი დარჩეს. ეს ნამდვილად არ ემუქრება მოურინიოს, მაგრამ მისთვის „ჩელსი“ სულაც არ არის იდეალური ვარიანტი. ცხრა წელიწადი გავიდა, რაც მან საკუთარი ჩანაფიქრი პირველად სრულყო ლონდონურ კლუბში, მაგრამ მას მერე ყველაფერი შეიცვალა. „ჩელსის“ გარდაქმნა უკვე მიდის და არა იმ მიმართულებით, რომელსაც პორტუგალიელი უპირატესობას ანიჭებს. „განსაკუთრებულის“ ძველ კალაპოტში დაბრუნება კი ალბათ უსაფუძვლო ოცნება გამოდგება.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXVII ტური

**არსენალი–უიგანი 4:1**

**გოლები:** 1:0 პოდოლსკი (11), 1:1 მელონი (45), 2:1 უოლკოტი (63), 3:1 პოდოლსკი (68), 4:1 რემსი (71)

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი – სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი – რემსი, არტეტა (90. ვერმალენი) – კასორლა, როსიცკი (78. უილშირი), უოლკოტი – პოდოლსკი (78. ოქსლეიდ-ჩემბერლენი)

**უიგანი** (3-4-3): რობლესი – ბოისი, ალკარასი, შარნერი – გომესი (64. უოტსონი), მაკარტი, მაკარტური, ესპინოსა – მაკმანამანი (58. დი სანტო), მელონი (84. ენრიკესი), კონე

**გაფრთხილება:** ალკარასი, მელონი

**კარში დარტყმა:** 19-9 (12-5) **კუთხური:** 7-3 **თამაშგარე:** 2-3 **ჯარიმა:** 11-11 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 60 068

**რედინგი–სიტი 0:2**

**გოლები:** 0:1 აგუერო (40), 0:2 ჯეკო (88)

**რედინგი** (4-2-3-1): მაკარტი – განტერი, მარიაპა, მორისონი, კელი – გატრი, კარაჯანი – რობსონ-კანუ, მაკანუფი (69. ბლექმენი), მაკლირი – პოგრებნიაკი (62. ლე ფონდრე)

**სიტი** (4-4-2): ჰარტი – რიჩარდსი, კ. ტურე (15. მაიკონი), ლესკოტი, კლიში – ბარი (58. ხ. გარსია), ი. ტურე, მილნერი, დ. სილვა – ტევესი, აგუერო (63. ჯეკო)

**გაფრთხილება:** – ბარი

**კარში დარტყმა:** 9-24 (6-18) **კუთხური:** 4-9 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 4-6 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 22 859

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 37 | 28 | 4 | 5 | 81-38 | 88 |
| 2. სიტი | 37 | 23 | 9 | 5 | 64-31 | 78 |
| 3. ჩელსი | 37 | 21 | 9 | 7 | 73-38 | 72 |
| 4. არსენალი | 37 | 20 | 10 | 7 | 71-37 | 70 |
| 5. ტოტენჰემი | 37 | 20 | 9 | 8 | 65-46 | 69 |
| 6. ევერტონი | 37 | 16 | 15 | 6 | 54-38 | 63 |
| 7. ლივერპული | 37 | 15 | 13 | 9 | 70-43 | 58 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 37 | 14 | 6 | 17 | 48-52 | 48 |
| 9. სუონსი | 37 | 11 | 13 | 13 | 47-48 | 46 |
| 10. ვესტ ჰემი | 37 | 11 | 10 | 16 | 41-51 | 43 |
| 11. სტოკ სიტი | 37 | 9 | 14 | 14 | 33-44 | 41 |
| 12. ნორვიჩი | 37 | 9 | 14 | 14 | 38-56 | 41 |
| 13. ნიუკასლი | 37 | 11 | 8 | 18 | 45-67 | 41 |
| 14. საუთჰემპტონი | 37 | 9 | 13 | 15 | 48-59 | 40 |
| 15. ფულჰემი | 37 | 10 | 10 | 17 | 47-60 | 40 |
| 16. ასტონ ვილა | 37 | 10 | 10 | 17 | 45-67 | 40 |
| 17. სანდერლენდი | 37 | 9 | 12 | 16 | 41-53 | 39 |
| 18. უიგანი | 37 | 9 | 8 | 20 | 45-71 | 35 |
| 19. რედინგი | 37 | 6 | 10 | 21 | 41-69 | 28 |
| 20. ქუინზ პარკი | 37 | 4 | 13 | 20 | 30-59 | 25 |

**ბომბარდირები:** 25 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - გარეთ ბეილი (ტოტენჰემი), 19 – კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა), 18 - მიგელ მიჩუ (სუონსი)

ბუცეები ლურსმანზე



„შალკეს“ მენეჯერი ჰორსტ ჰელდტი კრისტოფ მეტცელდერს ამ უქმეებზე გამოეთხოვა

# მეტცელდერი ამთავრებს

**კრისტოფ მეტცელდერმა** აქტიური სპორტული კარიერის დამთავრება გადაწყვიტა. ჩვენი გერმანელი კოლეგებიც ცნობით, „შალკეს“ 32 წლის უკანახაზელი ამ ინფორმაციას ოფიციალურად ხვალ, სპეციალურად დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გააჟღერებს. კრისტოფს გერმანიის ნაკრებში 47 მატჩი აქვს ჩატარებული, ბუნდესლიგაში 126 შეხვედრაში „დორტმუნდის“ ფორმით ისპარეზა, 52 მატჩში კი „შალკეს“ ფორმა ეცვა. გარდა ამისა, ფეხბურთელი, რომელიც ბოლო დროს ტრავმებმა გატანჯა, 2007-დან 2010 წლამდე მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავდა, სადაც თავი ვერაფრით დაიმკვიდრა და ჯამში პრიმერადივიზიონის მხოლოდ 23 მატჩში ათამაშეს. თუმცა 2008 წელს მეტცელდერმა „რეალთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონობა იზეიმა.

კარიერის საუკეთესო წლები მეტცელდერმა უდავოდ „დორტმუნდში“ გაატარა, სადაც პროფესიული კარიერის მეორე სეზონში, 2002 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა, მერე კი, გერმანიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი შეიქნა. „შალკესთან“ ერთად კრისტოფმა გერმანიის თასი (2011) მოიგო.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები



რობერტო მანჩინი

## მანჩინი 33 მილიონ ევროს მიიღებს

სამშაბათს გვიან ღამით „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელობამ **რობერტო მანჩინის** კარისკენ მიუთითა. არადა, იტალიელს კლუბთან კონტრაქტი 2016 წლის ზაფხულამდე აკავშირებდა. შესაბამისად, ის სოლიდურ კომპენსაციას მიიღებს, რომელიც, როგორც ირკვევა ხელშეკრულებითვე ყოფილა განსაზღვრული. „სიტისთან“ დაახლოებული წყაროს მტკიცებით, თანხა 28 მილიონ გირვანქა სტერლინგს (33 მლნ ევრო) უტოლდება. „გარდიანის“ ცნობით, გუნდში დიდი საკადრო რევოლუცია იგეგმება. ხელმძღვანელობა მზადაა, ტრანსფერებისთვის 80 მილიონი გირვანქა გამოყოს. აქედან 52 მილიონი „ნაპოლიდან“ **ედინსონ კავანის,** ხოლო 27 „მალაგადან“ **ისკოს** შეძენას მოხმარდება.

აქვე გეტყვით, რომ „სიტიმ“ მანჩინის გარდა კიდევ რამდენიმე მწვრთნელი დაითხოვა. მაგალითად, **დევიდ პლატი, ფაუსტო სალსანო** (ასისტენტები), **ატილიო ლომბარდო** (ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი), **პიტ ლოუ** (განათლებისა და სამწვრთნელო დეპარტამენტის ხელმძღვანელი), „რეპრესიები“ შეეხოთ მეკარეების, მცველებისა და ფიზიკური მომზადების სპეციალისტებს, აკადემიისა და 18-წლამდელთა გუნდების რიგ დამრიგებლებსაც.

## მოიესს რუნი არ ემეტება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ საზეიმო მსვლელობისას გულშემატკივართა სტვენამ შეიძლება **უეინ რუნის** „ეშმაკებზე“ გული საბოლოოდ აუცრუოს. მოგეხსენებათ, ინფორმაცია, რომ თავდამსხმელმა ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა, პირადად **ალექს ფერგიუსონმა** დაადასტურა. ზეიმში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მანჩესტერში იმყოფებოდა „იუნაიტედის“ მომავალი დამრიგებელი **დევიდ მოიესიც,** ვინც ჟურნალისტებთან 27 წლის ფეხბურთელს „განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული“ უწოდა და განაცხადა, რომ მომდევნო სეზონში მისი დიდი იმედი აქვს.

## კარდიფი მზადებას იწყებს

„ლიონისა“ და საფრანგეთის ნაკრების წევრმა **ბაფეტიმბი გომისმა** 2013/14 წლების სეზონი შეიძლება „კარდიფში“ დაიწყოს. 27 წლის თავდამსხმელს „ლიონთან“ ხელშეკრულება ერთი წლის შემდეგ უმთავრდება, ასე რომ, თუკი მხარეები თანამშრომლობის გაგრძელებაზე ვერ შეთანხმდებიან, კლუბი იძულებული გახდება, საუკეთესო ბომბარდირი ტრანსფერზე დააყენოს. „მერცხლებმა“ („კარდიფის“ მეტსახელია) „ლიონს“ მოლაპარაკებების დაწყება უკვე შესთავაზეს. მიმდინარე სეზონში გომისი საკმაოდ კარგად თამაშობს. 46 შეხვედრაში მის ანგარიშზე 21 გოლი და 8 საგოლე გადაცემაა.

## უილიამსი არსენალს მიუახლოვდა

ბრიტანული პრესის მტკიცებით, „სუონსის“ 28 წლის უელსელი ცენტრალური მცველი **ეშლი უილიამსი** მაისის ბოლომდე „არსენალთან“ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. „გედებს“ ძალიან კი უნდათ ევროპის ლიგისთვის შემადგენლობის შენარჩუნება, მაგრამ ჩანს, რომ ისინი ამას ვერ მოახერხებენ. თანამშრომლობა მხარეთა შორის 2015 წლის ზაფხულზე იწურება. „სუონსიში“ ის 2008 წლის შემდეგ თამაშობს და გუნდის წარმატებების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედია. „არსენალის“ გარდა უილიამსის შეძენას „ლივერპულიც“ გეგმავს, ვისაც **ჯეიმი კარაგერისა** (პენსია) და **მარტინ შკრტელის** (ტრანსფერი) შემცვლელი სჭირდება.



ეშლი უილიამსი

**ლევან ბიბილაშვილი**

ქართული ფეხბურთი

არგენტინა. ტორნეო ფინალი. XIII ტური


სკოკო და „ნიუელსი" გალიდერდნენ

# ლიდერი ისევ შეიცვალა

## ბოკას მორიგი სირცხვილი

**სან ლორენსო-ბოკა 3:0**

გოლები: 1:0 გ. ვერონი (18), 2:0 ბუფარინი (40-პენ), 3:0 კორეა (54).

**ნიუელსი-გოდოი 3:1**

გოლები: 0:1 ობოლო (24), 1:1 სკოკო (28), 2:1 ნ. სანჩესი (67-საკ. კარში), 3:1 სკოკო (71-პენ).

**ველესი-არსენალი 2:2**

გოლები: 1:0 რესკალდანი (18), 2:0 რომერო (66), 2:1 ბენედეტო (81), 2:2 ნ. აგირე (90).

**რასინგი-ტიგრე 2:0**

გოლები: 1:0 ბ. სუკულინი (3), 2:0 ფარინია (90).

**სან მარტინი-არ. ხუნიორსი 2:1**

გოლები: 1:0 ხ. ლუნა (49), 2:0 რიანიო (83), 2:1 დ. ვილიალვა (90).
გაძევება: ფ. ვასკესი (65. არ. ხუნიორსი)

**კოლონი-კილმესი 0:3**

გოლები: 0:1 კანეო (42), 0:2 კანეო (49), 0:3 კაუტერუჩიო (61).

**რივერი-ოლ ბოისი 2:0**

გოლები: 1:0 ლანსინი (50), 2:0 კ. ლუნა (90).
გაძევება: სტეფანატო (29. ოლ ბოისი).

**ესტუდიანტესი-უნიონი 1:0**

გოლი: 1:0 დ. საპატა (68).

**ლანუსი-ინდეპენდიენტე 0:0**

გაძევება: გ. პისარო (30. ლანუსი), ტულა (76. ინდეპენდიენტე).

**ბელგრანო-ატლ. რაფაელა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 13 | 9 | 1 | 3 | 26-17 | 28 |
| 2. ლანუსი | 13 | 7 | 6 | 0 | 18-6 | 27 |
| 3. რივერი | 13 | 7 | 4 | 2 | 17-11 | 25 |
| 4. ატლ. რაფაელა | 13 | 5 | 6 | 2 | 18-11 | 21 |
| 5. კილმესი | 13 | 5 | 5 | 3 | 21-16 | 20 |
| 6. სან ლორენსო | 13 | 5 | 5 | 3 | 15-11 | 20 |
| 7. გოდოი კრუსი | 13 | 5 | 5 | 3 | 15-12 | 20 |
| 8. არსენალი | 13 | 5 | 5 | 3 | 16-14 | 20 |
| 9. რასინგი | 13 | 5 | 4 | 4 | 17-14 | 19 |
| 10. ბელგრანო | 13 | 3 | 7 | 3 | 10-9 | 16 |
| 11. ოლ ბოისი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-13 | 16 |
| 12. ინდეპენდიენ. | 13 | 4 | 4 | 5 | 11-12 | 16 |
| 13. ტიგრე | 13 | 5 | 1 | 7 | 16-21 | 16 |
| 14. კოლონი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-24 | 15 |
| 15. სან მარტინი | 13 | 3 | 5 | 5 | 19-20 | 14 |
| 16. უნიონი | 13 | 2 | 6 | 5 | 11-16 | 12 |
| 17. ველესი | 13 | 2 | 5 | 6 | 11-14 | 11 |
| 18. ესტუდიანტესი | 13 | 2 | 5 | 6 | 10-16 | 11 |
| 19. ბოკა | 13 | 1 | 7 | 5 | 9-21 | 10 |
| 20. არ. ხუნიორსი | 13 | 1 | 4 | 8 | 7-17 | 7 |

**ბომბარდირები:** 9 - სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 8 - სილვიო რომერო (ლანუსი); 7 - ჟიგლიოტი (კოლონი);

**სარელეგაციო ცხრილი:**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 16. კილმესი | 32 | 39 | 1.219 |
| 17. არ. ხუნიორსი | 108 | 129 | 1.194 |
| 18. ინდეპენდიენტე | 108 | 123 | 1.139 |
| 19. სან მარტინი | 70 | 79 | 1.129 |
| 20. უნიონი | 70 | 69 | 0.986 |

„ლანუსმა" და „ნიუელს ოლდ ბოისმა" პოზიციები ისევ გაცვალეს და პირველ პოზიციაზე „ძველი ბიჭები" დაბრუნდნენ. **ხერარდო მარტინოს** შეგირდებმა **მარტინ პალერმოს** „გოდოი კრუსს" უმასპინძლეს და დამაჯერებლად იმარჯვეს, თუმცა პირველი გოლი სწორედ სტუმრებმა გაიტანეს. 24-ე წუთზე ანგარიში **მაურო ობოლომ** გახსნა, რომელმაც **ფაკუნდო კასტილიონისგან** შესანიშნავი გადაცემა მიიღო, ბურთი დაამუშავა და **ნაუელ გუსმანს** ახლო კუთხეში გაუტანა. ამის შემდეგ, მასპინძლებმა გამოიღვიძეს და ლიდერი არა მხოლოდ სატურნირო ცხრილში, არამედ ბომბარდირთა დავაშიც შეიცვალა - **იგნასიო სკოკომ** მორიგი გოლები გაიტანა და **სილვიო რომეროს** გადაასწრო. სკოკოს ორ გოლს შორის კი იყო **ნიკოლას სანჩესის** ავტოგოლი, რომელიც მართლაც კურიოზული გამოდგა. მასპინძელთა მარცხენა მცველმა **მილტონ კასკომ** საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან, **პაბლო პერესის** მისამართით ჩააწოდა, სანჩესმა ბურთის მოგერიება ნახტომში სცადა, მაგრამ ვერ მიწვდა, პერესს კი ფეხი დაუცდა, წაიქცა და არც დარტყმა გამოუვიდა და არც პასი, სამაგიეროდ ბურთი წაქცეულ და ყირაზე გადასულ ნიკოლას სანჩესს ქუსლში (!) მოხვდა და კარისკენ წავიდა. სტუმართა მეკარე **ნელსონ იბანიესი** ამ ყველაფერს გაშეშებული და გაოგნებული უყურებდა...

საბოლოოდ, „ნიუელსმა" 3:1 მოიგო და წინა ტურში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა. ამის მიზეზი კი „ლანუსის" ფეხის დაცდენა გახდა. **გილერმო** და **გუსტავო ბაროს შელოტოებმა, მიგელ ბრინდისის** სამწყსოს წინააღმდეგ ვერაფერი მოიფიქრეს და მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგეს. „ინდეპენდიენტემ" კი აშკარად მოუმატა - არგენტინის ერთ-ერთმა გრანდმა ზედიზედ მესამე მატჩი არ წააგო და ამ პერიოდში 7 ქულა მოაგროვა. მართალია, გუნდი ჯერ კიდევ გასავარდნ ზონაშია, მაგრამ „არხენტინოს ხუნიორსი" უკვე ხელის გაწვდენაზეა, თან თუ ამ უკანასკნელის საშინელ ფორმას გავითვალისწინებთ, „ინდეპენდიენტეს" უმაღლეს ლიგაში დარჩენა სავსებით რეალურად მოჩანს.

### რივერი იგებს, ბოკა აგებს

მორიგი შეხვედრა მოიგო „რივერ პლეიტმა" და ლიდერთა დუეტს წინ გასვლის საშუალება არ მისცა. **რამონ დიასის** გუნდი პირველ ადგილზე მყოფ გუნდს უკვე 3 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ „რივერი" დაბრუნდა. „ლოს მოლიონარიოსის" მორიგი მსხვერპლი „ოლ ბოისი" გახდა, რომელიც 29-ე წუთიდან მოყოლებული 10 კაცით თამაშობდა (**დარიო სტეფანატოს** გაძევების გამო) და რა გასაკვირია, რომ საბოლოოდ დამარცხდა. „მონუმენტალზე" შეკრებილი პუბლიკა **მანუელ ლანსინიმ** და **კარლოს ლუნამ** გაახარეს.

ზედიზედ მე-12 ტურში ვერ იმარჯვა „ბოკა ხუნიორსმა", რაც გუნდის ახალი ანტირეკორდია. „ბოკას" რამდენიმე დღეში ლიბერტადორესის თასის საპასუხო მატჩი ელის „კორინთიანსთან" და **კარლოს ბიანკიმ** ძირითადი შემადგენლობის წევრები ამ შეხვედრისთვის შემოინახა, თუმცა ეს მარცხი „ლა ბოკელთა" ქომაგებისთვის მაინც რთული მისაღებია, რადგან მათი საყვარელი გუნდი დერბიში, „კლასიკოში" დამარცხდა. „სან ლორენსოს" მხრიდან გაილაშქრა **ხულიო ბუფარინიმ** - 24 წლის ნახევარმცველმა ერთი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასი გააკეთა.

კვლავ არ წააგო „ატლეტიკო რაფაელამ", რომელსაც ჩემპიონატში „ლანუსის" შემდეგ ყველაზე ხანგრძლივი წაუგებელი სერია აქვს (7 - „რივერთან" ერთად). მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონის, **ხორხე ბურუჩაგას** შეგირდებმა კორდობადან ქულა წამოიღეს და მეოთხე ადგილზე დამკვიდრდნენ.

მეხუთე ადგილზე კი „კილმესი" გადავიდა, რომელმაც სტუმრად „კოლონი" გაანადგურა. ამ გამარჯვებას უდიდესი ფასი ჰქონდა, რადგან ამ სამი ქულის წყალობით, „კილმესმა" სარელეგაციო ცხრილში „არხენტინოს ხუნიორსი" ჩამოიტოვა და პრიმერაში ადგილის შენარჩუნებისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. მატჩი გმირებად **მიგელ კანეო** და **მარტინ კაუტერუჩიო** უნდა გამოვაცხადოთ. პირველმა ორი გოლი გაიტანა და კაუტერუჩიოს გაატანინა, ურუგვაელმა კი გოლს ერთი საგოლე პასიც მიამატა, რომლითაც სწორედ კანეომ ისარგებლა.

### ლიბერტადორესის თასის ეფექტი

ლიბერტადორესის თასის მონაწილეთაგან ამ ტურში მხოლოდ „ნიუელსმა" იმარჯვა. „ბოკა ხუნიორსის" შერცხვენაზე უკვე მოგახსენეთ, „ველეს სარსფილდმა" „არსენალთან" ქულები გაიყო, „ტიგრე" კი სულაც დამარცხდა.

სარეზერვო შემადგენლობით მოთამაშე „ველესი" „მეთოფეებს" ორბურთიანი სხვაობით უგებდა, მაგრამ ამხელა უპირატესობა მატჩის ბოლო 10 წუთში გაფლანგა. სარანდელთაგან მორიგი გოლი გაიტანა **დარიო ბენედეტომ**, ვის ანგარიშზეც უკვე ხუთი ბურთია.

„ველესისგან" განსხვავებით, „ტიგრე" პრიმერაში ძირითადი შემადგენლობით ასპარეზობს, თუმცა „ვეფხვებს" ამჯერად ძალიან ძლიერი და ფორმაში შესული მეტოქე ჰყავდათ. „რასინგმა" **ბრუნო სუკულინის** და **ლუის ფარინიას** გოლებით 2:0 მოიგო და 19 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 12 წუთი ითამაშა **რიკარდო სენტურიონმა**, ვინც მძიმე ტრავმის მორჩენის შემდეგ უკვე მეორე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ბრაზილიის ნაკრები

# ლუიშ ფელიპე სკოლარიმ შემადგენლობა დაასახელა

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ის 23 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც კონფედერაციის თასზე ბრაზილიის ნაკრების ღირსებას დაიცავენ. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ბრაზილიაში, 15-30 ივნისს გაიმართება.

„ფელიპაომ" რამდენიმე მოულოდნელობა შემოგვთავაზა. სანაკრებო სიაში არ არიან **რონალდინიო** და **რამირესი**, არადა ბოლო დროს ორივე შესანიშნავ ფორმაშია. სკოლარიმ ასევე არ გამოიძახა **კაკა, პატო** და **დედე**, სამაგიეროდ, განაცხადში მოხვდნენ **ბერნარდი**, „გრემიოს" ნახევარმცველი **ფერნანდო** და **ლუის გუსტავო**.

ბრაზილიის ნაკრები პირველ ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები იტალია, იაპონია და მექსიკა იქნებიან.

**ბრაზილიის ნაკრების განაცხადი:**

**მეკარეები:** ჟულიო სეზარი (ქუინზ პარკი), ჟეფერსონი (ბოტაფოგო), დიეგო კავალიერი (ფლუმინენსე).

**მცველები:** დანიელ ალვეში (ბარსელონა), ჟეანი (ფლუმინენსე), მარსელო (რეალი), ფილიპე ლუიში (ატლეტიკო), ტიაგო სილვა (პსჟ), რევერი (ატლეტიკო მინეირო), დავიდ ლუისი (ჩელსი), დანტე (ბაიერნი).

**ნახევარმცველები:** ფერნანდო (გრემიო), ერნანესი (ლაციო), ლუის გუსტავო (ბაიერნი), პაულინიო (კორინთიანსი), ჟადსონი (სან პაულო), ოსკარი (ჩელსი), ლუკას მოურა (პსჟ).

**თავდამსხმელები:** ჰალკი (ზენიტი), ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო), ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), ფრედი (ფლუმინენსე), ნეიმარი (სანტოსი).

ბრაზილია. პაულისტა. ფინალი. I მატჩი

# ყველაფერი ვილა ბელმიროზე გადაწყდება

**კორინთიანსი-სანტოსი 2:1**

გოლები: 1:0 პაულინიო (42), 2:0 პაულო ანდრე (75), 2:1 დურვალი (82).

სან პაულოს შტატის ჩემპიონატის პირველ ფინალურ შეხვედრაში გამარჯვება მასპინძელს დარჩა, თუმცა „კორინთიანსის" ხელმძღვანელები და ფეხბურთელები დაფიქსირებული შედეგებით კმაყოფილები ვერ იქნებოდნენ.

მასპინძლები უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ, რაც **პაულინიოს** და **პაულო ანდრეს** გოლებშიც აისახა. თითქოს **ტიტეს** გუნდს მატჩი მშრალზე უნდა მოეგო, მაგრამ 82-ე წუთზე, **ფელიპე ანდერსონის** და **დურვალის** კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა - 2:1. ამ გოლის წყალობით, **ნეიმარმა** და კომპანიამ საბოლოო გამარჯვების მოპოვების შანსი შეინარჩუნეს. შეგახსენებთ, რომ „პაულისტას" ბოლო სამი გათამაშების გამარჯვებული სწორედ „სანტოსია". ახლა, **მურისი რამალიოს** შეგირდებს პოკერის შესრულების შანსი აქვთ.

საფრანგეთი. სტატისტიკური შეჯამება


პსჟ-ის საჩემპიონო ზეიმი

# დომინანტი პსჟ და შედეგიანი კალუ

**სტატისტიკა ამტკიცებს, რომ პსჟ დამსახურებული ჩემპიონია. ამასობაში, გრძელდება „მარსელის" დაუმარცხებელი სერია, სალომონ კალუს კი გააქვს და გააქვს...**

**მთავარი:**

**19** - „პარი სენ ჟერმენი" საფრანგეთის ჩემპიონი მესამედ, ბოლო 19 წელიწადში კი პირველად გახდა. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ პსჟ მართლაც დამსახურებული ჩემპიონია. პარიზელებმა ამ სეზონში ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს (63), ყველაზე ნაკლები გაუშვეს (21), ბურთების ასეთი სხვაობა (+42), 2005/06 წლების „ლიონის" შემდეგ არავის ჰქონია, თავდამსხმის ლიდერი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**, რომელიც 27 გოლით ბომბარდირთა დავის ლიდერია, **სალვატორე სირიგუმ** კი კარის მშრალად შენახვა 22 შეხვედრაში მოახერხა.

**გუნდური მიღწევები:**

**10** - „მარსელმა" შაბათს „ტულუზს" 2:1 მოუგო და დაუმარცხებელი სერია ათამდე გაზარდა. ამ პერიოდში **ელი ბოპის** გუნდმა 7 მატჩი მოიგო და 3 ფრედ დაასრულა. ასეთი კარგი ასპარეზობის წყალობით, პროვანსელებმა მეორე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური გაინაღდეს.

**17** - „ევიანმა" 2013 წელს შინ უკვე 17 გოლი გაიტანა. საკუთარ მოედანზე, ამაზე მეტი ბურთი წელს მხოლოდ „სენტ ეტიენის" (20) და „ლორიანის" (19) ანგარიშზეა. კვირას, „ევიანმა" „ნიცას" 4:0 მოუგო. საკუთარ მოედანზე 4 გოლის გატანა „ალპელებმა" ბოლო 5 მატჩიდან სამში მოახერხეს.

**24** - „ბორდოს" გოლების გატანა მთელი სეზონია უჭირს, მაგრამ 36-ე ტურში „ჟირონდელებმა" შინ „ნანსის" 3:2 მოუგეს და კარისკენ 22 დარტყმა განახორციელეს, რომელთაგანაც 12 ზუსტი იყო. ასეთი კარგი შედეგი „ბორდოს" ბოლოს 2011 წლის თებერვალში ჰქონდა, როდესაც გუნდმა საკუთარ მინდორზე „კაენთან" წააგო (1:2)

**ინდივიდუალური მიღწევები:**

**1** - „სოშოს" ფორვარდმა **სლოან პრივატმა** „ბრესტთან" დუბლი შეასრულა და საკუთარ გუნდს 2:0 მოაგებინა. პრივატმა ამ სეზონში პირველი გოლები გაიტანა და ერთ საუმაღლესლიგო შეხვედრაში ორი გოლის გატანა კარიერაში პირველად შეძლო.

**5** - ბოლო 5 წლის განმავლობაში, **საბერ ხელიფა** გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც ლიგა 1-ის შეხვედრაში გოლი საკუთარი ნახევრიდან გაიტანა. ბოლოს ასეთი რამ 2008 წელს **დავიდ ელებუიკმა** გააკეთა, როდესაც „ნიცას" მაისურით „კაენის" კარი აიღო. აღსანიშნავია, რომ ხელიფამ საჯარიმოს გარედან სულ მეორე გოლი გაიტანა ლიგა 1-ში.

**1** - ზამთრის შესვენების შემდეგ, **სალომონ კალუს** გოლი ყოველ 100 წუთში ერთხელ გააქვს. კოტ დივუარის ნაკრების ფეხბურთელმა ბოლო 13 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა, რაც საუკეთესო შედეგია. „ლილის" ფორვარდმა „რეიმსთან" დუბლი შეასრულა და ბოლო 6 ტურში, ერთ შეხვედრაში ორი გოლი უკვე მესამედ გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

დორტმუნდის ბორუსია. მოსალოდნელი ტრანსფერები

# დე ბრუინი დორტმუნდს უახლოვდება

## სხვები: ბენტეკე, ჯეკსონ მარტინესი, ბერნარდი და ისევ ერიკსენი

„ვერდერის“ 21 წლის ნახევარმცველ **კევინ დე ბრუინს** სეზონის მიწურულს მთხოვნელების რიგი დაუდგა. ახალგაზრდა ბელგიელისთვის გაჩაღებულ ბრძოლას პირველი სწორედ ბრემენული კლუბი გამოეთიშა - „ჩელსიდან“ „ვერდერში“ განათხოვრებულმა დე ბრუინმა ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში თქვა, ბრემენში დარჩენას არ ვაპირებო. შესაბამისად, მას მერე უპასუხოდ რჩება კითხვა, სად გააგრძელებს კარიერას ნიჭიერი ბელგიელი, რომელიც ამ სეზონში შერცხვენილი „ვერდერის“ ერთადერთი გამონათებაა. დე ბრუინისთვის ბრძოლაში ფავორიტად „ლევერკუზენი“ მიიჩნეოდა, ახლა კი ტენდენცია იქით მიდის, რომ კევინი დორტმუნდის „ბორუსიაში“ ამოჩნდება.

ფაქტია, რომ „დორტმუნდის“ ხელმძღვანელებს ბელგიელი ფეხბურთელი ძალიან მოსწონთ და მის გადაბირებაზე სერიოზულად ფიქრობენ. ფაქტია ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლისა და **მარიო გიოტცეს** ტრანსფერის გაცხადების შემდეგ, დორტმუნდელებს ფინანსურად ნაღდად არ უჭირთ და „ჩელსისგან“ დე ბრუინის კონტრაქტის გამოსყიდვა შეუძლიათ. თუმცა, ცნობილი გახდა, რომ ლონდონელები კევინის შენარჩუნებაზე დაფიქრდნენ, რაც, შეიძლება ფასის ასაწევი მანევრი იყოს. ფაქტია, რომ „ჩელსი“ დე ბრუინის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროზე ნაკლებს არ მოითხოვს. თუმცა, თუკი კევინი „დორტმუნდისთვის“ მზადაა, რატომ არ უნდა იყოს მზად „ჩელსისთვის“?

დე ბრუინმა ეს სეზონი მართლაც შესანიშნავად ჩაატარა - თავიდანვე „ვერდერის“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა და მერე ბრემენული გუნდის ლიდერადაც ჩამოყალიბდა. ბუნდესლიგაში ჩატარებულ 32 შეხვედრაში მან 8 გოლი გაიტანა და 9 საგოლე პასი მიითვალა, რითაც ლომის წვლილი შეიტანა იმაში, რომ „ვერდერი“ მომდევნო სეზონშიც პირველ ბუნდესლიგაში ითამაშებს. „მუსიკოსებმა“ ელიტაში დარჩენა შაბათს, „აინტრახტთან“ დაფიქსირებული ფრით (1:1) გაინაღდეს და გოლი იმ შეხვედრაშიც დე ბრუინმა შეაგდო, მატჩის შემდეგ კი თქვა, ბევრი შემოთავაზება მაქვს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სად წავალო.



„ასტონ ვილას“ გოლეადორი კრისტიან ბენტეკე

კევინს „ჩელსისთან“ კონტრაქტი 2017 წლამდე აქვს გაფორმებული. ორშაბათს „ბილდი“ წერდა, დე ბრუინი „დორტმუნდის“ ხელმძღვანელებს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდაო, მაგრამ „ბორუსიას“ მენეჯერმა **მიხაელ ცორკმა** ბელგიელთან შეთანხმება არ დაადასტურა. ასეც რომ იყოს, მარტო ფეხბურთელთან შეთანხმება საკმარისი არაა - ამის შემდეგ დორტმუნდელები „ჩელსის“ უნდა მოურიგდნენ. ცნობილია, რომ ლონდონურ კლუბს მისი გაყიდვა არ უნდა და მხოლოდ განათხოვრებაზე შეიძლება დათანხმდეს. თუმცა, აქ გადამწყვეტი სიტყვა ალბათ „ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა უნდა თქვას - როგორც იცით, **რაფა ბენიტესის** წასვლა გადაწყვეტილია, ფავორიტად კი **ჟოზე მოურინიო** მიიჩნევა.

### დორტმუნდის სხვა პოტენციური ახალწვეულები

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „დორტმუნდის“ შეფებმა საზაფხულო ტრანსფერებზე მუშაობა უკვე დაიწყეს და ახლა ფეხბურთელების შერჩევის სტადიაში არიან. კვირის დასაწყისში ცორკი ინგლისში გაემგზავრა, სადაც „ასტონ ვილასა“ და „ჩელსის“ მატჩს (1:2) დაესწრო და საქმეში ნახა „ვილას“ 22 წლის ბელგიელი ფორვარდი **კრისტიან ბენტეკე**, რომელსაც 34 მატჩში 19 გოლი აქვს გატანილი. ბენტეკემ „ჩელსისთან“ ანგარიში გახსნა, მერე კი მოედნიდან გააძევეს. მისი ფასი დაახლოებით 12 მილიონი ევროა.

„ბილდის“ ინფორმაციით, საფინალო სასტვენის შემდეგ ცორკმა პორტუსკენ აიღო გეზი, სადაც „დორტმუნდის“ გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** და მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** დახვდნენ. ცნობილია, რომ ისინი „ვოლფსბურგთან“ მატჩის (3:3) შემდეგ პირდაპირ პორტუგალიაში გაფრინდნენ. ცორკი, ვატცკე და კლოპი იქ „პორტუსა“ და „ბენფიკას“ შეხვედრას დაესწრნენ (2:1). მათი ინტერესის სფეროში „პორტუს“ 26 წლის გოლეადორი **ჯეკსონ მარტინესია** - კოლუმბიელს 29 მატჩში 25 გოლი აქვს გატანილი. მარტინესმა „ბენფიკასთან“ 90 წუთი ითამაშა, მაგრამ გოლი არ გაუტანია. „პორტუ“ მას მინიმუმ 20 მილიონ ევროდ აფასებს.

*„გავიგე, რომ პორტუში დაგვინახეს და ვადასტურებ: ჩვენ იქ მართლაც ვიყავით. მიზანი, რა თქმა უნდა, პოტენციურ ახალწვეულებზე დაკვირვებაა. ხელმძღვანელებს ახლა სწორედ ეს ამოცანა გვაკისრია და ყველგან უნდა ჩავიდეთ, სადაც „დორტმუნდისთვის“ ღირსეული ფეხბურთელები გვეგულება,“* - უთხრა ვატცკემ „ბილდს“.



„პორტუს“ ბომბარდირი ჯეკსონ მარტინესი



კევინ დე ბრუინი ამ სეზონში ვერდერის ერთადერთი ნათელი წერტილი იყო

### მინიმუმ ერთი ახალი თავდამსხმელი

მიუხედავად იმისა, წავა თუ არა **რობერტ ლევანდოვსკი**, დორტმუნდელები მინიმუმ ერთი ახალი ცენტრფორვარდის გადაბირებას აპირებენ. ამასთან, „დორტმუნდი“ **მარიო გიოტცეს** (ბაიერნში 37 მილიონად გადადის) შემცვლელსაც ეძებს. „ბილდის“ ცნობით, გიოტცეს შემცვლელად დორტმუნდისთვის ორი კანდიდატი გამოიკვეთა. პირველი 20 წლის ბრაზილიელი **ბერნარდია**, რომელიც „მინეიროს“ ფეხბურთელია და 12 მილიონი ევრო ღირს. ცორკმა წინა კვირას კლუბის პრეზიდენთან პირველი მოლაპარაკება გამართა. მეორე კი **კრისტიან ერიკსენი** (21 წლის/14 მილიონი), რომლის შესახებ ადრეც ვწერდით - „აიაქსის“ დანიელ ტალანტს დორტმუნდელები ხომ დიდი ხანია, აკვირდებიან. ამსტერდამული კლუბის თავკაცი **ფრანკ დე ბური** ამბობს, იურგენ კლოპმა დამირეკა, მომილოცა და თან კრისტიანის ფორმით დაინტერესდაო.

ბაიერნი



ნეიმარი

# ბაიერნმა ნეიმარი უარყო

## არადა, სანტოსის ფუნქციონერმა მას მიუნხენში უკრა თავი...

**„სანტოსის“ ერთ-ერთი ფუნქციონერი ამტკიცებს, ნეიმარი ზაფხულში „ბაიერნში“ გადავა - ეს ამბავი გადაწყვეტილიაო. მიუნხენური კლუბი კი ამ ინფორმაციას უარყოფს.**

კაცი, რომელიც დარწმუნებულია, რომ **ნეიმარი** კარიერას „ბაიერნში“ გააგრძელებს, ადვოკატი და ყოფილი პარლამენტარი **ვისენტე კასკიონეა**, რომელიც 90-იან წლებში სანტოსის მერობისთვის იბრძოდა და ამ კამპანიაში მას თვით პელე უჭერდა მხარეს. სწორედ ამ კაცმა დაწერა ახლა თავის ბლოგზე ასეთი რამ: *„პირველი წყაროდან მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნეიმარის ტრანსფერი გადაწყვეტილია და ის კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელებს. ნეიმარმა უკვე გააფორმა კონტრაქტი გერმანულ კლუბთან!“*

70 წლის ფუნქციონერი ამტკიცებს, რომ უტყუარ ინფორმაციას ფლობს: *„სპეკულაციები ჩემი სტილი არ არის. ეს ინფორმაცია უტყუარია! აი, ნახავთ, აგვისტოდან ნეიმარი „ბაიერნის“ ფეხბურთელი იქნება!“*

ვისენტეს „უტყუარ ინფორმაციას“ „ბაიერნი“ ოფიციალურად გამოეხმაურა და მისი ცნობები უარყო. *„ეს ინფორმაცია საერთოდ არ შეესაბამება სიმართლეს, მოლაპარაკებებიც კი არ მიმდინარეობს,“* - განაცხადა რეკორდმაისტერის პრესმდივანმა **მარკუს ჰიორვიკმა**.

21 წლის ნეიმარის გადაბირებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ბოლოს ფავორიტებად „ბარსელონა“ და „რეალი“ მიიჩნეოდნენ, ბრაზილიელი ფუნქციონერი კი თავისსას არ იშლის: *„ის არც ესპანეთში წავა, როგორც ყველა ფიქრობს და არც იტალიაში. არც ბარსელონა, არც მადრიდი - ნეიმარი გერმანიაში მიდის. ვისაც ამაში ეჭვი გეპარებათ, უბრალოდ მოიცადეთ და ნახავთ.“*

შეგახსენებთ, რომ ნეიმარს, რომელსაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ფორმით ჩატარებულ 32 შეხვედრაში 20 გოლი აქვს გატანილი, „სანტოსთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს.

გერმანიის ნაკრები

# ძველები და ახლები ბუნდესგუნდში

## ლიოვი ჰანტს, სემს და ვოლშაიდს დაუძახებს

აშშ-ის ტურნეში წასაყვანი ფეხბურთელების სიას გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ხვალ, ხუთშაბათს დაასახელებს, თუმცა ბევრი რამ მანამდეც გარკვეულია. „კიკერის“ ინფორმაციით, იოგი ამერიკაში **ჰაიკო ვესტერმანს, ანდრეას ბეკს, აარონ ჰანტს, დენის აოგოს** და **მარსელ იანსენს** წაიყვანს, **ფილიპ ვოლშაიდს** და **სიდნი სემს** კი ბუნდესგუნდში დებიუტი ექნებათ.

29 წლის ვესტერმანმა (ჰამბურგი) და 26 წლის ბეკმა (ჰოფენჰაიმი) გერმანიის ნაკრებში ბოლოს 2010 წლის 17 ნოემბერს, შვედეთთან მატჩში (0:0) იასპარეზეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ლიოვი ამ ფეხბურთელებს აშშ-ის ტურნეზე წაიყვანს, სადაც ბუნდესგუნდი 29 მაისს ეკვადორს უნდა შეხვდეს, 2 ივნისს კი აშშ-ის ნაკრებს (ვაშინგტონში). ამთავითვე ცნობილია, რომ თუ „ჰოფენჰაიმმა“ მოახერხა და მე-16 ადგილი დაიკავა, რაც „კაიზერსლაუტერნთან“ სარელეგაციო დუელებს გულისხმობს, მაშინ ბეკს სანაკრებო მოგზაურობაზე უარის თქმა და კლუბისთვის დახმარება მოუწევს.

ლიოვი ბუნდესგუნდის განაცხადს ოფიციალურად ხვალ დაასახელებს, მაგრამ გერმანიის ნაკრების შემადგენლობის კონტურები გამოიკვეთა, რადგან რაკი ეს სანაკრებო პაუზა ფიფას მიერ არაა დადგენილი, იოგი იძულებული გახდა, კლუბებისთვის არა მოთხოვნით, არამედ თხოვნით მიემართა. „კიკერის“ ჟურნალისტმა ისიც დაადგინა, რომ ლიოვი ნაკრებში „ვერდერის“ 27 წლის ნახევარმცველ აარონ ჰანტს და „ჰამბურგის“ მარცხენაფლანგელებს, დენის აოგოს (26) და მარსელ იანსენსაც (27) აბრუნებს.

ჰანტს ბუნდესგუნდში ბოლო მატჩი 2010 წლის 11 აგვისტოს (2:2 დანიასთან) აქვს ჩატარებული, აოგომ კი გერმანიის ნაკრების ფორმა უკანასკნელად 2012 წლის 29 თებერვალს (1:2 საფრანგეთთან) მოირგო. რაც შეეხება იანსენს: მან მარტში, ყაზახეთთანაც (4:1) ითამაშა.

როგორც ზემოთაც ვთქვით, დებიუტანტი მინიმუმ ორი იქნება: 24 წლის მცველი ფილიპ ვოლშაიდი და 25 წლის შემტევი სიდნი სემი (ორივე „ლევერკუზენი“). აღსანიშნავია, რომ ლიოვმა „ლევერკუზენში“ სწორედ ეს ფეხბურთელები მოიკითხა და არა გაცილებით გამოცდილები - **სიმონ როლფესი** (32), **გონსალო კასტრო** (25), **შტეფან რაინარტცი** (24) ან **შტეფან კისლინგი** (29). ეს უკანასკნელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი ხდება, იოგი კი ნაკრებში არა და არ იძახებს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



აარონ ჰანტი გერმანიის ნაკრებში ბრუნდება

Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია მაისის ნომერი!



ევროპალიგა. ფინალი

ბენფიკა VS ჩელსი

# ამაღამ, ამსტერდამ არენაზე

## ორჯერ უფრო გამოცდილი ფავორიტის წინააღმდეგ

**ბენფიკა–ჩელსი 22:45**

დისკვალიფიკაცია: ბა (ჩელსი)
ტრავმა: ტერი (?), აზარი (?), რომეუ (ჩელსი)
მსაჯი: ბ. კუიპერსი (ჰოლანდია)

**დღეს ჰოლანდიის ყველაზე ცნობილი არენა ევროთასებში რანგით მეორე ტურნირის ფინალს მასპინძლობს. ვინ მოიგებს ევროპალიგას, ჟორჟე ჟესუსის „ბენფიკა“ თუ რაფა ბენიტესის „ჩელსი“? ლისაბონელებიც და ლონდონელებიც დიდ გულზე არიან, ყველაფერი კი „ამსტერდამ არენაზე“ გამოჩნდება. ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება ტურნირი, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპებზე პანტა-პუნტით გამოცვივდნენ ქართული გუნდები: ქუთაისის „ტორპედო“ (I საკვალიფიკაციო ეტაპზე) და რუსთავის „მეტალურგი“ (II ეტაპზე). მხოლოდ გორის „დილა“ იყო ახლოს მიზანთან, ანუ ჯგუფურ ეტაპთან, თუმცა პლეი ოფში მადეირულ „მარიტიმუსთან“ ვერაფერი გააწყო (0:1, 0:2).**


ამსტერდამ არენა ფინალის წინ

### გზა ფინალამდე

ფინალში გამარჯვებული გუნდი ტიტულთან ერთად 5 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო დამარცხებული 2,5 მილიონით დაკმაყოფილდება. „ბენფიკაც“ და „ჩელსიც“ ამ ტურნირში პლეი ოფის სტადიიდან გადმოვიდნენ, მას მერე, რაც ხელი ჩემპიონთა ლიგაზე მოეცარათ („ჩელსი“ სულაც ჩემპიონთა თასის მფლობელია).

ლისაბონელებმა 1/32 ფინალში „ლევერკუზენი“ დაამარცხეს (1:0, 2:1), შემდეგ მოუგეს „ბორდოს“ (1:0, 3:2), გზიდან ჩამოიცილეს „ნიუკასლი“ (3:1, 1:1). ნახევარფინალში „ბენფიკა“ „ფენერბაჰჩეს“ დაუპირისპირდა და პირველ მატჩში პირველი მარცხი იწვნია - 0:1. თუმცა ლისაბონში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - 3:1.

„ჩელსიმ“ უფრო ნელი ტემპით დაიწყო, პირველი ეტაპიდან ჩეხური „სპარტა“ გააგდო - (1:0, 1:1). შემდეგ მოუგო „სტიაუას“ (0:1, 3:1) და „რუბინს“ (3:1, 2:3). ინგლისური კლუბი ნახევარფინალში „ბაზელს“ დაეჯახა და ეს ბარიერიც დასძლია (2:1, 3:1).

### ტერი და აზარი ითამაშებენ?

„ბენფიკა“ საკადრო პრობლემების გარეშე ეწვია ამსტერდამს, თუმცა ძალზე დამძიმებული განწყობით. საქმე იმაშია, რომ პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში პირველი და ვფიქრობთ, გადამწყვეტი მატჩი წააგო „პორტუსთან“ და ახლა ძალიან გაუჭირდება ჩემპიონობის მოპოვება.


ჩელსი სავარჯიშოდ მიემგზავრება


ამსტერდამის აეროპორტში ბენფიკას თავკაცი ჟორჟე ჟესუსი გამოჩნდა

„ჩელსის“ ორი ტრავმირებული ჰყავს **- ედენ აზარი** და **ჯონ ტერი.** ბოლო მომენტამდე მათი თამაში გამორიცხული ჩანდა, თუმცა **რაფა ბენიტესმა** ორივე იახლა ჰოლანდიაში. შესაძლოა, მათ მაინც შეძლონ მოედანზე გასვლა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბენფიკა:** *არტური - პერეირა, ლუიზაუ, გარაი, მელგარეჟო - მატიჩი, პერესი - სალვიო, ლიმა, გაიტანი - კარდოსო.*

**ჩელსი:** *ჩეხი - ასპილიკუეტა, კეჰილი, ივანოვიჩი, კოული - დ. ლუისი, რამირესი - ოსკარი, მატა, მოზესი - ტორესი.*

**იცით თუ არა, რომ...**

* „ბენფიკა“ ევროთასების ფინალში მეცხრედ ითამაშებს.

* მას მერე, რაც 1962 წელს, „ბენფიკამ“ ევროპის თასების თასი მოიგო, პორტუგალიურმა გრანდმა ზედიზედ 6 ფინალი დათმო.

* „ბენფიკას“ ფორვარდმა **ოსკარ კარდოსომ** ინგლისურ კლუბებთან ბოლო 10 მატჩში 6 გოლი გაიტანა.

* ევროთასებზე „ბენფიკას“ 362 მატჩი აქვს გამართული, ხოლო „ჩელსის“ ზუსტად ორჯერ ნაკლები - 181.

* ეს ორი კლუბი პირველად შარშანდელ სეზონში დაუპირისპირდა ერთმანეთს. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში **რობერტო დი მატეოს** გუნდმა ლისაბონში 1:0 მოიგო, ხოლო ლონდონში - 2:1 და ნახევარფინალში გავიდა.

* „ჩელსი“ გამარჯვების შემთხვევაში, პირველი კლუბი გახდება, რომელიც ზედიზედ ჯერ ჩემპიონთა თასს მოიგებს და შემდეგ ევროპალიგას.

* სამივე მთავარი ევროთასი (ჩემპიონთა თასი, თასების თასი და უეფას თასი (ევროპალიგა) მოგებული აქვს მხოლოდ სამ კლუბს: „იუვენტუსს“, „აიაქსს“ და „ბაიერნს“. „ჩელსის“ აქვს შანსი, გახდეს მეოთხე ასეთი კლუბი.

**ჟორჟე ჟესუსი** (ბენფიკა): *„ბენფიკამ“ თავისი სახე 60-იან წლებში შექმნა. ბოლო წლებში ჩვენ შევძელით ამ კლუბის აღორძინება და ევროპას თავი შევახსენეთ. თუ „ჩელსის“ და „ბენფიკას“ ბოლო წლების გამოსვლას ერთმანეთს შევადარებთ, ნორმალურია, რომ „ჩელსი“ ფავორიტად მივიჩნიოთ. მაგრამ ფინალი ფინალია. ჩემი აზრით, ფინალში ორი საუკეთესო გუნდი გავიდა. ეს ფინალი ჩემი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია“.*

**რაფა ბენიტესი** (ჩელსი): *„თავიდანვე გვჯეროდა, რომ ევროპალიგის მოგებას შევძლებდით. მაგრამ ძალიან ბევრი თამაშია და ძალიან ბევრი კარგი გუნდი, ამიტომ არ იყო იოლი ფინალში გასვლა და არც ფინალი იქნება იოლი. მეტოქეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, „ბენფიკა“ დიდებული გუნდია და მას ბრწყინვალე მწვრთნელი ჰყავს“.*

**ბომბარდირები:** 8 - ლიბორ კოზაკი (ლაციო); 7 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 6 - როდრიგო პალასიო (ინტერი), ოსკარ კარდოსო (ბენფიკა); 5 - რაულ ბობადილია (იანგ ბოისი), ფერნანდო ტორესი (ჩელსი), სალომონ რონდონი (რუბინი).

**ევროპალიგის ყველა ფინალი**

**2010 (ჰამბურგი):**
**ატლეტიკო-ფულჰემი 2:1**
**გოლები:** 1:0 ფორლანი (32), 1:1 დევისი (37), 2:1 ფორლანი (116)

**2011 (დუბლინი):**
**პორტუ-ბრაგა 1:0**
**გოლი:** 1:0 ფალკაო (44)

**2012 (ბუქარესტი):**
**ატლეტიკო-ბილბაო 3:0**
**გოლები:** 1:0 ფალკაო (7), 2:0 ფალკაო (34), 3:0 დიეგო (85)

ტრავმა


ლეო მესი

# მესის სეზონი დაასრულა!

## ექიმებმა არგენტინელს 2-3 კვირა დასვენება გამოუწერეს

„ბარსელონას“ ექიმებმა გამოამზეურეს **ლეო მესის** ტესტების შედეგი, რომელიც არცთუ კარგი აღმოჩნდა არგენტინელი ფეხბურთელისთვის. ტესტირებამ აჩვენა რომ მესის მარჯვენა ფეხის კუნთი უკიდურესად დაჭიმულია. ლეოს ტრავმის მოსარჩენად 2-3 კვირა ესაჭიროება. ასე რომ, მისთვის ეს სეზონი დასრულებულია.

არგენტინელმა ტრავმა „ვისენტე კალდერონზე“ გაიმიზეზა. მესიმ, რომც მოასწროს ბოლო ტურისთვის გამოჯანმრთელება, „ბარსას“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ აღარ ათამაშოს.

მესის ამ სეზონში ლა ლიგაში 46 გოლი აქვს გატანილი და ის ველარ გააუმჯობესებს შარშანდელ მიღწევას (50 გოლი).

ჩაშლილი ტრანსფერი

# რატომ არ იყიდა რეალმა ფალკაო

სეზონის განმავლობაში მადრიდის „ატლეტიკოს“ 26 წლის ფორვარდის, **რადამელ ფალკაოს** სავარაუდო ტრანსფერად „რეალი“ სახელდებოდა. „სამეფო კლუბი“ ფავორიტი იყო, თუმცა ამ ბოლო დროს უკვე აღარ არის საუბარი ამ ტრანსფერზე.

რატომ ვერ შესწვდა „სამეფო კლუბი“ „ატლეტიკოს“ ცენტრფორვარდს?

როგორც ესპანური პრესა იუწყება, ამის მიზეზი „ატლეტიკო“ არ ყოფილა. არამედ, თავად კოლუმბიელი ფორვარდის მეტისმეტი მადა. რადამელმა „რეალს“ ისეთი პირობები მოსთხოვა, როგორიც კლუბში არც ერთ ფეხბურთელს არა აქვს, თვით **კრიშტიანო რონალდოსაც** კი.

ფალკაოს ფინანსური პრეტენზიები საბოლოოდ **ფლორენტინო პერესისთვისაც** მოსაბეზრებელი აღმოჩნდა და ტრანსფერზე მუშაობის შეწყვეტა ბრძანა.

დღეისათვის ფალკაოს აგენტი რამდენიმე კლუბს ელაპარაკება. სავარაუდოდ, რადამელი „მონაკოში“ გადავა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ფალკაო (მარცხნივ) რეალში ვერ ითამაშებს

N 1 საავტომობილო ჟურნალი მსოფლიოში

სენსაცია


ვალტერ მაცარის ნეაპოლიდან აბარგების დრო დაუდგა

# მაცარი ნეაპოლიდან მარადიულ ქალაქში

## ნაპოლი კი ბენიტესს უხმობს

გუშინ, იტალიური სპორტული მედია სენსაციურმა ცნობამ მოიცვა: პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ ვალტერ მაცარი „ნაპოლის“ დატოვებს და მომდევნო სეზონიდან „რომას“ მთავარი მწვრთნელი იქნება. ამ ამბავს თითქმის ყველა გამოცემა ადასტურებს და რაც მთავარია, მიმდინარე მოლაპარაკებებს თვით დედაქალაქური კლუბის სპორტული დირექტორი არ უარყოფს. უკვე „ნაპოლის“ მესვეურებმაც აღიარეს, რომ მაცარი ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე უარს აცხადებს. მოკლედ, დიდი გარიგება მწიფდება - ვალტერ მაცარი ნეაპოლიდან მარადიულ ქალაქში მიდის...

### სეხნიები თითქმის შეთანხმდნენ

„ნაპოლის“ პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** ადასტურებს, რომ **ვალტერ მაცარიმ** კიდევ ერთხელ განაცხადა უარი ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე. არადა, ნეაპოლური კლუბის პრეზიდენტმა მწვრთნელს პირობების მკვეთრად გაუმჯობესება შესთავაზა - თავად განსაჯეთ, აქამდე მაცარი სეზონურად 2.8 მილიონ ევროს იღებდა, მომდევნო სეზონიდან კი შეეძლო 4 მილიონი გამოემუშავებინა. დე ლაურენტისი ღიად აცხადებს, რომ მაცარიმ მას მორიგი უარი უთხრა:

*„ყველაფერს ვილონებ, რომ ვალტერ მაცარი შევინარჩუნოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამის გაკეთება ურთულესი იქნება. ვალტერმა კიდევ ერთხელ გვითხრა უარი და თანაც, ისეთ წინადადებაზე, რომელსაც უბრალოდ ვეღარ გავაუმჯობესებთ. როგორც ჩანს, საქმე ფინანსებში არაა და მწვრთნელს ახალი გამოწვევა სჭირდება. მაცარის უდიდეს პატივს ვცემ და რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს, მის გულშემატკივრად დავრჩები“.*

ამასობაში, ვალტერ მაცარის „რომას“ მესვეურებთან დაუწყია მოლაპარაკებები, რომელიც თურმე წარმატებით მიმდინარეობს. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, კონტრაქტის დეტალებზე მხარეები უკვე ჩამოყალიბდნენ და მხოლოდ წვრილმანი დეტალებია შესათანხმებელი. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, უახლოეს დღეებში მაცარი „რომას“ სპორტულ დირექტორს **ვალტერ საბატინის** შეხვდება და კონტრაქტის დეტალების გარდა, ზაფხულის სატრანსფერო გეგმებზეც ისაუბრებს. დიახ, როგორც გავიგეთ, მაცარის 3-4 უმაღლესი კლასის ფეხბურთელის გადაბირება მოუთხოვია და რომაელებიც დათანხმებულან. რაც მთავარია, მაცარისთან მიმდინარე მოლაპარაკებებს საბატინიც ადასტურებს:

*„მაცარის უკვე შევხვდი და ამის დამალვას ნამდვილად არ ვაპირებ. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და მართლაც დიდია იმის შანსი, რომ შეთანხმება შედგეს. ვალტერი დაინტერესებულია რომში გადმობარგებით და მთავარიც ესაა. სატრანსფერო თემები? - ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა და მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. მაცარი ჯერ კიდევ „ნაპოლის“ მწვრთნელია, სეზონი კი ჩასამთავრებელი. მოკლედ, მოლაპარაკება მიმდინარეობს“.*

ვალტერ საბატინის ასეთი ღია განცხადება ბევრმა გაიკვირვა, რადგან „რომას“ სეზონის მთავარი მატჩი აქვს ჩასატარებელი... შეგახსენებთ, რომ 26 მაისს იტალიის თასის ფინალში ერთმანეთის პირისპირ „რომა“ და „ლაციო“ წარდგებიან. ამ მატჩისთვის გუნდს **აურელიო ანდრეაცოლი** ამზადებს, რომელიც არ მალავს, რომ პოსტის შენარჩუნება ძალიან უნდა. მეორე მხრივ, ანდრეაცოლი კლუბის დირექტორატის ნევრიცაა, მის გარეშე მაცარისთან მოლაპარაკებები მაინც არ დაიწყებოდა და გამომდინარე აქედან, მისთვის რაიმეს დამალვა ისედაც არ გამოდიოდა. ასეა თუ ისე, ვალტერ მაცარი „ჯალოროსის“ უახლოვდება და თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, მოლაპარაკების წარმატებით დასრულება გარდაუვალია.

### ბენიტესი ნაპოლიში?

არანაკლებ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა ვალტერ მაცარის შესაძლო შემცვლელთან დაკავშირებით... იმავე „გაძეტას“ მტკიცებით, ნეაპოლელები მაცარის შემცვლელად რამდენიმე კანდიდატს განიხილავენ, რომელთა შორის პრიორიტეტული **რაფაელ ბენიტესია**. ესპანელმა სპეციალისტმა უკვე განაცხადა, რომ ტოვებს ლონდონის „ჩელსის“ და შესაბამისად, საინტერესო წინადადებების მოლოდინშია. აპენინელ ჟურნალისტთა მტკიცებით, აურელიო დე ლაურენტისი რაფას 2-წლიან ხელშეკრულებას შესთავაზებს და მთელი ამ დროის განმავლობაში, მწვრთნელი 6 მილიონ ევროს მიიღებს. ბენიტესის პოზიცია ჯერ უცნობია და ამ ეტაპზე, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს - სეზონი ჩასამთავრებელია, რაფა ჯერ კიდევ „ჩელსის“ უდგას სათავეში, „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელი კი მინიმუმ ერთი თამაშით, ვალტერ მაცარია. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

იუვენტუსი

# 25 მილიონი იგუაინის სანაცვლოდ

## მადრიდული კომპრომისის მოლოდინში


გონსალო იგუაინი ტურინელთა პრიორიტეტული სამიზნეა

ტურინში აღარ მალავენ, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, „იუვენტუსის“ პრიორიტეტული სამიზნე **გონსალო იგუაინი** იქნება. 25 წლის არგენტინელი ფორვარდი „რეალიდან“ აბარგებას აპირებს და როგორც ამბობენ, იტალიაში გადასვლის წინააღმდეგი არაა. ერთი ეგაა, რომ მადრიდელები გონსალოში საკმაოდ სოლიდურ თანხას, 30 მილიონ ევროს ითხოვენ და შესაბამისად, შეთანხმება ერთი ხელის მოსმით ვერ შედგება.

„გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, მოლაპარაკების პირველ რაუნდში, ტურინელებმა ესპანელებს 22 მილიონი ევრო შესთავაზეს, რაზეც მტკიცე უარი მიიღეს. თუმცა, იტალიელები დანებებას არ აპირებენ და თანხის კიდევ უფრო გაზრდას გეგმავენ. ჩვენი აპენინელი კოლეგების მტკიცებით, „იუვეს“ მესვეურები მადრიდელებს 25 მილიონ ევროს შესთავაზებენ... თანხების დასახელებისგან ტურინული გრანდის სპორტული დირექტორი თავს იკავებს, მაგრამ მოლაპარაკებას ადასტურებს - მოვუსმინოთ **ჯუზეპე მაროტას**:

*„ანტონიო კონტეს გონსალო იგუაინის მიმართ განსაკუთრებული სიმპათია აქვს და შესაბამისად, მის გადასაბირებლად ყველაფერს გავაკეთებთ. მოლაპარაკება მიმდინარეობს და ნესით, წარმატებით უნდა დასრულდეს. თუმცა, დღეს სატრანსფერო ფასზე და ხელფასის ოდენობაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. უმჯობესია, სეზონის დასრულებას დაველოდოთ და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი“.*

რასიზმი

# ზეპ ბლატერი ფედერკალჩომ აღაშფოთა

## ფიფას პრეზიდენტს სასჯელი ემსუბუქა


მარიო ბალოტელის ტიფოზები არ ნყალობენ

იტალიურ საფეხბურთო სამყაროში რასიზმის თემამ კიდევ ერთხელ იფეთქა. „მილანი“-“რომას“ შეხვედრაში, „სან სიროზე“ შეკრებილმა დედაქალაქელმა ტიფოზებმა **მარიო ბალოტელი** ამოიჩემეს და მთელი შეხვედრის განმავლობაში, მას რასისტული შეძახილებით ამკობდნენ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული ფაქტი უყურადღებოდ არ დატოვა და „რომას“ სასჯელის სახით ფინანსური სანქცია დაუწესა: „ჯალოროსის“ მესვეურებს 50 000 ევროს გადახდა დაეკისრათ. ასეთმა მსუბუქმა სასჯელმა თვით ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** აღაშფოთა და თანაც იმდენად, რომ საგანგებო განცხადება გაავრცელა:

*„გაკვირვებული ვარ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც ფედერკალჩოში გამოიტანეს. რასიზმის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გვაქვს გამოცხადებული, 50 000 ევრო კი სადამსჯელო სანქციად ნამდვილად ვერ გამოგვადგება. უახლოეს დღეებში, იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში დავრეკავ და პირადად დავინტერესდები მომხდარით. ჩემთვის მიუღებელია ისიც, რომ გადაწყვეტილება მატჩის დასრულებიდან ერთ საათში მიიღეს, თითქოს ამით მოვალეობა მოიხადეს. საჭირო იყო საქმის დეტალური გამოძიება, დამნაშავეების გამოვლენა და კონკრეტული პირების დასჯა. ამ საქმეს პირად კონტროლზე ავიყვან“.*

პოზიცია


ალესანდრო ალტობელი

# ალტობელიმ მორატი გააკრიტიკა

მიმდინარე სეზონი, „ინტერისთვის“ ყოველმხრივ წარუმატებელი გამოდგა - გუნდმა ვერც ევროარენაზე მიაღწია წარმატებას და ვერც შინაურ ასპარეზზე. თუმცა, რომელ წარმატებაზეა ლაპარაკი, როდესაც ბევრის აზრით, „ნერაძური“ ასეთი სუსტი ბოლო 50 წელია არ ყოფილა. დაახლოებით ამავე პოზიციაზეა გუნდის ყოფილი ფორვარდი და ცოცხალი ლეგენდა **ალესანდრო ალტობელი**. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **მასიმო მორატის** აკრიტიკებს და შემდეგს აცხადებს:

*„სიმართლე გითხრათ, ასეთი სუსტი „ინტერი“ ჩემს მეხსიერებას არ ახსოვს და ბუნებრივია, ამას ვერაფრით ვეგუები. გუნდს არ აქვს არც საბაზო ტაქტიკა, არც სტრატეგია და არც უბრალო მონახაზი. ვერაფრით ვხსნი, რატომ ენდობა მასიმო მორატი ანდრეა სტრამაჩონის... თუ ვითარება არ შეიცვალა და პირველ რიგში, მწვრთნელი არ გამოიცვალა, მომდევნო სეზონშიც განწირულები ვიქნებით. ჩემი ნება რომ იყოს, ვალტერ მაცარის მოვიწვევდი, რადგან სწორედ მას შეუძლია ყველაზე სწრაფად არეული გუნდის დალაგება. სიმართლე გითხრათ, მორატის ვერაფერი გავუგე - მისი გადაწყვეტილებები სულ უფრო ნაკლებად მესმის“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



● სამბო. საქართველოს ნაკრები. ინტერვიუ მთავარ მწვრთნელთან

# ევროპულ მედლებს სამბისტებიც გვპირდებიან

**საქართველოს სამბისტთა ნაკრები 17 - 21 მაისს იტალიის ქალაქ კრემაში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს. გუნდმა ახალი სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობით ამ შეჯიბრებისთვის სამზადისში სამი შეკრება გაიარა, გამოვიდა საქართველოს ჩემპიონატში და ხარლამპიევის თასზე მოსკოვში. ბოლო შეკრებას გუნდი გორის ჭიდაობის კომპლექსური სკოლის დარბაზში გადის. გთავაზობთ ინტერვიუს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჯონდო მუზაშვილთან.**

- მე და მეორე მწვრთნელმა ვანო არაბულმა (გვეხმარებოდა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ავთანდილ ცინცაძეც) შეკრება სამ ეტაპად დავყავით: ფიზიკური - ბაკურიანში, ნახევრად ფიზიკური (შერეული) - დუშეთში გავიარეთ, ახლა გორში, ხალიჩაზე ვემზადებით. ასეთმა მიდგომამ სპორტსმენი შეჯიბრებაზე ფორმის პიკში უნდა მიიყვანოს. სამივე ეტაპი ძალიან ნაყოფიერი გამოდგა, განსაკუთრებით მიმდინარე შეკრებას ალვნიშნავ. წონებში პირველ-მეორე ნომრები ჩამოვიყვანეთ გორში სპარინგპარტნიორებად. აქ ბევრი სხვადასხვა სტილის ძლიერი მოჭიდავეა. საერთოდაც გორი ხომ ჭიდაობის უძლიერესი ცენტრია! ამდენი შეკრება ევროპის ჩემპიონატის წინ ადრე იშვიათობა იყო.

**- სატურნირო გამოცდილების თვალსაზრისით ალბათ ასე ვერ ვიტყვით...**

- რასაკვირველია, მეტ შეჯიბრებაში მონაწილეობა გვსურს, მაგრამ ბიუჯეტი როგორც გავწვდება, ისე ვიყენებთ, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ევროპის ჩემპიონატამდე სადმე სასურველი შეჯიბრება იყო და გამოვტოვეთ.

**- რა კრიტერიუმით დააკომპლექტეთ საევროპოდ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა?**

- ცალკეულ შეჯიბრებას არ დავყრდნობივართ. შესაძლებელია ვინმემ ტურნირზე ვერ აჩვენოს მაქსიმალური შედეგი, მაგრამ უშუალოდ ჩემპიონატის წინ შეკრებაზე მწვრთნელს კონკურენტთან შედარებით თავისი უპირატესობა დაუმტკიცოს. რაც შეეხება უშუალოდ შემადგენლობას, 52 და 57 კგ-ში ახალგაზრდა და პერსპექტიული სამბისტები გივი ნადარეიშვილი და ვახტანგ ჩიდრაშვილი იასპარეზებენ. მათ ყველაფერი გააკეთეს წონებში ლიდერობის მოსაპოვებლად. 62 კგ-ში ტიტულოვანი უშანგი კუზანაშვილი იჭიდავებს. 68 და 82 კგ-ში გამოკვეთილი ლიდერები არიან ლევან ნახუცრიშვილი და ნიკო კუცია. 74 კგ-ში კახა მამულაშვილი გამოვა, 90 კგ-ში პაატა ლვინიაშვილი. 100 კგ-ში კი ლაშა გურული ლიდერობს. იოლი არ იყო არჩევანის გაკეთება + 100 კგ-ში, სადაც საქართველოს ჩემპიონი ონისე ბუღაძეა, თუმცა აქ გვყავს ევროპის მოქმედი ჩემპიონი სამბოში ნოდარ მეტრეველი, რომელსაც ტრავმის გამო ბოლოს არც საქართველოს ჩემპიონატზე და არც ხარლამპიევის თასზე უჭიდავია. მე ვესაუბრე მის პირად მწვრთნელს და გადავწყვიტეთ, ამ ეტაპზე პირდაპირ ნოდარ მეტრეველზე გაგვეკეთებინა არჩევანი. დარწმუნებული ვარ, რომ გუნდის დაკომპლექტების მერე არც ერთი კითხვის ნიშანი არა აქვთ სპორტსმენებს, რადგან შევეცადე მაქსიმალურად ობიექტური ვყოფილიყავი.

აქვე დავამატებ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ორი მონაწილე ქალებშიც გვეყოლება. მათმა მთავარმა მწვრთნელმა ვალერი პარუნაშვილმა შორენა შარაძე (64 კგ) და ირინა ლეონიძე (80) შეარჩია საამისოდ, რომლებიც შეკრებაზეც არიან ჩვენთან.

**- თავისუფალი და ძიუდოს ნაკრებების ახალ სამწვრთნელო შტაბებსაც დებიუტი ევროპის ჩემპიონატებზე ჰქონდათ და ორივე სახეობაში ბრწყინვალე შედეგები მივიღეთ. თავად რას ელით ამ შეჯიბრებისგან?**

- პროგნოზის გაკეთება ძნელია, თუმცა იმედი მაქვს, რომ ყველა ხარისხის მედალი გვექნება. შევეცდებით სხვა საჭიდაო სახეობების ნაკრებების დარად წარმატებულად ვიასპარეზოთ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
ფოტო: qartlisport.ge


ჯონდო მუზაშვილი ვარჯიშზე შეგირდებთან

● ჭიდაობა

# მარტინეტი შეტევაზე გადავიდა

მსოფლიოს საჭიდაო სამყარო კვლავ გვაოცებს თავისი არაორდინარულობით - როცა სპორტის ამ უძველესი სახეობის ოლიმპიადიდან ამოღების საკითხი წყდებოდა, საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) ყოფილი პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი** ცოდვების მონანიების ნაცვლად შეტევაზე გადავიდა და ეჭვქვეშ დააყენა როგორც მისი დროებითი შემცვლელის, სერბი **ნენად ლალოვიჩის** პოსტზე ყოფნა, ასევე - 18 მაისს დანიშნული ფილა-ს რიგგარეშე კონგრესის კანონიერება. ვერ გეტყვით, მისი რისხვის გასანეიტრალებლად იყო თუ არა, მაგრამ 10 მაისს ფედერაციის სასამართლო არბიტრაჟმა არც მწვადი დაწვა, არც - შამფური: აქეთ ლალოვიჩისა და კონგრესის ლეგიტიმურობა ცნო, იქით კი მარტინეტი ფილა-ს... ბიუროს წევრად დაამტკიცა! გასაგებად რომ ვთქვათ, ამით შვეიცარიელ საქმოსანს, რომლის სახელსაც უკავშირდება ჭიდაობის ამოღების საფრთხე ოლიმპიადის პროგრამიდან, ისევ მისცეს მართვის ბერკეტები და ისევ მიუშვეს ხელმძღვანელ სტრუქტურასთან. მარტინეტიმ თუ იმ რეალობიდან ამოსვლა და აქამდე მიღწევა მოახერხა, დიდი შანსია, მომავალში კვლავაც ფილა-ს „რუხ კარდინალად" იქცეს - მას რომ დიდი გავლენა ჰქონდა ბიუროზე, საიდუმლოდ არავისთვის რჩებოდა... ამ კომიკურ სიტუაციას ბეჭედი რუსეთის „საჭიდაო მამამ" - **მიხეილ მამიაშვილმა** დაუსვა, მარტინეტის ბიუროში დატოვება სოლომონისეული (ანუ გონივრული) გადაწყვეტილება იყოო. საჭიდაო სამყაროსგან მას შემდეგ არაფერი მიკვირს, როცა თებერვლის იმ სკანდალის შემდეგ, ჭიდაობის ოლიმპიადიდან ამოღების რეკომენდაცია რომ გახმოვანდა, მარტინეტის პოსტზე დატოვებას ბიუროს 21 წევრიდან 10-მა დაუჭირა მხარი და მისი გადაყენება მხოლოდ ერთმა ხმამ გადაწყვიტა, მაგრამ დინების ალმა ამდენი ცურვაც მეტისმეტია. ბარემ, ოფიციალურად დააბრუნონ და ის იქნება!

ვეჭვობ, მოჭიდავეები იმდენს იზამენ, სოკ-ი თუ რამე დათმობაზე ფიქრობდა წასვლას, იმასაც გადააფიქრებინებენ და ოლიმპიადის პროგრამაში დატოვება კი არა, კინწისკვრით გამოაგდებენ იქიდან. თუმცა არც ისაა გამორიცხული, ფილა-ს ეს გადაწყვეტილება სოკ-თანაც იყოს შეთანხმებული. წინაამდეგ შემთხვევაში, არა მგონია, ამდენი გაებედოთ. მით უფრო, ვრცელდება ცნობები, რომ სოკ-ის აღმასკომს მიეცა რეკომენდაცია, ამოსაღებად შეგულებული რვა სახეობიდან ჭიდაობა, სქვოში და კარატე დატოვოს ოლიმპიადის პროგრამაში. ეს საკითხი საბოლოოდ სექტემბერში ბუენოს აირესში გადაწყდება, მანამდე კი 18 მაისს ჯერ მოსკოვში ფილა-ს რიგგარეშე კონგრესი ჩატარდება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებით, სადაც ლალოვიჩი ერთადერთი პრეტენდენტი იქნება (ყოველ შემთხვევაში, ჯერ სხვა კანდიდატი არ არის დასახელებული) და აირჩევენ კიდეც, მერე კი 30 მაისს სოკ-ის აღმასკომი ზემოხსენებული რვა სახეობის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციას განიხილავს.

ამასობაში საინტერესო განცხადება გააკეთა თავად ლალოვიჩმა, როცა ფილა-ს განზრახვა გაამხილა, ოლიმპიადაზე ვაჟებს თითო წონას მოვაკლებთ და ქალებს დავუმატებთო. მას არ დაუზუსტებია, რომელი წონების ამოღებას აპირებენ, მაგრამ არაოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ლაპარაკია ორივე სტილის ჭიდაობაში 55-55 კილოგრამების ამოღებაზე. თუ ეს განხორციელდა, მაშინ ჭიდაობაშიც, ძიუდოს მსგავსად, წონების ათვლა 60 კილოგრამიდან დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადის პროგრამაში ვაჟების 7-7 წონაა, ქალებისა - მხოლოდ 4, დაანონსებული რეფორმით კი თამაშებში მათი რიცხვი გათანაბრდება. თანამედროვე მსოფლიოს და მათ შორის სპორტის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგია ხომ ქალთა როლისა და წარმომადგენლობის გაზრდაა.

**ირაკლი თავაძე**


რაფაელ მარტინეტი პროცესებს ზვერავს

● კონტაქტები


გია აბაშიძე (მარცხნიდან მესამე) და ვახტანგ იაგორაშვილი ქართველ და ამერიკელ მოფარიკავეებთან ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ

# საქართველოს რა დაავიწყებთ

## ვახტანგ იაგორაშვილი და გია აბაშიძე სამშობლოს შეგირდებითურთ ეწვივნენ

თბილისის ფარიკაობის დარბაზში ხალხმრავლობაა - ხმალ-დაშნიანი მუშკეტერები ჭარბობენ. ერთმანეთში ირევა ინგლისურ-ქართული საუბარი.

- პენსილვანიის შტატის სტეიტკოლეჯის უნივერსიტეტის სპორტსმენები გვეწვივნენ ოთხი მწვრთნელის - გია აბაშიძის, ვახტანგ იაგორაშვილის, ემანუელ კაიდანოვისა და ვეს გლონის ხელმძღვანელობით, - ამიხსნა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით სახვაძემ**. - მე და გია ხშირად ვხვდებით ერთმანეთს შეჯიბრებებზე. დიდი ხანი ოცნებობდა სამშობლოში ამერიკელ შეგირდებთან ერთად ჩამოსვლაზე. ახლა მიეცა ამის საშუალება. ამერიკელი მუშკეტერები საქართველოს ისტორიულ ძეგლებსა და ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებენ, ქართველ კოლეგებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას ჩაატარებენ.

წლების წინათ **ვახტანგ იაგორაშვილთან** არაერთხელ მისაუბრია. იგი 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია თანამედროვე ხუთჭიდში. 1986 წელს კეთილი ნების თამაშები მოიგო პირადსა და გუნდურში, 1990 წელს კი პირად პირველობაში მეორე იყო, ევროპის ჩემპიონატებზე 1987 და 1989 წლებში სამი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, სამსამგზის მსოფლიოს (1989 წელს საქართველოს, 1999 და 2000 წლებში - აშშ-ის სახელით), საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჩემპიონია, 1998 და 2004 წლებში მსოფლიოს პირველობებზე ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ერთხელ პანამერიკული თამაშები მოიგო.

- 1991 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრე, - გვითხრა ვახტანგ იაგორაშვილმა. - ოკეანის გაღმა კი ვცხოვრობდი, მაგრამ შეჯიბრებებში საქართველოს სახელით გამოვდიოდი. 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაზეც ვიასპარეზე. მხედართა შეჯიბრებამდე მე-3 ადგილზე ვიყავი, მაგრამ ცხენმა დამალალატა და კვარცხლბეკს მიღმა აღმოვჩნდი. ოლიმპიური თამაშების შემდეგ ამერიკის მოქალაქეობა მივიღე, ბოსტონში 6,5 წელიწადი ვიმუშავე - ფარიკაობის კლუბი გავხსენი. ახალგაზრდებსა და კადეტებში ამერიკის ჩემპიონები და პრიზიორები გავზარდე. რვა თვეა, სტეიტკოლეჯში გადავედი სამუშაოდ.

**- თბილისს ხომ არ ივიწყებთ?**

- საქართველოსთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია, რადგან აქ ნათესავები და ახლობლები მყავს. ან ტრიფონ მესხისა და ივანე ლუცენკოს ღვაწლის დავიწყება როგორ შემიძლია - სპორტულ კარიერაში რასაც მივაღწიე, მათი დამსახურებაა.

ამ საუბარში ვიყავით, **გია აბაშიძე** რომ შემოგვიერთდა. ქართული სპორტის სტაჟიან გულშემატკივრებს, ალბათ, ემახსოვრებათ გუნდურში საბჭოთა კავშირის 1979 წლის ჩემპიონის, რაპირაში ახალგაზრდებს შორის საკავშირო პირველობების ხუთგზის გამარჯვებულის წარმატებები. იგი ხომ წლების განმავლობაში საკავშირო ნაკრების წევრი იყო. 1994 წლიდან პენსილვანიის შტატის სტეიტკოლეჯში ცხოვრობს და ფარიკაობის მწვრთნელად მუშაობს. თვალსაჩინო წარმატებები აქვს: მისმა შეგირდებმა - ჰენა ტომსონმა და დორის ვილეტმა 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე გუნდურში ქალთა შორის ვერცხლის მედლები მოიპოვეს რაპირაში, კოლდი მეთერნი გუნდურში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონია დაშნით ფარიკაობაში. მექსიკას 1992 წლის შემდეგ ოლიმპიადებზე მოფარიკავე არ ჰყოლია. 2012 წელს კი ლონდონში გია აბაშიძის შეგირდმა დანიელ გომესმა იასპარეზა. ამერიკელთაგან გუნდურში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები არიან დევიდ ვალეტი, მეტა ტომსონი, ანდრას ჰესონი და ნაბუო ბრავო.

- უნივერსიტეტში შესანიშნავი პირობები გვაქვს სპორტსმენებთან სამუშაოდ. კარგადაც გვაფინანსებენ, ამიტომ ხშირად ვმონაწილეობთ შეჯიბრებებში. ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა სპეციალური ფონდი გახსნეს. იქ დაგროვებული თანხით ოთხ წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტის მოფარიკავეთა ნაკრები სხვადასხვა ქვეყანაში მიგვყავს ერთობლივი საწვრთნელი შეკრებებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, თან მასპინძელთა კულტურას, ღირსშესანიშნაობებს ვეცნობით. ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ავისრულე და საქართველოს ვეწვიეთ. 13 მოფარიკავე ჩამოვიყვანეთ. ორი კვირის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ადგილებს დავათვალიერებინებთ და მასპინძლებთან ერთობლივ ვარჯიშებსაც გავმართავთ. ამგვარი კონტაქტები ორ ქვეყანას შორის შემდგომ დამეგობრებას შეუწყობს ხელს, - გვითხრა გია აბაშიძემ.

**- პროფესიული კონტაქტებიც ხომ არ არის გათვალისწინებული?**

- ქართველი მოფარიკავე თეოდორა კახიანი სექტემბრიდან სტეიტკოლეჯის უნივერსიტეტში ისწავლის უფასოდ, ამ სასწავლებლის ღირსებას დაიცავს, საერთაშორისო სარბიელზე კი საქართველოს სახელით გამოვა.

**იური ოსიპოვი,** მსოფლიოს ჩემპიონი, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი: „ბევრი ჩვენი სახელოვანი მოფარიკავე წარმატებით მუშაობს სხვადასხვა ქვეყანაში. დასტურად გია აბაშიძისა და ვახტანგ იაგორაშვილის საქმიანობაც კმარა. სწორედ მათი დახმარებით იქცა ფარიკაობა ამერიკაში სპორტის წამყვან სახეობად. ორივეს სამშობლოში დაბრუნებისა და აქ მუშაობის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ამჟამად მათს ჩამოსვლას აზრი არა აქვს, რადგან სათანადო პირობებს ვერ შევუქმნით. საამისოდ სპორტის დამსახურებული ოსტატის, სახელოვანი მუშკეტერის გურამ კოსტავას მაგალითიც კმარა - ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორსა და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს, რომელიც შვიდი თვეა დაგვიბრუნდა, სხვა თუ არაფერი, ტიტულების შესაფერისი პენსიაც ვერ დავუნიშნეთ. რაც შეეხება ორი ქვეყნის მოფარიკავეთა კონტაქტებს, ეს ჩვენს სპორტსმენებს დაოსტატებაში დაეხმარება".

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● ჩოგბურთი

# ტატიშვილი წყვილებს შემორჩა

იტალიის დედაქალაქში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2.369.000 დოლარი), რომელშიც ორი ქართველიც ჩაება. ერთეულთა თანრიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე **ანა ტატიშვილი**, ფაქტობრივად, უბრძოლველად დანებდა იულია პუტინცევას (ყაზახეთი) - 2:6, 1:6. წყვილებში ქართველი ჩოგბურთელი კატალინ მაროშთან (უნგრეთი) შეამხანაგებული ნასტასია ბურნეტისა (იტალია) და ხრისტინა მჩეილის (აშშ) დუეტს დაუპირისპირდა. სამსეტიან პაექრობაში ჩვენებურმა იმარჯვა - 5:7, 6:2, 10:6 და მომდევნო ეტაპზე მე-2 ნომრად განთესილ ნადია პეტროვას (რუსეთი) და კატარინა სრებოტნიკის (სლოვენია) ტანდემს გაუწევს მეტოქეობას.

წყვილთა პაექრობებში ცდიდა ძალებს **ოქსანა კალაშნიკოვა** პოლონელ ალისია პოზალსკასთან ერთად, მაგრამ სტარტზევე ანა-ლენა გრიუნფელდსა (გერმანია) და კვეტა პესჩკესთან (ჩეხეთი) დამარცხდა - 1:6, 1:6.

**ვაჟა დანელია**



● ჭადრაკი

# 3 მოგება, 1 ყაიმი

პოლონურ ლეგნიცაში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ მე-9 ტურის შეხვედრები გაიმართა. ტომი ნიბეკი (ფინეთი)-**ბაადურ ჯობავა** 0.5:0.5, მიხაილ ანტიპოვი (რუსეთი)-**მერაბ გაგუნაშვილი** 0:1, **თორნიკე სანიკიძე**-ბახრუზ რზაევი (აზერბაიჯანი) 1:0, **დავით ლომსაძე**-ბერგერ ვენზელი (გერმანია) 1:0.

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე 7,5 ქულით ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა) ლიდერობს, კონსტანტინ ლუპულესკუ (რუმინეთი) და ევგენი ალექსეევი (რუსეთი) 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. ჯობავა, გაგუნაშვილი-5.5-5.5, სანიკიძე-5, ლომსაძე-3 ქულა.

**ვაჟა დანელია**



## მილოცვა

ლელოელები დაბადების საიუბილეო 80 წელს ვულოცავთ ქართველ სპორტსმენთა და ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს, ყველასთვის საყვარელ მსახიობ **გივი ბერიკაშვილს.**

● მშვილდოსნობა. ევროპის ახალგაზრდული თასი

# ახალგაზრდული გაელვება

## სლოვენიაში ქართული მშვილდოსნობის მომავალი გამოჩნდა

ლიუბლიანაში დაიწყო ევროპის თასი ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა შორის, რომელშიც წარმატებით ჩაებნენ ჩვენი მოზარდები. ბუნებრივია, ყველას ერთნაირად კარგად არ მოუზიდავს მშვილდი, მაგრამ რამდენიმემ მოსალოდნელზე უკეთ იასპარეზა.

უწინარესად, ეს ჩვენი ახალგაზრდა ბიჭების ლიდერ **ლაშა ფხაკაძეზე** ითქმის, რომელმაც შესარჩევი ეტაპი მეხუთე ადგილზე დაასრულა - 622 ქულა. ფხაკაძე ჩვენს დელეგაციაში ყველაზე გამოცდილია - მოგეხსენებათ, ის შარშან ეროვნულ ნაკრებში ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიისთვისაც კი იბრძოდა და მიზნამდე ერთი მოგება დააკლდა. ლაშამ სლოვენიაშიც კარგად ისროლა და თურქ **იაგიზ ილმაზთან** ერთად თავიდანვე დაწინაურდა - რამდენიმე სერიის განმავლობაში მეტოქეები ერთმანეთს უცვლიდნენ პირველ-მეორე ადგილს, მერე კი მათ დავაში ჯერ უნგრელი **არპად ბანდა** ჩაერია, მერე მეორე თურქი **კერემ კირსევერიც** და ბელგიელი **რობინ რამაეკერსიც**. ერთხანს მასპინძელი **იან რიავეციც** მოწინავეობდა, მაგრამ ის მეექვსეზე გავიდა. საკვალიფიკაციო ეტაპი უნგრელმა ბანდამ მოიგო 638 ქულით, თურქებს შორის კი ბელგიელი ჩადგა.

ამავე ასაკის გოგოებში **მედეა აბულაძემ** იყოჩაღა, რომელიც დიდი საერთაშორისო გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის - 631 ქულა და XVI ადგილი 42 მონაწილეს შორის. ქალთა ნაკრების ლიდერ **ხათუნა ნარიმანიძისა** და ამავე გუნდის მწვრთნელ **თამაზ ფუტკარაძის** შვილი **ციალა ფუტკარაძე** 588-ით 30-ეა, ჩვენებიდან ყველაზე უმცროსი მონაწილე, 14 წლის **ანა დუმბაძე** 524-ით მე-40 ადგილზეა. პლეი ოფში ეს გუნდიც მოხვდა - 1743 ქულით მეშვიდეზე გავიდნენ.

ახალგაზრდებში შერეულ წყვილებში ფხაკაძის და კუტალაძის საერთო შედეგი 1235 ქულა აღმოჩნდა და მეექვსეზე გავიდნენ, ჭაბუკებში კი ფარსენაძე და აბულაძე მეცხრეზე არიან 1254-ით.

დღეს სწორედ ეს წყვილები იასპარეზებენ პლეი ოფში, ხვალ კი ამავე სერიაში პირადი პირველობის მონაწილენი ჩაებმებიან და მედლებისთვის მებრძოლ წყვილებს გამოავლენენ. 17 მაისს პლეი ოფი უკვე გუნდურში დაიწყება, მაგრამ იქ ჩვენგან მხოლოდ ჭაბუკები გამოვლენ - გოგონებიც და ბიჭებიც უკრაინელებს გაეჯიბრებიან.

როგორც ვხედავთ, ამ ტურნირზე ჩვენები ოთხივე ასაკობრივი ნაკრებით გამოდიან, რაც პირველი შემთხვევაა.


საქართველოს ნაკრები სლოვენიაში

ჩვენი დანარჩენი ახალგაზრდა ბიჭებიდან **ჯაბა მოსეშვილი** 564 ქულით 39-ეა. **მამუკა შუშაძემ** თავიდან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე თანდათან მოუკლო და ბოლო, 51-ე შედეგი აღმოაჩნდა - 521 ქულა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები 1707 ქულით მეათე ადგილზე გავიდნენ.

გოგოებში ქართველთაგან ყველაზე უკეთ **თეონა კუტალაძე** გამოვიდა - 613 ქულა, 22-ე ადგილი. ის სხვებთან შედარებით გამოცდილია - კორეელი მწვრთნელი დიდად წყალობდა და შეკრება-ტურნირებზე დაჰყავდა. სლოვენიაში მას უკეთაც შეეძლო გამოსვლა, რადგან ბოლო სროლებამდე 20-ეულში შედიოდა. **თეონა არჯევანიძის** ანგარიშზე 543 ქულა და 36-ე ადგილია, **ნინო დევაძე** კი 491-ით 39-ეა. გუნდურში ჩვენები პლეი ოფს მიღმა დარჩნენ, რადგან 1647 ქულა დააგროვეს, რაც მეცხრე შედეგი აღმოჩნდა.

ჭაბუკთა ასაკის ბიჭებში ქართველთაგან ყველაზე უკეთ **არჩილ ფარსენაძე** გამოვიდა - 623 ქულა და XVIII ადგილი, რაც დებიუტანტის კვალობაზე ურიგო შედეგი არაა. დასაძრახი არც **აკაკი ლეკვეიშვილია** - 611-ით 27-ე ადგილი. ეს ბიჭი მწვრთნელისა და ჯერ კიდევ მოქმედ სპორტსმენ **დავით ლეკვეიშვილის** შვილია, რომელიც პირველი სერიის შემდეგ სულაც მეათე იყო, მაგრამ მეორეში სუსტად ისროლა, თორემ საბოლოო შედეგიც ბევრად უკეთესი ექნებოდა. ვერ გეტყვით, რისი ბრალია, მაგრამ მეორე დისტანცია, ყველა გუნდის გათვალისწინებით, ჩვენგან ბევრმა ჩააგდო. ამ ნაკრების მესამე მონაწილე **ვლადიმერ დოლიძე** 592 ქულით 53 მონაწილეს შორის 39-ზე გავიდა, გუნდი კი 1826 ჯამური ქულით მეექვსე აღმოჩნდა.

საბედნიეროდ, ფედერაციის სტრატეგია გამართლებულიც აღმოჩნდა.

**ირაკლი თავაძე**


ლაშა ფხაკაძე

● ქართული ჭიდაობა



# ქართული ჭიდაობით გერმანელებიც დაინტერესდნენ

სასიამოვნოა, რომ ქართული ჭიდაობის პოპულარობა მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. ყველაზე უწინ ქართული ჭიდაობის ასოციაცია 1980 წელს იაპონიაში, ტოკიოში დაფუძნდა, რომლის ხელმძღვანელიც, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ძიუდოში **საიმო ფუძი** გახდა. შემდეგ ქართული ჭიდაობით დაინტერესდნენ ბელგიელი, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **რობერ ვან დერ ვალლე** და ინგლისელი **გორდონი.** რამდენიმე წელია მოსკოვში ჩამოყალიბდა ქართული ჭიდაობის ფედერაცია, რომლის ფილიალებიც შეიქმნა პეტერბურგსა და ვლადივოსტოკში. ფილიალის გახსნა იგეგმება სოჭშიც. ტაჯიკებს დიდი სურვილი აქვთ, ქართული ჭიდაობა განავითარონ მთელ შუა აზიაში.

ქართული ჭიდაობის ფედერაციები უკვე ფუნქციონირებენ ამერიკაში, საბერძნეთში, უზბეკეთსა და უკრაინაში. უახლოეს ხანში განზრახულია ქართული ჭიდაობის ფედერაციების ჩამოყალიბება ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და ირანში.

ამ ბოლო დროს ქართული ჭიდაობით გერმანელებიც დაინტერესდნენ. კერძოდ, წლეულს 9-10 მაისს, ქ. ჭიათურაში გამართულ საქართველოს ზონალურ პირველობას ქართულ ჭიდაობაში, სპეციალური დავალებით სტუმრობდა გერმანელი სპორტული ჟურნალისტი და პროდიუსერი ჰამბურგელი **მარსელ ჰაუპტი,** რომელიც დიდი ინტერესით და გულმოდგინებით აფიქსირებდა ქართული ჭიდაობის ფანდებს, შეჯიბრებების წესებს, მონაწილეთა ჩაცმულობას და სხვა ატრიბუტებს.

შეჯიბრებაში, რომელიც ჩატარდა ჭიათურის ცენტრალურ სპორტულ კომპლექსში, მონაწილეობდნენ .დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების, - ცაგერის, ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, საჩხერის და ჭიათურის 1993-1995 წლებში დაბადებულ სპორტსმენები.

ასპარეზობას მეტ ელფერს შემატებდა შეჯიბრებაში მონაწილეობა რომ მიელო მესტიის, ლენტეხის, ტყიბულის და თერჯოლის რაიონების წარმომადგენლებს. კარგი იქნება ამ რაიონების სპორტის სამსახურებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს - ქართულ ჭიდაობას.

შეჯიბრება ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ჭიათურის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურისა და სპორტსკოლის ხელმძღვანელობას.

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ მედლებით და დიპლომებით. I-IV ადგილზე გასულები აქართველოს პირველობის ფინალში იასპარეზებენ.

**გამარჯვებულები და პრიზიორები**

**55 კგ.** 1. ვოლდიმ გაბიანი (ქუთაისი), 2. ლადო გელენიძე (ზესტაფონი), 3. დემურ შუშანია (ფოთი).

**60 კგ.** 1. ანზორ ნასარიძე (საჩხერე), 2. იაკობ დიხამინჯია (ქუთაისი), 3. ზურაბ კუპატაძე (ზესტაფონი).

**65 კგ.** 1. ნუგზარ ქურასბედიანი (ქუთაისი), 2. გოგა კაპანაძე (სამტრედია), 3. დავით ჩაფიჩაძე (ზესტაფონი).

**70 კგ.** 1. ირაკლი ტალახაძე (საჩხერე), 2. ლევან მარაქველიძე (ზესტაფონი), 3. მირიან ენუქიძე (ჭიათურა).

**75 კგ.** 1. გიორგი კაცაძე (სამტრედია), 2. მიშიკო ბუზალაძე (ჭიათურა), 3. დავით გაბიანი (ქუთაისი).

**80 კგ.** 1. ომარ ვაშაკიძე, 2. უშანგი მარგიანი (ორივე - სამტრედია), 3. ზურაბ ქომეთიანი (ცაგერი).

**90 კგ.** 1. ფრიდონ შარიქაძე (ზესტაფონი), 2. გაგა სამინავა (ფოთი), 3. ჯაბა ჩეჩელაშვილი (ქუთაისი).

**+90 კგ.** 1. გუგა ლაზუაშვილი (ზესტაფონი), 2. დავით ქომეთიანი (ცაგერი), 3. ცოტნე ხურცილავა (ქუთაისი).

**იური იმერლიშვილი**

აკრობატიკა

# სადებიუტო ვერცხლი და ბრინჯაო

იყო დრო, სპორტულ აკრობატიკაში ქართველი სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ - მსოფლიოს ჩემპიონატების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც არაერთხელ ასულან. კარგა ხანს სპორტის ეს სახეობა ჩვენთან უსახსრობის გამო მივიწყებული იყო. რამდენიმე წელიწადია, გამოცოცხლება დაეტყო. შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზეც იასპარეზეს, მაგრამ საპრიზო ადგილებს ვერ მისწვდნენ, რადგან საამისოდ ოსტატობა და გამოცდილება არ ეყოთ, სამაგიეროდ, ახლა გაგვახარეს ახალგაზრდებმა. ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც 13 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. ქართველმა სპორტსმენებმა (დელეგაციის ხელმძღვანელი - ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ინგა გიორგობიანი**, მსაჯები - საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები: **ნინო ბერიანიძე** და **დალი ფეიქრიშვილი**) საერთაშორისო ტურნირში დებიუტი ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედლით აღნიშნეს. გოგონათა წყვილებში **ანი ჯოხაძე** და **ნინო სირაძე** დინამიკურ



ანი ჯოხაძე (ზემოთ), ნინო სირაძე



გიორგი ოქროპირიძე (ზემოთ), ტარიელ სირაძე

ვარჯიშში მეორე ადგილზე გავიდნენ, აბსოლუტურში კი ბრინჯაოს დასჯერდნენ. ვაჟთა წყვილებში **გიორგი ოქროპირიძემ** და **ტარიელ სირაძემ** როგორც დინამიკურ და სტატიკურ ვარჯიშებში, ისე აბსოლუტურში მესამე ადგილები დაიკავეს. გოგონათა სამეული (**გვანცა მურღულია, თინათინ პარწიკანაშვილი, მარიამ ფოფხაძე**) მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა.

ქართველი აკრობატები, როგორც ნინო ბერიანიძემ გვითხრა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. ეს შეჯიბრება კი ოქტომბერში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**
*ავტორის ფოტოები*

სიახლეთა ესტაფეტა

SOCHI 2014

## ტელეგარიგება

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ტელევიზიით სოჭის ოლიმპიადის მაუწყებლობის უფლება მიჰყიდა ავსტრალიის ტელეარხს. შეთანხმება ინტერნეტის მაუწყებლობასაც ითვალისწინებს. ივარაუდება, რომ სოჭის ოლიმპიადაში 50 ავსტრალიელი სპორტსმენი იასპარეზებს, რაც სარეკორდოა „მწვანე კონტინენტისთვის".

## უვიზოდ...

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმირ პუტინმა** ხელი მოაწერა ბრძანებულებას სოჭის ოლიმპიადის პერიოდში ქვეყანაში უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ, მათთვის, ვისაც რაიმე შეხება აქვს თამაშებთან. მოქალაქეობის არმქონე პირებსაც კი შესაძლებლობა მიეცემათ, ვიზის გაუფორმებლად შემოვიდნენ და გავიდნენ ქვეყნიდან, საკმარისი იქნება მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი საბუთი ან დადგენილი ფორმით ოლიმპიადაზე დასწრების სააკრედიტაციო ბარათი, რომელიც გაცემულია საერთაშორისო სპორტული ღონისძიების ორგანიზატორი ორგანიზაციის მიერ.

## ტურისტები

ამერიკულმა კომპანია Jez Sez Sports-მა უკვე შექმნა ოფიციალური საიტი და ონლაინრეჟიმში დაიწყო ტურისტებისათვის სოჭის ოლიმპიადაზე დასასწრები საგზურების რეალიზება. ეს კომპანია ერთადერთი ავტორიზებული ორგანიზაციაა, რომელსაც ოლიმპიადის კატეგორიაში - „მომსახურება და სტუმართმოყვარეობა" ყველა უფლება აქვს მინიჭებული.

პაკეტის ღირებულება თამაშების ფინალურ ტურნირებზე (ნახევარფინალი, მესამე ადგილისთვის შეხვედრები და ფინალი) ორ პერსონაზე შეადგენს 445 ათას რუბლს, ერთ ადამიანზე 226 ათასს. ფასში არ შედის ტრანსპორტირება, მათ შორის ქალაქში გადაადგილება. ოთხი მატჩის ბილეთი, ვინც მას ზემოხსენებული კომპანიის ოფიციალური საიტის მეშვეობით შეიძენს, 54 ათასი რუბლი ეღირება.

## უსაფრთხოება

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **დევიდ კემერონმა** განაცხადა, რომ ბრიტანეთის და რუსეთის სპეცსამსახურები მჭიდროდ ითანამშრომლებენ სოჭში 2014 წლის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

*„მე დავთანხმდი პუტინის შემოთავაზებას ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობაზე. ბრიტანეთის 50-ზე მეტი კომპანია მონაწილეობს სოჭის ოლიმპიადის პროექტში - სპორტული ობიექტების მშენებლობით დაწყებული და ენერგომომარაგებით დამთავრებული. ახლა კი თამაშების უსაფრთხოებაში ვითანამშრომლებთ".* - ამბობს კემერონი.

## სოჭის დაბრუნება

უცნაურია, მაგრამ სწორედ ასეთი სათაურით „საქართველომ დაიბრუნა სოჭი" ინტერნეტსაიტმა „გაზეტა რუ" გაავრცელა ვრცელი მასალა სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობასთან დაკავშირებით. ჟურნალისტის ორაზროვნება გასაგებია, მაგრამ კიდევ კარგი, რომ რუსებს „ახსოვთ" ვის ეკუთვნოდა ის ტერიტორია, სადაც 2014 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

კალათბურთი. ქართველები უცხოეთ პრესაში

# როცა მამა კარგი მონადირეა...

**გიორგი შერმადინის** მიერ ევროლიგის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამ არაერთი უცხოელი ჟურნალისტი კიდევ ერთხელ დააინტერესა საქართველოთი. თუმცა რამდენიმე დღით ადრე ამერიკულ გაზეთ „სალონში" ვრცელი და საინტერესო სტატია გამოქვეყნდა შერმადინის, მისი მწვრთნელის **ჯამლეტ ხუხაშვილის**, აგენტს **ლევან მიქელაძისა** და ხუთი კალათბურთელი ძმის შესახებ.

მაშ ასე, გავეცნოთ **კატია გენგელის** პუბლიკაციას.

„საქართველო მსოფლიოს მასშტაბით ცნობილია კონფლიქტებით, ღვინით, სტალინით, მაგრამ უმაღლესი დონის კალათბურთელების სიმრავლით არ გამოირჩევა. თუმცა კავკასიის პატარა ქვეყნისთვის NBA-ის დრაფტზე ხუთი კალათბურთელის არჩევა მაინც ბევრს ნიშნავს: **ვლადიმერ სტეფანია, ზაზა ფაჩულია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, თორნიკე შენგელია, ვიქტორ სანიკიძე.** ვიქტორს ამერიკის ნაციონალურ ასოციაციაში არ უთამაშია. იგი **მანუჩარ მარკოიშვილთან** და **გიორგი შერმადინთან** ერთად ევროლიგაზე წარმატებით ცდის ძალებს.



ამერიკაში კალათბურთელთა განვითარებაზე მთელი ინდუსტრია მუშაობს, საქართველოში კი ამას ერთეულები აკეთებენ... მაგალითად ჯამლეტ ხუხაშვილი, რომელმაც ევროლიგას გიორგი შერმადინი მოუმზადა. ახლა ხუთ ძმას ზრდის, რომელთაგან უფროსები უკვე იქცევენ სკაუტების ყურადღებას.

■ ■ ■

როცა ჯამლეტ ხუხაშვილს შევხვდი, შავი კოსტიუმი ეცვა, გულზე საქართველოსა და ისრაელის დროშები ეკეთა. მის კაბინეტში ოთხი ტელეფონი და არაერთი ტელევიზორი იდგა. DVD-ის ჩართვა რომ დასჭირდა, ასისტენტს დაუძახა. მის ხმას საქართველოში ბევრი ცნობს, რადგან ცნობილი ტელეკომენტატორია და საკუთარი რადიომაუწყებლობა აქვს სახელად „ჯა-კო".

*- ჯამლეტ ხუხაშვილს სპეციფიკური ხმა აქვს, ყველასგან განსხვავებული,* - ამბობს აგენტი ლევან მიქელაძე, რომელმაც კალათბურთელის კარიერა 16 წლისამ დაასრულა და მალე პირველი ქართველი ლიცენზირებული აგენტის სტატუსი მიიღო.

*- გიყვართ კალათბურთი?* - მკითხა ჯამლეტ ხუხაშვილმა.

რა ვუპასუხე, თავადაც მიხვდებით. დავინტერესდი მისი ბიოგრაფიით...

*- ჩემპიონი ვიყავი ჭიდაობაში, ხელბურთში, ვთამაშობდი კალათბურთს,* - მომიგო. სპორტის სხვა სახეობებში შესაძლოა წარმოვიდგინოთ ჯამლეტ ხუხაშვილი, მაგრამ არა კალათბურთში. მოგვიანებით იგი კალათბურთში აქტიურად ჩაერთო, ტელეკომენტატორი გახდა, ხოლო შვილი, მიხეილი სწორედ სპორტის ტანმაღალ სახეობაზე შეიყვანა. როგორც თავად გვითხრა, მიხეილი 1981 წელს თბილისის „დინამოს" ახალგაზრდებთან ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩამოყალიბებულ საქართველოს ნაკრებში ჯამლეტ ხუხაშვილი გუნდის უფროსად მუშაობდა. გახსნა საკალათბურთო სკოლა „მაქაბი" და ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოში უცხოელი კალათბურთელები ჩამოიყვანა. ჩემს სტუმრობას საკალათბურთო ლიგის მატჩები დაემთხვა. „დინამოს" თამაშის რეპორტაჟი ჯამლეტ ხუხაშვილს მიჰყავდა. პლანეტის იმ მხარეს, სადაც საქართველოა (აღმოსავლეთ ევროპა) არაერთ გუნდს ჰქვია „დინამო". ყველას თეთრ-ლურჯი ეკიპირება აქვს. მხოლოდ თბილისის „დინამოა" გამორჩეული - სპონსორის მოთხოვნით ნარინჯისფერი ფორმა აცვია. ამიტომ, ცოტა უცნაური იყო ლურჯ-თეთრი დროშებით „შეიარაღებული" „დინამოს" მრავალრიცხოვანი ქომაგის ხილვა...

სტაბილურობა საქართველოს მახასიათებელი არ არის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანამ გამოიარა რევოლუცია, ომი რუსეთთან და მისი ორი ყოფილი ავტონომიური ოლქი განცალკევებას ესწრაფვის. ასე რომ, გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვი - ნიჭიერ ქართველ კალათბურთელთა უმეტესობა საზღვარგარეთ თამაშობს.

როგორც ლევან მიქელაძე ამბობს, საქართველოში ბავშვთა კალათბურთში სისტემის გაუმჯობესებაა საჭირო. მოზარდები ზოგჯერ ისეთ დარბაზებში ვარჯიშობენ, სადაც სათანადო პირობები არ არის. რაც შეეხება ჯამლეტ ხუხაშვილის სკოლას, იქ 150 ბავშვი ვარჯიშობს (6-დან 16 წლამდე) და თითო მოსწავლე თვეში 22 დოლარის ეკვივალენტს იხდის ლარებში.

■ ■ ■

„მაქაბის" სკოლაში ვარჯიშობენ ძმები რევაზაშვილები. მათ აღზრდას ჯამლეტ ხუხაშვილი დიდ ყურადღებას აქცევს, რადგან იმედი აქვს, რომ საკალათბურთო ვარსკვლავებად იქცევიან.

*- ერთ წელიწადში ხუთ ძმა რევაზაშვილს გინესის რეკორდების წიგნში ვიხილავთ,* - გვპირდება მწვრთნელი.

მაიზერი ძმებს შორის მესამეა, 16 წლისაა და „მაქაბის" 18-წლამდელთა გუნდში თამაშობს. იგი საშუალოდ 33 ქულასა და 17 მოხსნას აგროვებს. მაიზერი შარშან საქართველოს კადეტთა ნაკრების ღირსებასაც იცავდა.

*- რევაზაშვილები მამაჩემს შვილებივით ჰყავს,* - ამბობს მიხეილ ხუხაშვილი.

უფროსი, გიორგი 22 წლისაა. იგი ახალგაზრდულ ჩემპიონატში საშუალოდ 34 ქულასა და 16 მოხსნას ითვლიდა. 34 ქულა და 14 მოხსნა ჰქონდა მეორე ძმას ლევანს, რომელიც გიორგისთან ერთად 2012-13 წლების სეზონში სამედიცინო უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა.

მწვრთნელის ოთახში, ბურთებს, ტელევიზორებსა და თასებს შორის სამივე ძმამ მოიყარა თავი. როცა ვკითხე, ყველაზე ძლიერი რომელია-მეთქი, ლევანმა თითით გიორგიზე მიმანიშნა. ჯამლეტ ხუხაშვილი გაისად უმცროსი ძმების, 10 წლის ნიკასა და 6 წლის ჯაბას თბილისში ჩამოყვანას აპირებს. ისინი ამჟამად მშობლებთან ერთად რაიონში ცხოვრობენ.

*- მთელი ოჯახი შესანიშნავად ისვრის,* - ამბობს მწვრთნელი, - *რევაზაშვილების მამა კალათბურთს არ თამაშობს, მაგრამ კარგი მონადირეა."*

**ვაჟა სიმონიშვილი**



ქართველი იტალიაში

## ენევა...

„მონტეპასკი"-„მილანის" მეოთხედფინალური სერია სიენაში დაბრუნდა და ადგილობრივმა გუნდმა სწორედ ისეთი თამაში უჩვენა, გრანდს რომ შეჰფერის - „მილანს" თავიდანვე გაასწრო და მატჩი ისე დასრულდა, თუნდაც ანგარიშის გათანაბრების უფლება არ მიუცია. საბოლოოდ 92:73 „მონტეპასკის" სასარგებლოდ.

წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს **ბრაუნმა** (20 ქულა), **ჰაკეტმა** (20) და **მოსმა** (26), მასპინძელთა ქართველმა ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** 16 წუთში 7 ქულა, 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. მას ორქულიანი არ უსვრია, 4 საჯარიმო (4-დან) და 1 სამქულიანი (2-დან) გამოიყენა.

სერიას „მილანი" იგებს - 2:1. მესამე მეტჩი კვლავ სიენაში, 18 მაისს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი


ბელა ხოტენაშვილი

## ხოტენაშვილი დაწინაურდა

უკრაინელი დიდოსტატი **კატერინა ლაგნო** მსოფლიო ელიტაში 2548 პუნქტით მე-6 ადგილზეა. ორგზის ევროპის ჩემპიონმა წლეულს ასტანაში თანამემამულეებთან ერთად გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების პრიზიორია. სწორედ ასეთ ტიტულოვან მეტოქეს დაუპირისპირდა გუშინ ქართველი დიდოსტატი **ბელა ხოტენაშვილი**. მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის პირველი რაუნდის მე-10 ტურამდე ჩვენებური 6,5 ქულით სლოვენიელ ანა მუზიჩუკთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა. გუშინ მან თეთრი ფიგურებით დებიუტშივე მიაღწია ერთგვარ უპირატესობას. 26-ე სვლაზე **ეg8** სვლით ლაგნომ უხეში შეცდომა დაუშვა და საშამათო პოზიცია მიიღო (დიაგრამაზე), მაგრამ ხოტენაშვილმა მოგების შანსი ხელიდან გაუშვა, მეტიც 27-ე სვლაზე **(ეg3+)** თავადაც შეცდა და, ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან დაიწყო, თუმცა თეთრებს მთელი პარტიის განმავლობაში ბევრად ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდათ. ეტყობა, უკრაინელმა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა სულიერი წონასწორობა, 41-ე სვლიდან ზედიზედ სამჯერ შეცდა და 45-ე სვლაზე საათი გააჩერა:

ლაგნო



ხოტენაშვილი

26. ეc3 ეg8 (უხეში შეცდომა) 27. ეg3+ (შეცდომა. ეf3-ის შემდეგ რამდენიმე სვლაში შამათი გარდაუვალია) მფf8 28. ეxg8+ კg8 29. ეf6+ მფe7 30. ლg5 კe6 31. f4 მc7 32. f5 კf7 33. ეe6+ მფf8 34. ეh6 კg8 35. ეf6+ კf7 36. ეh6 კg8 37. ლf6+ მფe8 38. ლg7 (სუსტი სვლა) ლd8 39. ლxg8+ მფd7 40. ლg4 მფc8 41. e5 ლd5 (სუსტი სვლა). 42. ლf4 (სუსტი სვლა) მფf7 (შეცდომა). 43. ეd6 ლxa2 (უხეში შეცდომა). 44. ლe4+ მფc8 45. e6 და შავები დანებდნენ.

ამ გამარჯვებით ხოტენაშვილი ბოლო ტურის წინ 7.5 ქულით ერთპიროვნულად გალიდერდა, რადგან ანა მუზიჩუკი (სლოვენია) ვიქტორია ჩმილიტეს (ლიტვა) დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ტატიანა კოსინცევა (რუსეთი)-ანა უშენინა (უკრაინა), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)-ჰოუ იფანი (ჩინეთი), თუვშინთუგს ბათჩიმეგი (მონგოლეთი)-ოლგა გირია (რუსეთი). **ნანა ძაგნიძემ** თეთრი ფიგურებით ჩინელი ცზიუ ვენძიუნი 81-ე სვლაზე დაამარცხა. საგულისხმოა, რომ მათ მოჭადრაკე ქალთა რეიტინგის პირველ ათეულში, შესაბამისად, მეშვიდე-მერვე ადგილები უკავიათ.

10 ტურის შემდეგ: ხოტენაშვილი-7.5, მუზიჩუკი-7, კოსინცევა-6.5, უშენინა, ძაგნიძე-5.5-5.5, ვენძიუნი, ლაგნო, ჰოუ იფანი-5-5, კოსტენიუკი-4.5, ჩმილიტე-3.5, ბათჩიმეგი-3, გირია-2 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: მუზიჩუკი-კოსტენიუკი, გირია-ჩმილიტე, ლაგნო-ბათჩიმეგი, უშენინა-ხოტენაშვილი, ვენძიუნი-კოსინცევა, ჰოუ იფანი-ძაგნიძე.

**ვაჟა დანელია**

რაგბი. საერთაშორისო მატჩი

# როგორც ოდესღაც, ლოკომოტივი სპარტაკის წინააღმდეგ

**ლოკომოტივი-სპარტაკი 10:17**

ლოკომოტივი (15-9) კობერიძე (ნიკოლავა 41), ქავთარაძე, ბერძული, დ. ჭურღულია, პინაიშვილი, კიკნაძე, ს. ჭურღულია. (1-8) გასვიანი, სოსელია, ბელიაშვილი, გეგია (ნიშნიანიძე 41), ფოფხაძე, ბერიშვილი, ხულუაშვილი, კიკვაძე.

**2ლ:** კიკნაძე, ბერძული.

**სინბინი:** სოსელია

**სპარტაკი** (15-9) დიმიტრიუკი, ფრუიძე, ევსეევი, ლიზოგუბი, პეტრუშკა, კოკორინი, თუთბერიძე (გოგია 41). (1-8) კვანტიძე, ერისთავი, ხეჩიკოვი, მინაძე, კვერნაძე, ცირეკიძე, თავბერიძე, მალიაკინი.

**3ლ:** დიმიტრიუკი, თავბერიძე, პეტრუშკა. **გ:** ლიზოგუბი.

**მსაჯი:** სულხან ჩიხლაძე (ქუთაისი)

საქართველოში საწვრთნელი მატჩების გასამართავად რუსეთის ჩემპიონატში მოასპარეზე მოსკოვის „სპარტაკი" ჩამოვიდა, რომლის მწვრთნელთა შტაბი, კლუბის ხელმძღვანელები და მორაგბეთა უმრავლესობა ქართველები არიან. მოსკოველთა პირველი მეტოქე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" იყო. „ვისოლის" სარაგბო სტადიონზე გამართული მატჩი სტუმრების გამარჯვებით დასრულდა - 17:10. მიუხედავად იმისა, რომ ქართული გუნდი რუსულს ეთამაშებოდა, მოედანზე მხოლოდ ქართული ლაპარაკი ისმოდა.

მოსკოვის „სპარტაკმა" ახლახან რუსეთის თასის გათამაშებაში იასპარეზა და ახლა ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც სტარტს ორ კვირაში აიღებს. „ლოკომოტივმა" კი, საქართველოს ჩემპიონატში ბოლოს თითქმის ერთი თვის წინათ ითამაშა და მეექვსე ადგილი დაიკავა. ძას შემდეგ გუნდი შვებულებაშია და სახელდახელოდ შეკრებილებმა სტუმრებთან გამკლავება სცადეს. არ გამოუვიდათ.

თამაში მოსკოველთა შეტევებით დაიწყო და პირველივე იერიში, რომლის ორგანიზებას სტუმრებმა ოთხი წუთი მოანდომეს, ლელოთი დასრულდა. სპარტაკელებმა იერიშის მიმართულება ორჯერ შეცვალეს და უპირატესობას მარჯვენა ფრთაზე მიაღწიეს. მორკინალებმა რამდენიმე მოკლე დარტყმით მეტოქის 22-მეტრიან ზონაში შეაღწიეს, რაკში რკინიგზელები უხვად ჩაითრიეს და მარცხენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა შექმნეს. ეს დროულად შენიშნა სტუმართა ცხრა ნომერმა **ზურაბ თუთბერიძემ** და ბურთი ხაზზე გაიტანა. მოსკოველებმა ის ბოლომდე ჩაათამაშეს და ჩათვლის მოედანში უკნიდან ჩართულმა ფულბეკმა **ალექსანდრე დიმიტრიუკმა** შეაღწია. გარდასახვა მგეზავმა **ანდრეი ლიზოგუბმა** ვერ გამოიყენა - 5:0

„ლოკომოტივმა" ანგარიშის გათანაბრება პირველივე მცდელობაზე მოახერხა. მატჩის მე-9 წუთზე „სპარტაკის" ლელოს მისადგომებთან რკინიგზელთა სასარგებლოდ საჯარიმო დაინიშნა. მასპინძლებმა შერკინება მოითხოვეს. მძლავრი მიწოლის შემდეგ სტუმართა მორკინალები აირივნენ. ამით კარგად ისარგებლა ცხრა ნომერმა **საბა ჭურღულიამ**, რომელმაც მარცხენა, მოკლე ფრთაზე თავისი გუნდის რიცხობრივი უპირატესობა შენიშნა. მან ბურთი მგეზავ **დავით კიკნაძეს** გაატანა, რომელმაც მეტოქე ვრუ მანევრით ჩამოიცილა და ლელო მიითვალა. გარდასახვა მანვე დაარტყა, მაგრამ არაზუსტად - 5:5.

ამის შემდეგ თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. უპირატესობის მოპოვებას ორივე გუნდი მორკინალების დარტყმებით ცდილობდა, თუმცა სპარტაკელები თამაშის ხაზზე გაშლასაც ახერხებდნენ. მორიგი იერიშისას, 26-ე წუთზე სტუმრებმა ისევ მარცხენა ფრთაზე შექმნეს რიცხობრივი უპირატესობა. კიდესთან ახლოს, გარემარბის პოზიციაზე მესამეხაზელი, ყოფილი ლოკომოტიველი **ლაშა თავბერიძე** აღმოჩნდა, რომელმაც ლელომდე 30 მეტრი ისე ირბინა, ხელი ვერავინ შეუშალა. ლიზოგუბმა გარდასახვა ამჯერად გამოიყენა - 12:5.


ბურთით გიგა ნიშნიანიძე

ანგარიშის გათანაბრების საშუალება „ლოკომოტივს" პირველი ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მიეცა. იერიში მოედნის ცენტრში კიკნაძემ წამოიწყო, მერე მორკინალებმა **ჯაბა კიკვიძემ** და **დავით გასვიანმა** განაგრძეს. ამ უკანასკნელის შეჩერება მეტოქემ ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში შეძლო. ჭურღულიამ რაკიდან ბურთი მარცხენა, გრძელ ფრთაზე გაიტანა, თუმცა იქ რკინიგზელებმა „სპარტაკის" დაცვის ხაზის გაჭრა ვერ შეძლეს. მერე შეტევის მიმართულება შეცვალეს. ბურთი შუამარბმა **ნიკოლოზ ბერძულმა** მიიღო, რომელმაც სამ მეტოქეს ოსტატურად აუარა გვერდი და ჩათვლის მოედანში შევიდა. კიკნაძემ გარდასახვა ვერ გაიტანა და მასპინძლებმა ტაიმი ორი ქულის სხვაობით წააგეს - 10:12.

მატჩის მეორე ნახევრისა და თავსხმა წვიმის დაწყება ერთი იყო. შედეგად, გუნდებს ცარიელი ტრიბუნების წინაშე მოუწიათ თამაშმა. ამასთან ერთად, ასპარეზობაც სანახაობრივად ნაკლებად მიმზიდველი გამოდგა. მორაგბეებს სველ მინდორზე ფეხი ხშირად უცურავდათ და შეცდომასაც მრავლად უშვებდნენ.

მიუხედავად ამისა, „სპარტაკმა" ერთი ლელოს გატანა მაინც მოახერხა. შეტევის ტაქტიკური მონახაზი არ შეცვლილა. 54-ე წუთზე მორკინალების დარტყმებს ბურთის მარცხენა, გრძელ ფრთაზე ჩათამაშება მოჰყვა, რომლის შემდეგაც ლელო გარემარბმა **იუსტინ პეტრუშკამ** გაიტანა. ლიზოგუბმა გარდასახვა ძალზე უხეიროდ დაარტყა. ისე, რომ ბურთი ხარიხას არ გადასცილებია - 17:10.

მატჩის გადასარჩენად დრო საკმარისად იყო დარჩენილი. „ლოკომოტივმა" სათამაშო უპირატესობის მოპოვება კი შეძლო, მაგრამ დაცვაში თავგანწირვით მოთამაშე ქართველ სპარტაკელებს ვერაფერი მოუხერხა და დამარცხდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

ქალთა რაგბი

# ქალთა პირველი ეროვნული ქუთაისში დაიწყო

**ქუთაისში, „დინამოს" სტადიონზე სტარტი აილო საქართველოს პირველმა ჩემპიონატმა შვიდქალა რაგბიში, რომელშიც ხუთი გუნდი (ქუთაისის „იმერეთი", ლანჩხუთის „გურია, „ოზურგეთი", „სენაკი" და ბათუმის „დელფინები" ) მონაწილეობს. ჩემპიონატი წრიული სისტემით 4 წრედ ტარდება, მატჩის დრო 14 წუთით განისაზღვრება, რომელიც 7-წუთიან ტაიმებადაა გაყოფილი.**

ქუთაისში გამართულ პირველ წრეს ბათუმის „დელფინები" გამოაკლდა, რომლის მოთამაშეებიც საქართველოს შვიდქალა რაგბის ნაკრებში არიან გამოძახებული და გუნდმა ამის გამო შეკრება ვერ მოახერხა. ზღვისპირელები ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩაერთვებიან და გამოტოვებულ შეხვედრებსაც მაშინ ითამაშებენ.

შვიდქალა რაგბის ქუთაისური ეტაპი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ჩემპიონატის ფავორიტმა ქუთაისის „იმერეთმა" პირველ შეხვედრაში „ოზურგეთს" 10 უპასუხო ლელო გაუტანა და 50:0 მოუგო. ლანჩხუთის „გურიამ" კი სენაკს სძლია 35:0. დაძაბული გამოდგა „იმერეთისა" და „გურიას" შეხვედრა, რომელშიც ლანჩხუთელებმა ჩემპიონატის ფავორიტებს არაფერი დაუთმეს და ფრეზე გაეყარნენ -10:10. დანარჩენი შეხვედრები კი, ასე დასრულდა: „ოზურგეთი"-"სენაკი" -15:0, „იმერეთი"-"სენაკი" - 15:0, „გურია"-"ოზურგეთი" - 20:0


იმერეთი-გურია

პირველი წრის შემდეგ პირველ-მეორე ადგილებს ქუთაისის „იმერეთი" და ლანჩხუთის „გურია" იყოფენ, მესამეზე „ოზურგეთია", მეოთხე ადგილზე კი, „სენაკი" იმყოფება. რაც შეეხება ბათუმის „დელფინებს", როგორც აღვნიშნეთ ზღვისპირელები ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩაერთვებიან.

*„როგორც იქნა, ყინული დაიძრა და რაგბიში ქალთა გუნდებს შორის პირველი ჩემპიონატი ტარდება. გასულ წელს 17-წლამდელთა პირველობა გავმართეთ, რამაც გაამართლა და რაგბის მოყვარულებში საკმაო ინტერესი გამოიწვია. პირველობას დროებით გამოაკლდა ბათუმის „დელფინები", რომელიც ჩემპიონატში მეორე ტურიდან ჩაერთვება. იგეგმება საქართველოს ნაკრების წევრების სხვადასხვა გუნდში გადანაწილება. ასე ჩემპიონატი უფრო საინტერესო გახდება და მონაწილეებს შორის კონკურენციაც გაიზრდება. მეორე წრე ივნისის თვეში სენაკში ჩატარდება. შემდეგ ტურს კი, ლანჩხუთი უმასპინძლებს, დასკვნითი ეტაპი სექტემბერში, სავარაუდოდ, ისევ ქუთაისში გაიმართება. თუმცა ჯერ ეს საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.*

*ჩვენი სამი წამყვანი მორაგბე საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული, ერთს კი ტრავმა აქვს და ამის გამო ჩემპიონატი ოპტიმალური შემადგენლობით ვერ დავიწყეთ, თუმცა ეს მოთამაშეები მეორე წრეში შემოგვიერთდებიან და უფრო გავძლიერდებით. ჩემპიონობის ფავორიტები, ალბათ, ქუთაისის „იმერეთი" და ბათუმის „დელფინები" არიან. კარგი გუნდი ჰყავს ლანჩხუთსაც და მასაც შეუძლია სიურპრიზების შემოთავაზება.* - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქუთაისის „იმერეთის" მწვრთნელმა **ალექსანდრე ნიქაბაძემ.**

**ჯაბა მალალურაძე** - საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

- სასიხარულოა, რომ ქალთა რაგბიში პირველი ეროვნული ჩემპიონატი ტარდება. ვხედავ, რომ დაინტერესება დიდია. ჩემპიონატში ხუთი ქალაქის გუნდი მონაწილეობს და მონდომების შემთხვევაში სხვა ქალაქებშიც იქნება შესაძლებელი გუნდების ჩამოყალიბება. მთავარია, ჩემპიონატსა და სხვა ტურნირებს რეგულარული სახე მიეცეს...

ოთხივე გუნდი ძალიან მომეწონა. მონდომებულები არიან, საკმაოდ კარგად თამაშობენ და რამდენიმე პერსპექტიული მორაგბის გვარიც ჩავინიშნე, არ არის გამორიცხული, რომ ისინი ახლო მომავალში ნაკრებში გამოვიძახოთ.

საქართველოს ქალთა ნაკრები 8-9 ივნისს პრალაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონის შესარჩევი თამაშებისთვის ემზადება. იქამდე კი, ჰოლანდიაში, ამსტერდამის ტრადიციულ კომერციულ ტურნირზე მივიღებთ მონაწილეობას, რასაც ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**
*ავტორის ფოტო*

ჩოგბურთი


მარია შარაპოვა

# შარაპოვა: გრუნტზე დღემდე მიჭირს

მოახლოებული როლან გაროსის წინ, **მარია შარაპოვამ** იტალიურ პრესასთან ილაპარაკა გრუნტის სეზონისთვის ადაპტაციის ნიუანსებზე და განაცხადა, რომ ეს საფარი მისთვის ძველებურად რთული და მოუხერხებელია.

რუსი ჩოგბურთელი შარშან საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, მარია ბოლო ორი წელი რომის ტურნირის გამარჯვებული ხდებოდა.

*„ეს სეზონი ისეთივეა, როგორიც დანარჩენები - საჭიროა გრუნტისთვის ადაპტაცია. ვარჯიშის პირველი დღეები უჩვეულოა, შემდეგ ეს პროცესი უფრო იოლი ხდება, მაგრამ მაინც ჩნდება გარკვეული პრობლემები. ჩემთვის გრუნტზე თამაში დღემდე მოუხერხებელია.*

*შტუტგარტში რამდენიმე რთული მატჩი ჩავატარე და მოხარული ვარ, რომ მათი მოგება შევძელი. მადრიდშიც კარგი კვირა გამოვიდა. რა თქმა უნდა, ვისურვებდი იქ ჩემპიონობის მოპოვებას, მაგრამ, საერთო ჯამში, კარგი სათამაშო პრაქტიკა მივიღე"*, - ამბობს შარაპოვა.

ასევე რუსმა განაცხადა, რომ მამამისი აღარ დაჰყვება ტურნირებზე, მაგრამ მის ერთ-ერთ მწვრთნელად რჩება და დიდ როლს თამაშობს სეზონისთვის მზადებაში.

*„მამა მუდმივად კავშირზეა. თითქმის ყოველდღე ველაპარაკები. ის ჩემი კარიერის ყოველ ასპექტშია ჩართული, არავინ იცის ჩემი თამაში მასზე უკეთ. მამამ იცის, როდის უნდა მომცეს რჩევა და როდის გაჩუმდეს".*

ჩოგბურთელის სიტყვებით, **იური შარაპოვი** მისი ძირითადი მწვრთნელი ხდება იმ პერიოდში, როცა მარიას მთავარი მწვრთნელი **ტომას ჰოგსტედტი** შვებულებაში მიდის. *„ჩვეულებრივ, ეს გრუნტის სეზონის წინ ხდება. ორკვირა-ნახევრის განმავლობაში მამასთან და სპარინგ-პარტნიორთან ვლადიმერ ვოლჩკოვთან ერთად ვვარჯიშობ"*, - ხსნის მარია.

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# საგიჟეთი ბოსტონში

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაწრულდა პლეი ოფის პირველი რაუნდი, რომლის მშვენება და აპოგეა აღმოჩნდა სერიის მეშვიდე მატჩი "ბოსტონსა" და "ტორონტოს" შორის. ჩრდილო-აღმოსავლეთი დივიზიონის ორივე გუნდი იმსახურებდა შემდეგ ეტაპზე გასვლას, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთს ეწერა გადარჩენა.

პირველი პერიოდი ძალიან საინტერესოდ დაიწყო. "ბრუინზმა" პირველ 43 წამში სამი სახიფათო დარტყმა შეასრულა **ჯეიმს რაიმერის** კარის მიმართულებით და ასევე ორი ერთზე გასვლა ჰქონდა **კოდი ფრენსონის** შეცდომის შემდეგ, მაგრამ სტუმრების მეკარემ გაუძლო სასტარტო შემოტევას.

ფრენსონის მეორე შეცდომა უკვე საბედისწერო აღმოჩნდა: პასის დროს მცველმა შაიბა **მეტ ბარტკოვსკის** ჩააბარა და მანაც იოლი გოლი შეაგდო – 1:0.

ამ გოლამდე ინიციატივა კანადელებს ჰქონდათ და ისინი კიდევ უფრო აქტიურად წავიდნენ წინ. მეკარესთან პირისპირ გავიდა **ჯოფრი ლუპული**, მაგრამ მას მოუგო დუელი **ტუუკა რასკმა**. ამ მომენტში მსაჯებმა სახიფათო თამაში დააფიქსირეს ბოსტონელი **ზდენო ხარას** მხრიდან, რითაც "ტორონტომ" რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვა და გამოიყენა კიდეც: **ფანოფის** ძლიერი დარტყმა გაჭირვებით მოიგერია რასკმა, მაგრამ დამატებაზე ყველას დაასწრო ფრენსონმა და დაცვაში თავისი შეცდომა გოლით გამოასწორა – 1:1.

მეორე პერიოდი ორმხრივი უხეშობით აღინიშნა. ასე მაგალითად, წაიჩხუბეს ფანოფმა და **ლუჩიჩმა, ვან რიმსდიკმა** იდაყვი მიიღო ცხვირში **კრის კელისგან**, რასკმა კი ერთ-ერთ მომენტში ჩაფხუტი დაკარგა, როცა მის კარში ლუპული შევარდა. თუმცა გუნდები არც შეტევას ივიწყებდნენ. "ბოსტონის" მხრიდან კარგი შანსი ჰქონდა **რიჩ პევერლის**, "ტორონტომ" კი შორიდან დარტყმების ტაქტიკა აირჩია, მაგრამ რასკი ბრწყინვალედ თამაშობდა. თუმცა ფინელს არ გაუმართლა, როცა ფრენსონის დარტყმა ზდენო ხარას მოხვდა და ისე შევარდა ცხრიანში – 2:1. სხვათა შორის, ეს დუბლი პირველია კოდის კარიერაში.

მესამე პერიოდი კი ნამდვილ საგიჟეთს დაემგვანა. საწყის ხუთ წუთში "ტორონტომ" ორჯერ აილო "ბოსტონის" კარი **ფილ კესელისა** და **ნაზემ კადრის** გოლებით, მაგრამ მასპინძლებს ფანტასტიკური "ქამბექი" გამოუვიდათ. საფინალო სირენამდე ბოლო 10 წუთში "ბოსტონმა" სამშაიბიანი ჩამორჩენა გაათანაბრა, ამასთან, ბოლო ორი გოლი მათ ბოლო წუთ-ნახევარში გაიტანეს. და ეს გიჟური მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებითი დრო დიდხანს არ გაგრძელებულა. "ტორონტო" რისკზე აღარ მიდიოდა, თუმცა სტუმრებს მომენტები ჰქონდათ: ლუპულმა კარის უკნიდან შეუტია, მაგრამ რასკმა კარგად დაკეტა ახლო კუთხე. კიდევ ერთ ეპიზოდში ფინელმა იმავე ლუპულის დარტყმა დაიჭირა. ყველაფერი კი მომდევნო შეტევაში დასრულდა. "ტორონტოს" კართან შექმნილი არეულობისას შაიბა **ბერჟერონს** მიუვიდა, რომელმაც დაასრულა კიდეც თამაში – 5:4.

**ბოსტონი-ტორონტო 5:4 (ო)**

1:1, 0:1, 3:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ბარტკოვსკი-1, 1:1 ფრენსონი-2 (ვან რიმსდიკი-4, ფანოფი-2), 1:2 ფრენსონი-3 (მაკრატური-1, გრაბოვსკი-2), 1:3 კესელი-4 (კადრი-3, ვან რიმსდიკი-5), 1:4 კადრი-1 (კესელი-2, გარდინერი-4), 2:4 ჰორტონი-4 (ლუჩიჩი-7, კრეიჩი-7), 3:4 ლუჩიჩი-2 (ხარა-7, პ. ბერჟერონი-1), 4:4 პ. ბერჟერონი-2 (კრეიჩი-8, იაგრი-4), 5:4 პ. ბერჟერონი-3 (სეგუინი-1, მარჩანდი-3).

**სერია:** 4-3

■ ■ ■

კიდევ ერთ სერიაში ყველაფერი მეშვიდე მატჩს უნდა გადაეწყვიტა. "რეინჯერსი" ორჯერ რთული სიტუაციიდან გამოძვრა "ვაშინგტონთან" დაპირისპირებაში, როცა 0:2-სა და 2:3-ს აგებდა სერიას. და ამ პატარა გმირობას ის თავის მეკარეს **ჰენრიკ ლუნდკვისტს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც მეექვსე და მეშვიდე მატჩებში ზედიზედ ორი "შატაუტი" შეასრულა.

გუშინდელ მატჩში შვედმა გოლკიპერმა 35 დარტყმა მოიგერია და მის პარტნიორებს ისღა დარჩენოდათ, წინ ეყოჩაღათ და საქმეც გაკეთებული იქნებოდა.

გასაკვირია, რომ სერიის მეშვიდე მატჩი, რომელიც, წესით, ყველაზე დაძაბული უნდა ყოფილიყო, ყველაზე არაკონკურენტული გამოდგა: უკვე მეორე მეოთხედის ბოლოს **ჯონ ტორტორელას** შეგირდები 3:0-ს იგებდნენ, თანაც „რეინჯერსის" რიგებში გოლებს იტანდნენ აქამდე უკანა პლანზე მყოფი ჰოკეისტები - **აარონ ეშემი, ტეილორი პიატი** და **მაიკლ დელ ზოტო**.

მესამე მეოთხედში **ჰოლტბის** კარში კიდევ ორი შაიბა შევარდა **რაიან კელეჰანისგან** და **მატს ცუკარელოსგან**.

სხვათა შორის, ეს იყო პირველი შემთხვევა ამ სერიაში, როცა სტუმარმა გუნდმა გაიმარჯვა.

**ვაშინგტონი-რეინჯერსი 0:5**

0:1, 0:2, 0:2

**გოლები:** 0:1 ეშემი-2 (კრაიდერი-1), 0:2 პიატი-1 (დორსეტი-1, ემინგერი-1), 0:3 დელ ზოტო-1 (ბრასარი-6, რიკ ნეში-2), 0:3 კელეჰანი-1, 0.5 ცუკარელო-1 (ბრასარი-7, ემინგერი-2).

**სერია:** 3-4


ბოსტონი შემდეგ რაუნდში გავიდა

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**A ჯგუფი**

**დანია-ბელარუსი 3:2**

2:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ლარსენი-1 (კ. სტაალი, ჰარდტი), 2:0 იენსენი-2 (ბოდკერი, ლასენი), 3:0 გრინი-3 (ჰარდტი), 3:1 კოლცოვი-2 (გორომკო), 3:2 გრაბორენკო-1 (სტასი, უგაროვი).

**კანადა-სლოვენია 4:3 (ო)**

0:2, 2:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ურბასი-1 (როდმანი), 0:2 ურბასი-2 (როდმანი), 1:2 დუშენი-4 (ჰარისონი, ჯ. სტაალი), 2:2 სტემკოსი-5 (ჟირუ), 2:3 რაჟინგარი-2 (ტომიჩი, პაიჩი), 3:3 დილონი-1 (ტ. ჰოლი, სკინერი), 4:3 სტემკოსი-6 (ჰამპუისი, კემპბელი).

**ბელარუსი-შვეიცარია 1:4**

0:1, 0:0, 1:3

**გოლები:** 0:1 იოზი-2, 1:1 კოვირშინი-1 (ანდრიუშენკო, შინკევიჩი), 1:2 ბიბერი-2 (იოზი, ბერა), 1:3 უოკერი-1 (ბიბერი), 1:4 უოკერი-2.

**ჩეხეთი-ნორვეგია 7:0**

3:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ფლიშმანი-1 (პლეკანეცი), 2:0 ფლიშმანი-2 (პლეკანეცი, ტლუსტი), 3:0 ტლუსტი-1 (პლეკანეცი), 4:0 ჰანზალი-1 (ვორაჩეკი, ჰუდლერი), 5:0 ზ. მიხალეკი-3 (შმიდი, ჰუბაჩეკი), 6:0 ვრბატა-2 (ჰანზალი), 7:0 ირგლი-2 (ნოვოტნი, ჰუბაჩეკი).

**დანია-შვედეთი 2:4**

1:0, 1:1, 0:3

**გოლები:** 1:0 მადსენი-2 (სტარკოვი), 1:1 დ. სედინი-1 (ლ. ერიქსონი, ჰ. სედინი), 2:1 სტარკოვი-1 (მადსენი, გრინი), 2:2 ჰ. სედინი-1 (ლ. ერიქსონი, დ. სედინი), 2:3 ტიორნბერგი-1 (ლინდბერგი, პეტერსონი), 2:4 ტიორნბერგი-2 (პეტერსონი, ედლერი).

| | თ | მ | ო-მო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 7 | 6 | 1 | 0 | 0 | 29-10 | 20 |
| 2. კანადა | 7 | 5 | 1 | 1 | 0 | 25-10 | 18 |
| 3. შვედეთი | 7 | 5 | 0 | 0 | 2 | 17-11 | 15 |
| 4. ჩეხეთი | 7 | 3 | 1 | 0 | 3 | 19-12 | 11 |
| 5. ნორვეგია | 7 | 3 | 0 | 0 | 4 | 12-26 | 9 |
| 6. დანია | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 13-20 | 6 |
| 7. ბელარუსი | 7 | 1 | 0 | 0 | 6 | 10-21 | 3 |
| 8. სლოვენია | 7 | 0 | 0 | 2 | 5 | 12-27 | 2 |

**B ჯგუფი**

**ლატვია-საფრანგეთი 3:1**

1:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ციპულისი-2 (სპრუკტსი, ფრაიბერგსი), 2:0 სპრუკტსი-1 (ციპულისი), 2:1 დეროსიერი-2 (ტრეი, ეკეფონი), 3:1 დარძინსი-5 (სპრუკტსი).

**ავსტრია-რუსეთი 4:8**

3:3, 1:3, 0:2

**გოლები:** 0:1 პერეჟოგინი-2 (მოზაიკინი, პოპოვი), 0:2 კოვალჩუკი-8 (რადულოვი), 1:2 იბერერი-1 (ლუკაში), 2:2 ვანეკი-4 (პოკი, რაფლი), 3:2 რაფლი-2 (ვანეკი, ჰუნდერტპფუნდი), 3:3 ნიკულინი-1 (მედვედევი, კოვალჩუკი), 3:4 რადულოვი-5 (კოვალჩუკი), 4:4 იბერერი-2 (ბაუმგრატნერი, ალტმანი), 4:5 მოზაიკინი-1 (ნიკულინი, პოპოვი), 4:6 სოინი-1 (კოკარევი), 4:7 ზაიცევი-1 (პეტროვი), 4:8 კუზნეცოვი-1 (პეტროვი, ბელოვი).

**სლოვაკეთი-აშშ 4:1**

2:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რადივოევიჩი-3 (კოპეცკი), 2:0 ბარტეკი-1 (შატანი), 3:0 ვიდარენი-2 (ზაბორსკი, კუკუმბერგი), 3:1 კრისტო-1 (კარლი), 4:1 დანო-1 (შატანი).

**საფრანგეთი-გერმანია 2:3 (ო)**

1:1, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 დეროსიერი-3 (ბეში, ტრეი), 1:1 ერჰოფი-2 (ულმანი, გრაილინგერი), 2:1 რუსელი-2, 2:2 ვოლფი-2 (ჰორდლერი), 2:3 ერჰოფი-3 (გოკი).

**ლატვია-ფინეთი 2:3 (ო)**

1:1, 0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მეია-1 (ძერინსი, იასი), 1:1 სალმინენი-1 (კორპიკოსკი, მანტილა), 1:2 გრანლუნდი-1 (სალმინენი, ლააკსო), 2:2 იეკიმოვსი-1 (მეია, ძერინსი), 2:3 პილსტრიომი-2 (სავინაინენი, მანტილა).

| | თ | მ | ო-მო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 7 | 4 | 2 | 0 | 1 | 23-14 | 16 |
| 2. რუსეთი | 7 | 5 | 0 | 0 | 2 | 29-14 | 15 |
| 3. აშშ | 7 | 5 | 0 | 0 | 2 | 24-16 | 15 |
| 4. სლოვაკეთი | 7 | 3 | 0 | 1 | 3 | 18-17 | 10 |
| 5. გერმანია | 7 | 2 | 1 | 1 | 3 | 13-16 | 9 |
| 6. ლატვია | 7 | 2 | 0 | 1 | 4 | 14-25 | 7 |
| 7. საფრანგეთი | 7 | 2 | 0 | 1 | 4 | 13-21 | 7 |
| 8. ავსტრია | 7 | 1 | 1 | 0 | 5 | 18-29 | 5 |

**1/4 ფინალი**

**16 მაისი**

1. რუსეთი-აშშ (14:00)
2. შვეიცარია-ჩეხეთი (16:45)
3. ფინეთი-სლოვაკეთი (19:30)
4. კანადა-შვედეთი (22:15)

**1/2 ფინალი**

**18 მაისი**

1-2
3-4

ფინალი და მე-3 ადგილისთვის მატჩი 19 მაისს გაიმართება.

1/4 ფინალის კალენდარი

**აღმოსავლეთი**

**პიტსბურგი-ოტავა**

14 მაისი. პიტსბურგი-ოტავა
17 მაისი. პიტსბურგი-ოტავა
19 მაისი. ოტავა-პიტსბურგი
22 მაისი. ოტავა-პიტსბურგი
24 მაისი. პიტსბურგი-ოტავა
26 მაისი. ოტავა-პიტსბურგი
28 მაისი. პიტსბურგი-ოტავა

**ბოსტონი-რეინჯერსი**

16 მაისი. ბოსტონი-რეინჯერსი
19 მაისი. ბოსტონი-რეინჯერსი
21 მაისი. რეინჯერსი-ბოსტონი
23 მაისი. რეინჯერსი-ბოსტონი
25 მაისი. ბოსტონი-რეინჯერსი
27 მაისი. რეინჯერსი-ბოსტონი
29 მაისი. ბოსტონი-რეინჯერსი

**დასავლეთი**

**ჩიკაგო-დეტროიტი**

15 მაისი. ჩიკაგო-დეტროიტი
18 მაისი. ჩიკაგო-დეტროიტი
20 მაისი. დეტროიტი-ჩიკაგო
23 მაისი. დეტროიტი-ჩიკაგო
25 მაისი. ჩიკაგო-დეტროიტი
27 მაისი. დეტროიტი-ჩიკაგო
29 მაისი. ჩიკაგო-დეტროიტი

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე**

14 მაისი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე
16 მაისი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე
18 მაისი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი
21 მაისი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი
23 მაისი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე
26 მაისი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი
28 მაისი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე

კრივი

# ჰეიმ ბრძოლა გააუქმა



დევიდ ჰეი და მანუელ ჩარი

ბრიტანელმა სუპერმძიმეწონოსანმა **დევიდ ჰეიმ** ხელის ტრავმის გამო უარი თქვა გერმანელ **მანუელ ჩართან** ბრძოლაზე. ეს ინფორმაცია BBC Sport-მა გაავრცელა. შეხვედრა 29 ივნისს, მანჩესტერში უნდა გამართულიყო.

32 წლის მოკრივემ დაზიანება ვარჯიშზე მიიღო. ჰეიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მინიმუმ ოთხი კვირა დასჭირდება ტრავმის სამკურნალოდ, ამიტომაც უკეთესია ბრძოლა ახლა გააუქმოს და არა მისი თარიღიდან რამდენიმე დღით ადრე. ბრიტანელმა ბოდიში მოუხადა ყველას, ვისაც უკვე შეძენილი ჰქონდა ჩხუბზე დასასწრები ბილეთი. დევიდმა ისიც დაამატა, რომ როგორც კი ვარჯიშებს განაახლებს, პირველ რიგში ამას თავის თაყვანისმცემლებს აცნობებს.

ჰეიმ რინგზე დაბრუნების შესახებ 2013 წლის მარტში გამოაცხადა. სწორედ მაშინ დაუბრუნეს მას საკრივო ლიცენზია, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში კარიერის დასრულების გამო დაკარგა.

პროფესიულ კარიერაში ჰეიმ 28 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 26 (24 - ნოკაუტით) და ორი წააგო, მათ შორის, 2012 წელს ვლადიმერ კლიჩკოსთან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# მოთვინიერებული ხარები

სერიის მეოთხე მატჩი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, "მაიამის" სულაც არ ჩაუტარებია იდეალურად. **ერიკ სპოელსტრას** შეგირდები ბევრ სათამაშო ასპექტში მოიკოჭლებდნენ და მხოლოდ 88 ქულა დააგროვეს, რაც დიდი მიღწევა სულაც არ არის.

მაგრამ, მოქმედმა ჩემპიონმა ბრწყინვალე დაცვა ითამაშა და ეს საკმარისი აღმოჩნდა მეტოქის ისეთ ფსიქოლოგიურ შოკში ჩასაგდებად, საიდანაც "ბულზი" კარგა ხანი ვერ გამოვა. სერიის პირველ მატჩში სტუმრად სენსაციური მოგების შემდეგ, "ხარები" ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ და ბოლო წაგება მართლაც ყველაზე მტკივნეული იყო.


ბოშს ნოა მეურვეობს

მასპინძლებს ვერ უშველა შემადგენლობაში **რიჩარდ ჰემილტონის** დაბრუნებამ, რომელმაც ამ პლეი ოფში პირველი შეხვედრა ითამაშა. ვეტერანი მცველი საჯაროდ აცხადებდა, რომ ძალიან სწყინს თავისი გუნდისთვის დახმარების გაწევის საშუალება რომ არ ეძლევა, თუმცა მწვრთნელის კრიტიკამდე საქმე არ მისულა. იმის გამო, რომ "ჩიკაგოს" კვლავ ვერ ეხმარებოდნენ **ლუოლ დენგი** და **კირკ ჰაინრიხი, ტომ ტიბოდომ,** როგორც იქნა, მისცა ჰემილტონს თავის გამოჩენის შანსი.

მაგრამ გუშინ "ჩიკაგო" ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ჰემილტონის ორი ზუსტი ტყორცნა ვერაფერს უშველიდა.

**ნეიტ რობინსონმა**, რომელიც ამ სერიაში "ბულზის" ლიდერად იქცა, თამაშიდან ვერც ერთი ბურთი ვერ ჩააგდო, უკანა ხაზზე მისმა პარტნიორმა, აღიარებულმა სნაიპერმა **მარკო ბელინელიმ** კი ხუთიდან ხუთი სამქულიანი ააცილა.

დიდად ვერც წინა ხაზმა ივარგა. **კარლოს ბუზერმა** და **ჟოაკიმ ნოამ** თამაშიდან 20-ჯერ ისროლეს და მხოლოდ ოთხჯერ ჩააგდეს, საერთო ჯამში კი "ჩიკაგოს" სროლების გამოყენების პროცენტი 25.7-ს (სამქულიანები – 11.8) უდრიდა. გასაკვირი არ არის, რომ ჩიკაგოს არენის მაყურებელი საფინალო სირენამდე დიდი ხნით ადრე გაეშურა გასასვლელებისკენ. თამაშის გადარჩენის შანსი მესამე მეოთხედში გაქრა.

**ჩიკაგო–მაიამი 65:88**

15:21, 18:23, 9:17, 23:27

ჩ: ბუზერი (14+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატლერი (12+5 მოხსნა), ჰემილტონი (11+4 პასი), გიბსონი (10+9 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (27+8 პასი+7 მოხსნა), ბოში (14+6 მოხსნა+4 დაფარება).

**სერია: 1-3**

# მემფისი შინ არ აგებს



მემფისი ზეიმობს

დასავლეთის ჩემპიონი "ოკლაჰომა" ისეთ მდგომარეობაში ხვდებოდა ზედიზედ მეორე გასვლით მატჩს, რომ უკან დასახევი გზა პრაქტიკულად მოჭრილი ჰქონდა – **დურანტი** და კომპანია 1:2 იყო ჩამორჩენილი სერიაში და საკუთარი მოედნის უპირატესობის დაბრუნება მართებდა.

თითქოს, პირველ ტაიმში "თანდერმა" დაიწყო საკუთარი კოზირების გათამაშება, რაც არ გამოუვიდა წინა შეხვედრაში. **სკოტ ბრუქსის** შეგირდებმა მატჩი 7:0 გაქცევით დაიწყეს, თამაშობდნენ მსუბუქად, სწრაფად, შედეგიანად. "მემფისის" "ფიზიკური" თამაში არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა სტუმრებისთვის. 17-ქულიანი სხვაობა – ყველაზე დიდია, რაც ამ სერიაში დაფიქსირებულა. სწორედ ასე იგებდა გუშინდელ მატჩს "ოკლაჰომა" მეორე მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთითა და 23 წამით ადრე.

მაგრამ, ამის შემდეგ, "თანდერის" დაღმასვლა დაიწყო. ჯერ **კონლიმ** ჩააგდო ზედიზედ ოთხი ქულა, რასაც **გასოლმა** ხუთი დაუმატა, ფარქვეშიდან ორჯერ ჩააგდო **რენდოლფმა** და ორი ზუსტი სამქულიანი შეასრულა **ბეილესმა**: დიდი შესვენებისთვის "გრიზლისის" დეფიციტი რვა ქულამდე შემცირდა, რამაც მასპინძლებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

ინიციატივას უკვე "მემფისი" ფლობდა, თუმცა სტუმრების ძლევა მან ოვერტაიმში მოახერხა, სადაც "ოკლაჰომას" ვარსკვლავმა დურანტმა თამაშიდან ყველა ტყორცნა ააცილა. არადა, ოვერტაიმამდე მისმა გუნდმა სწორედ "დურანტულას" შედეგიანი გარღვევის წყალობით მიაღწია. თუმცა ჟურნალისტებს ამ გარღვევის გამო შეკითხვები დაებადათ დურანტის მისამართით – რატომ არ ისროლა მან სამქულიანი და არ სცადა გამარჯვების ძირითად დროში მოპოვება. *"დავინახე თავისუფალი ზონა და სწორედ იქ შევვარდი"*, - იყო პასუხი. როგორც ჩანს, "ოკლაჰომას" ლიდერი მართლაც ვერ გრძნობდა თავს კარგად, რისი დამადასტურებელიცაა მეოთხე მეოთხედსა და ოვერტაიმში 13-დან მხოლოდ ორი ჩაგდებული ბურთი. სავარაუდოდ, "მემფისის" ფიზიკურმა სტილმა მაინც იქონია გავლენა მეტოქის თამაშზე. და არ უნდა დავივიწყოთ ამ პლეი ოფში "მემფისის" წარმატების კიდევ ერთი ფაქტორი: საკუთარი გულშემატკივრების მხარდაჭერა. ამ პლეი ოფში "მემფისი" შინ ჯერ არ დამარცხებულა.

სერიაში ანგარიში გახდა 3:1 და "ოკლაჰომასთვის" ნებისმიერი შემდეგი წაგება პლეი ოფიდან გავარდნას ნიშნავს.

**მემფისი–ოკლაჰომა 103:97 (ო)**

18:29, 30:27, 28:20, 18:18, 9:3

მ: კონლი (24+5 პასი+4 ჩაჭრა), გასოლი (23+11 მოხსნა+6 დაფარება), რენდოლფი (23+12 მოხსნა+3 პასი), ალენი (10+6 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ო: დურანტი (27+7 პასი+7 მოხსნა), მარტინი (18+5 მოხსნა), იბაკა (17+14 მოხსნა+3 დაფარება), ჯექსონი (15+8 პასი), კოლისონი (10+3 დაფარება).

**სერია: 3-1**

# საუკეთესო დამცველები მემფისიდან არიან

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოაცხადა 2012-13 წლების რეგულარულის მიხედვით დაცვაში საუკეთესო მოთამაშეთა პირველი და მეორე სიმბოლური ნაკრებების შემადგენლობები.

გამოკითხულთა ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღეს "მემფისის" მცველმა **ტონი ალენმა** და სეზონის MVP-მ, "მაიამის" ფორვარდმა **ლებრონ ჯეიმსმა**. აღსანიშნავია, რომ "მემფისის" კიდევ ერთი კალათბურთელი **მარკ გასოლი**, რომელიც ამ სეზონის საუკეთესო დამცველი გახდა, მხოლოდ მეორე ნაკრებში მოხვდა.

პირველი სიმბოლური ნაკრები:

**ფორვარდები** - ლებრონ ჯეიმსი ("მაიამი") - 52 ქულა, სერჟ იბაკა ("ოკლაჰომა") - 46;

**ცენტრები** - ტაისონ ჩენდლერი ("ნიუ იორკი") - 24, ჟოაკიმ ნოა ("ჩიკაგო") - 24;

**მცველები** - ტონი ალენი ("მემფისი") - 53, კრის პოლი ("კლიპერსი") - 37.

მეორე სიმბოლური ნაკრები:

**ფორვარდები** - ტიმ დანკანი ("სან ანტონიო") - 20, პოლ ჯორჯი ("ინდიანა") - 27;

**ცენტრი** - მარკ გასოლი ("მემფისი") - 12;

**მცველები** - ეივერი ბრედლი ("ბოსტონი") - 25, მაიკლ კონლი ("მემფისი") - 19.

■ ■ ■

"მილუოკი ბაქსის" ხელმძღვანელობა სერიოზულად არის დაინტერესებული **ჯერი სლოუნთან** კონტრაქტის გაფორმებით, - წერს USA Today.

იტყობინებიან, რომ 71 წლის სპეციალისტი უკვე შეხვდა "ბაქსის"ხელმძღვანელობას. შეგახსენებთ, რომ მაისის დასაწყისში სლოუნმა განაცხადა, რომ დაინტერესებულია სამწვრთნელო კარიერის განახლებით.

ცოტა ხნის წინ, "მილუოკიმ" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ჯიმ ბოილენი**, რომელიც კლუბში 2013 იანვრიდან, **სკოტ სკაილზის** განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა.

ჯერი სლოუნს 2011 წლის თებერვლის შემდეგ არ უმუშავია მწვრთნელად. მანამდე მან 23 წელს გაატარა "იუტა ჯაზის" დამრიგებლად.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ჯეიმსი და ალენი

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 17** | |
| სლოვაკეთი-იტალია | 0:2 |
| რუსეთი-შვედეთი | 0:0 პენ. 10:9 |
| **ინგლისი** | |
| არსენალი-უიგანი | 4:1 |
| რედინგი-მანჩესტერ სიტი | 0:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| ტორგელოვერი-გერმანია | 2:1 |
| პლაუენი-მეისელვიტცი | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| ფრანქფურტი II-კასელი | 2:2 |
| ჰომბურგი-ბაიერნი (ა) | 3:3 |
| ოგერშტაინი-მანჰაიმი | 3:1 |
| პფიულენდორფი-ულმი | 1:0 |
| ვორმატია-კობლენცი | 1:2 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ტრუა-ბორდო | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| ლიმერიკი-დროგედა | 0:1 |
| სტ. პატსი-შემროკი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| დუკლა-ბრნო | 3:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-კოშიცე | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სიბირი-ტორპედო | 1:1 |
| ტომი-ვოლგარი | 1:0 |
| ხიმკი-ნალჩიკი | 2:1 |
| ბალტიკა-სკა ენერგია | 1:1 |
| **სლოვენია** | |
| ალუმინი-მურა | 2:2 |
| პუბლიკუმი-ოლიმპია | 2:2 |
| ტრიგლავი-რუდარი | 2:0 |
| დომჟალე-მარიბორი | 1:1 |
| კოპერი-გორიცა | 2:2 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-ვენტსპილსი | 0:1 |
| **ესტონეთი** | |
| ტალინა-სილამაე | 1:0 |
| ტრანს ნარვა-კურესაარე | 2:0 |
| კალიუ-ინფონეტი | 2:0 |
| ტამეკა-ფლორა | 1:4 |
| **ბოსნიის თასი** | |
| **ფინალი. II მატჩი** | |
| შ. ბრიეგი-ჟელეზნიჩარი | 1:1 პენ. 5:4 (1:1) |

| აზია | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ბურირამი-ბუნიოდკორი | 2:1 |
| ბეიჯინგი-სეული | 0:0 |
| ალ გარაფა-ალ შაბაბი | 1:2 |
| ელ ჯაიში-ალ აჰლი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ლე მანი | 69:52 |
| შალონი-როანი | 78:68 |
| **იტალია** | |
| ვენეცია-ვარეზე | 79:93 |
| მონტეპასკი-მილანი | 92:73 |
| **ჰოკეი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| სლოვაკეთი-აშშ | 4:1 |
| ბელარუსი-შვეიცარია | 1:4 |
| საფრანგეთი-გერმანია | 2:3 |
| ჩეხეთი-ნორვეგია | 7:0 |
| ლატვია-ფინეთი | 2:3 (ო) |
| დანია-შვედეთი | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. რომი** | |
| **შარდი**-ლოპესი | 3:6, 7:5, 7:6 |
| ჰაასი-**იუზნი** | 4:6, 3:6 |
| სებალიოსი-**ვერდასკო** | 3:6, 6:3, 3:6 |
| **სიმონი**-ვოლანდრი | 6:3, 2:6, 6:4 |
| ალმაგრო-**ბენეტო** | 6:7, 4:6 |
| **გასკე**-დიმიტროვი | 6:4, 6:4 |
| **ვავრინკა**-ბერლოკი | , 5:7, 6:3, 6:3 |
| **ჯოკოვიჩი**-მონტანიესი | 6:2, 6:3 |
| ჩილიჩი-**ანდერსონი** | 3:6, 6:7 |
| **დელ პოტრო**-კუზნეცოვი | 6:3, 6:2 |
| **ბერდიხი**-ისტომინი | 6:4, 6:0 |
| **ფედერერი**-სტარაჩე | 6:1, 6:2 |
| **WTA. რომი** | |
| ვოზნიაცკი-**იოვანოვსკი** | 6:2, 4:6, 6:7 |
| **გორგესი**-ჰლავაჩკოვა | 2:6, 6:4, 6:4 |
| ცურენკო-**ლეპჩენკო** | 4:6, 2:6 |
| მედინა გარიგესი-**კირილენკო** | 3:6, 3:6 |
| **ვესნინა**-ვინჩი | 7:6, 5:7, 4:6 |
| მლადენოვიჩი-**ციბულკოვა** | 6:1, 2:6, 2:6 |
| კნაპი-**მაკჰეილი** | 5:7, 2:6 |
| ჟენგი-**რიბარიკოვა** | 7:6, 6:3 |
| **კვიტოვა**-ლისიცკი | 6:4, 0:6, 7:5 |
| ივანოვიჩი-**უ. რადვანსკა** | 3:6, 6:2, 2:6 |
| **სტივენსი**-პენეტა | 6:3, 6:3 |
| ფლიპკენსი-**ვიკმაიერი** | 4:6, 0:6 |
| **ა. რადვანსკა**-ჰალეპი | 7:6, 1:6, 2:6 |
| **პეტროვა**-სუარეს ნავარო | 6:3, 2:6, 6:7 |
| პავლიუჩენკოვა-**ოპრანდი** | 2:6, 0:6 |
| **ს. უილიამსი**-რობსონი | 6:2, 6:2 |

TV პროგრამა

**15 მაისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXVII ტური. არსენალი-უიგანი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXVII ტური. სტოკი-ტოტენჰემი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ტვენტე-ეინდჰოვენი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXVII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის თასი. ატლეტიკო-ბილბაო.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. მიმოხილვა.
**21:30** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:45** ევროპის ლიგა. ფინალი. ბენფიკა-ჩელსი (LIVE).
**00:45** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი. V მატჩი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
**17:00** რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-ავსტრალია.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ოლ ბოისი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. NBA-ის ყველა დროის საუკეთესო ხუთეული. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი. V მატჩი.
**03:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. V მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**13:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მასტერსი. რომი. იტალია (LIVE).
**00:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 17 | 20 | (მზე) |
| ფოთი | 16 | 21 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 25 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 10 | 23 | (მზე) |
| თელავი | 13 | 27 | (მზე) |
| სიღნაღი | 14 | 26 | (მზე) |
| ბაკურიანი | 7 | 18 | (მზე) |
| ბორჯომი | 8 | 21 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 6 | 17 | (მცირე წვიმა) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1312 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6413 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5232 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2308 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





# აურზაური საბურავების გამო

## შექმნილმა სიტუაციამ დიტრიხ მატეშიცსა და ბერნი ექლსტოუნს შორის უთანხმოებაც კი გამოიწვია

ესპანეთის გრან პრის შემდეგ, „რედ ბულის" მფლობელ **დიტრიხ მატეშიცს** მეტად მკაცრი საუბარი ჰქონდა ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერთან **ბერნი ექლსტოუნთან**, - წერს ბრიტანული Autosport. მატეშიცმა კატეგორიული ფორმით გამოთქვა თავისი აზრი „პირელის" საბურავების შესახებ, რომელთა მახასიათებლები არ აძლევს საშუალებას **სებასტიან ფეტელსა** და **მარკ უებერს** სრულად გამოიყენონ თავიანთი მანქანების პოტენციალი.

როგორც ირკვევა, მატეშიცი და ექლსტოუნი კვირას 45 წუთის განმავლობაში ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ავსტრიელი მილიარდერი თავის უკმაყოფილებას ვერ მალავდა შექმნილი სიტუაციის გამო.

*„ფორმულა 1-ს უკვე აღარაფერი შერჩა კლასიკური რბოლებისგან, - განაცხადა მატეშიცმა. - იგებს არა საუკეთესო პილოტი ყველაზე სწრაფი მანქანით, არამედ ის, ვინც ახერხებს საბურავების ცვეთის კონტროლს და ამასთან, ინარჩუნებს ტემპს. ჩვენ საკუთარი RB9-ის გადაკეთებამ მოგვიწია, რადგან საბურავი დატვირთვებს ვერ უძლებდა. ჩემი გუნდი მაქსიმალურად შესაძლო სიჩქარით რომ მოძრაობდეს, ერთ რბოლაში 10-15 პიტსტოპი დაგვჭირდებოდა.*

*ვიცი, რომ „პირელის" ამოცანა იყო პიტსტოპების რიცხვის გაზრდით რბოლის სანახაობრივი მხარის ამაღლება, მაგრამ ზედმეტი მოუვიდათ. დღევანდელი სიტუაცია განსხვავდება წინასწარ ნავარაუდებისგან".*

მართალია, მატეშიცსა და ექლსტოუნს მკაცრი საუბარი ჰქონდათ, მაგრამ ბოლოს ბერნი დაეთანხმა „რედ ბულის" მფლობელის მოსაზრებას.

*„ეს ის საბურავი არ არის, რომელიც ჩვენ გვჭირდება, - განაცხადა ექლსტოუნმა. - ჩვენ სულ სხვა რამ გვქონდა ჩაფიქრებული, როცა „პირელის" ვთხოვეთ შეექმნა ისეთი საბურავები, რომელიც სარბოლო დისტანციის ნახევარს გაუძლებდა. იტალიურ კომპანიაში ეს ესმით და ცდილობენ პრობლემის მოგვარებას. ჩვენ დავუბრუნდებით საბურავების შარშანდელ ვერსიას, რომელიც უზრუნველყოფს მჭიდრო ბრძოლას ტრასაზე".*

„პირელის" სპორტული განყოფილების დირექტორი **პოლ ჰემბრი** ეთანხმება იმას, რომ ბარსელონას რბოლაში დაფიქსირებული ოთხ-ხუთი პიტსტოპი მართლაც მეტისმეტია. ის აცხადებს, რომ ბრიტანეთის გრანპრისთვის, რომელიც ივნისის ბოლოს გაიმართება, საბურავებს მნიშვნელოვნად შეცვლიან.

ესპანეთის გრანპრის შემდეგ ჰემბრიმ აღიარა, რომ მისი კომპანია რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა: *„ჩვენ ორიენტაცია სილვერსტოუნზე გვქონდა აღებული. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რა ცვლილებაც არ უნდა შევიტანოთ, ბევრი გუნდი ამაზე წინააღდეგი წავა. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ საბურავები უნდა შევცვალოთ, ეს შეიძლება არ მოეწონოთ იმ პილოტებს, რომლებიც ესპანეთში პოდიუმზე ავიდნენ. ამიტომაც, ბრიტანეთის გრან პრის დროს მეტყვიან, რომ „პირელი" რედ ბულს" უწყობს ხელს. საბურავების შეცვლის გამო გაგვაკრიტიკებენ, მაგრამ იგივე იქნება, თუ ამას არ გავაკეთებთ".*

# ბერნი წლის ბოლოს წავა?


ბერნი ექლსტოუნი

ჩვენ არაერთხელ მოგიყევით იმის შესახებ, თუ რა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა **ბერნი ექლსტოუნი** ყოფილი გერმანელი ბანკირის **გერჰარდ გრიბოვსკის** საქმესთან დაკავშირებით. მალე მოვლენები შეიძლება ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერისთვის სავალალოდ განვითარდეს, რადგან მიუნხენის პროკურატურამ დაასრულა გამოძიება და მზად არის ბერნის ბრალი წაუყენოს მექრთამეობაში.

თუ ეს მოხდა, ფორმულა 1-ის ეკონომიკის მაკონტროლებელი კერძო საინვესტიციო ფონდი CVC Capital Partners ექლსტოუნის გადაყენებას ეცდება, - იტყობინება Financial Times.

ერთ-ერთ ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით გაზეთი წერს, რომ CVC, ყველა გართულების მიუხედავად, უარს არ ამბობს გეგმაზე, რომლის მიხედვითაც ფორმულა 1-ის აქციებს ბირჟაზე წარადგენს და ეცდება ექლსტოუნის სხვა პიროვნებით შეცვლას. ამასთან, წყაროს მიაჩნია, რომ ბერნი იმ შემთხვევაშიც ვერ შეინარჩუნებს პოსტს, თუ მოახერხებს გერმანულ მართლმსაჯულებასთან საქმის დარეგულირებას. ამ შემთხვევაში, ექლსტოუნის გადაყენება რამდენიმე თვის შემდეგ მოხდება.

*„იმის მიუხედავად, შეძლებს თუ არა ის თავისი საქმეების მოგვარებას, წლის ბოლოს ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს ფორმულა 1-დან წასვლა"*, - წერს გაზეთი.

ექლსტოუნის მხარე ამ განცხადებას კომენტარს არ უკეთებს.

# ფეტელი: ქალების დრო მოდის

ბოლო დროს, ბევრს ლაპარაკობდნენ ავტოსპორტში ქალების აქტიურობაზე. მას შემდეგ, რაც „მარუსიას" ტესტ-პილოტი, ესპანელი **მარია დე ვილიოტა** აეროდინამიკური ტესტების დროს საშინელ ავარიაში მოხვდა და ცალი თვალი დაკარგა, ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭესთან ქალი პილოტის ხილვის ყველა იმედი „უილიამსის" ტესტ-პილოტს **სიუზი ვოლფს** უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის ფორმულა 1-ის გრან პრიზე ქალი პილოტის გამოჩენის მიზერული შანსი არსებობს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** უარს არ ამბობს ტრასაზე ქალთან ბრძოლის პერსპექტივაზე.

*„მრბოლელებს ჯერჯერობით რთულად წარმოგვიდგენია ქალი ფორმულა 1-ის მანქანის საჭესთან, მაგრამ ოდესლაც სიტუაცია შეიცვლება, - ამბობს ფეტელი Motorsport-Total-ის გერმანულ ვებგვერდზე. - ჯერჯერობით ქალები უფრო მეტ წარმატებას აღწევენ ხელმძღვანელ პოსტებზე. ამის ნათელი მაგალითია მონიშა კალტენბორნი, რომელმაც შარშან „ზაუბერი" ჩაიბარა. გარდა ამისა, ფორმულა 1-ში ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ „უილიამსში" მალე ფრენკ უილიამსის მემკვიდრე გახდება კლერ უილიამსი.*

*ჩემი აზრით, ნორმალურია ის ფაქტი, რომ ქალები კარიერაში ასეთ წარმატებებს აღწევენ. მიმაჩნია, რომ დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ავტოსპორტით მხოლოდ მამაკაცები იყვნენ დაკავებულნი".*


სებასტიან ფეტელი



# კერძო დეტექტივი მაიკ ტაისონი

პროფესიული კრივიდან წასვლის შემდეგ, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **მაიკ ტაისონმა** საკმაოდ წარმატებული კარიერა ააწყო შოუბიზნესში. „რკინის მაიკი" თავისი საავტორო შოუთი - „მაიკ ტაისონი: უტყუარი სიმართლე" აშშ-ის ქალაქებში მოგზაურობს. პარალელურად, ყოფილ მოკრივეს ფილმებში იღებენ და კიდევ, მაიკი სამსახიობო ოსტატობის გაკვეთილებს იღებს. მორიგ პროექტში ტაისონი მოირგებს კერძო დეტექტივის როლს სერიალში - „მაიკ ტაისონის ამოცანები".

სერიალში მოკრივეს მოუწევს ჩახლართული ამოცანების ამოხსნა, მაგალითად, მან უნდა დაამარცხოს ჭადრაკში კომპიუტერი ან ამოხსნას მაქცია მწერლის საიდუმლო. უნდა აღინიშნოს, რომ სცენარის მიხედვით, ტაისონის პარტნიორი იქნება მოლაპარაკე საფოსტო მტრედი.

გარდა ამისა, მაიკ ტაისონმა ამ დღეებში გამოთქვა სურვილი ოტელოს როლი ითამაშოს უილიამ შექსპირის პიესაში.

*„შესანიშნავი იქნება ოტელოს როლის განსახიერება შექსპირის პიესაში, - განაცხადა ტაისონმა. - თუ დროს მომცემენ, ნებისმიერი ამოცანის შესასრულებლად მოვემზადები. საჭირო იქნება რამდენიმე სამსახიობო გაკვეთილის მიღება".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


მაიკ ტაისონი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს
გამომცემლობა
ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:50
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**